

F106
1883




Handwritten text in Georgian script, including the word "კაბ" (K'ab).

ქართული ბიბლიოთეკა

Handwritten number 297

F 359

№ IV აპრილი.



ბი

ქუთაისი
თ. პეტრე ბ. წილუკიძის სტამბა.
1883

Дозволено Цензурою, Тифлисъ 12 Юня 1883 года.

1267

საქართველოს
საბჭოთაო სტრუქტურის
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

არა, არ არის დანაშაული.

(გაგრძელება) *)

IV

შველაზედ წინად მეგი წავიდა ზღვის ნაპირას თავის საყვარელი ნათესადგურის გამოსათხოვებლად. ზვერდით გაუარა მეთევზის ქოხს, სადაც რობინმა მიიყვანა წყლიდგან ამოყვანის შემდეგ. იმ ადგილსაც გაიარა, სადაც ღანტონმა პირველად სიყვარული გამოუცხადა და კიდევ არ იცოდა საით მიდიოდა. უეხს ძლივს ადგამდა, თავში ათას ნაირი ფიქრი უტრიალებდა და თავის-თავს ელაპარაკებოდა:

— აღარა ვარ მეგი ღაიზარტი, აღარა ვარ ის ბედნიერი და უღარდელი, აღარა ვარ მემკვიდრე კეთილშობილის, კეთილის გულისა და მდიდარის კაცისა. მე ვარ განდევნილი, ღირსება წართმეული და

*) იხილეთ № 3 (ქართული ბიბლიოთეკა).



ვილაც უკეთური კაცის შვილი. თუმცა ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ეს ასეა.

ვისთვის უნდა მიემართა ამ საშინელს მდგომარეობაში მყოფს? იმ ნაცნობებთა შორის, რომელნიც ისე აფუფუნებდნენ და აქალაჩუნებდნენ პოლკოვნიკ ღაიზარტის ძმის-წულს, ისეთი არავინ იყო, რომ მეგის მასთან მისვლა გაებედნა. ბლექ-ზავენამდის ოთხი მილი იყო. მხე ჩადიოდა, როცა ქალაქის კოშკი დაინახა. რამდენი მოჩვენება ელანდებოდა თვალ-წინ. ჰხედავდა, ვითომც ვილაც ხელს უპოტინებდა და შეშინებული იძახდა:

— შერა! შერა!...

რვა საათი შესრულდა სანამ ქალაქში შევიდოდა. სად უნდა გაატაროს ღამე? როგორ დაიწყოს ცხოვრება ხვალიდგან. თავის დღეში შრომა არ გამოეცადა და არ იცოდა, თუ რა იყო დღიური საზრდოების მოპოება. ისე დაეცა სულით, რომ არ იცოდა რა ექმნა. შადაუხვია მეორე ქუჩაზედ, მაგრამ საშინელი მოჩვენებები მაინც არ შორდებოდნენ და უჩურობდნენ.

— ბრა, არა, არაფრის გავიგებოდა არ მინდა, — განწირულებით წამოიძახებდა ხოლმე მეგი, მაგრამ ყურადღებით ისმენდა კი.

ბლექ-ზავენი ყოველთვის მიყრუებული დაბა იყო და ამ დროს მაინც, თითქოს ყველა მცხოვრებლები გაწყვეტილანო: ქუჩაზედ ადამიანი არ ჰპანებდა და თუ ვინმე შეხედებოდა, ყურადღებასაც

საქართველო
პრეზიდიუმი

არ აქცევდა მეგის. საცოდავი ისე როგად დაიღალა, რომ სიარული ვეღარ შეიძლო და შეჩერდა ერთი სახლის წინ. სწორედ ამ დროს მეგის დაეჯახა ვილა-ცა. შმაწვილი ძლიერ შესწუხდა უნებური შემოთხვევით, ქული მოიხადა და ბოდში მოითხოვა.

მეგიმ ძალიან კარგად იცნო იმის ხმა და საჩქაროდ მოაჩინა პირი, მაგრამ შეუნიშნავი მაინც არ დაჩინებია. როგორც ქარისაგან გატაცებულნი ფურცელი, ისე მიჰფრინავდა მეგი და თან მიღვედა საშინელი მოჩვენება; ერთხელ კიდევ გადააცდინა გზას და კინაღამ თხრილში გადავარდა, მაგრამ ისევ მალე მოხაზა გზა.

ათი საათი შეიქმნა. მომეტებული ნაწილი დუქნებისა დაკეტულია, მხოლოდ აფთიაქის ფანჯარაში მოსჩანს სინათლე. მეტი შეჩერდა და ცხადად გაიგონა, თუ როგორ წაუჩუჩებდა მოჩვენებამ: — «როდესაც კაცის სიცოცხლე მოკლებულია ყოველ-გეოს სიამოვნებას, როდესაც მას აღარაფერი იმედი დაჩენია ბედნიერების მოაპოვებლად, მყობადი და მომავალი სამწუხაროა, — რაღა საჭიროა სიცოცხლე — სიკვდილი სჯობია».

შიშით შევიდა მეგი აფთიაქის ღია კარებში. შთვალავ შუშებს და სხვა-და-სხვა ქურჭლებს შუა იჯდა ერთი პატარა მძინარი ბიჭი. ბაბედულად მივიღა მასთან მეგი, დაუდო წინ ფული და უთხრა:

— ერთი უნცი რაიუმში მომეცით.



ნამქინარემ, უმაწვილმა ვერ შეამჩნია მეგის ფერ-მკრთალი და აღუღვებული სახე. ღამის ათი საათი იყო, როცა მეგი თბიულობდა ოპიუმს ურეცებტოდ. უმაწვილმა ჩამოიღო თაროდგან მოზრდილი შუშა, რომლისაგან ჩაუსხა პატარა ჭურჭელში, დააწება ზედ პატარა ქალღღი ზედ წარწერით: «საწამლაგია» და მიაწოდა. ორთოლით გამოართვა მეგიმ და გარედ გამოვარდა. პარებში დაეტაკა ისევ იმ კაცს, რომელმაც კინალამ წააქცია ამას წინად; საჩქაროდ ჩაურბინა გვერდით და გაეშურა პატარა მინდვრისაკენ, სადაც ეკვლესია იდგა. მაგადაწყვეტილება ერთად-ერთი საშუალებათაგანი ეგონა, რომ გამოსულიყო საშინელი მდგომარეობიდან... ამ ეკვლესიასთან უნდა ბოლო მოეღო თავის სიცოცხლისათვის. ნეტავი თუ ვისმე ენადვლება ის? შეიბრალებს, თუ არა ღანტონ მაულტრი? ან პოლკოვნიკი? არა, იმათ ორთავემ აიღეს იმაზედ ხელი, არც ერთს იმის ჯაფრი არა აქვს, მეგი მკვდარია, თუ ცოცხალი. პირთან მიიტანა თუ არა შუშა, სტაცა ვიღამაც ხელი, გამოსტაცა და შექაბა:

— მეგი, რას შვრებით მაგას?

მეგიმ დაინახა ხელის შემშლელი.

— ეს როგორ გაბედეთ, რობინ, წყრომით შესაბა მან.

— მთელი საათია უკან დაგდევთ, ბოლოს დაგინახეთ, რომ აფთიაქში შეხვედით. არა, მეგი, თქვენ საწამლაგით არ უნდა მოკვდეთ, განა ღირს თავი

მოიკლათ იმისათვის, რომ იმ საზიზღარმა კაცმა თავი დაგანებათ? ძისერი უტეხია იმ მუხანათს! თუ ჩამივარდა როდისმე ხელში, ცოცხალს არ გადავარჩენ! როგორ წამოდით ამ სიშორეს და ამ ღროსმარტოკა? წამოდით, სახლამდის მიგაცილებთ.

მევიმ სიძწარით ვადიხარხარა და ნაღვლიანად გაიმეორა:

— სახლამდისო!? მე სახლი აღარა მაქვს, სახლიდგან გამომავდეს. მომეცით ისევე ჩემი შუშა.

ამის პასუხად რობინმა დაახეთქა დედა-მიწაზედ შუშა და ნამცეც-ნამცეცად დაამსხვრია. მევიმ ისეთი დაიკიეღა, თითქოს მას გაართყესო.

— ღაჩუმდით! შესძახა რობინმა: თვითონ არ გესმისთ რას ჩადიხართ, რა გინდათ მაგით სთქვათ, რომ იძახით, სახლიდგან გამომავდესო? ბიკოლათქვენნი თუ წაგეჩხუბათ, ეგ სრულებით გასაკვირველი არ არის, რადგან იმისთანა საქმე უყავით იმას. ბიძა-თქვენიც, რასაკვირველია, იმის მხარეს დაიჭერდა, ვალდებული იყო ასე მოქცეულიყო.

— ბიძა-ჩემიო? მე აღარც ბიძა მყავს, რობინ, მე აღარ ვარ თქვენნი ნაცნობი მეგი, ქოსტანციამ მიაბო ჩემი ვინაობა. მე მეგი ღაიზარტი აღარ ვყოფილვარ და არც არაფერი უფლება მქონია პოლკოვნიკზედ, იმას აუყვანივარ, სამადლოდ გაუზღდივარ და ძმის-წულად მიწოდებდა. მამა-ჩემი კაცის მკვლეელი და სამუდამოდ დატუსაღებული ყოფილა. ნუ მეკარები, რობინ, ხელი არ მომკიდო, ასე მგონია,



თითქოს გადამღები სნეულება მკირდეს. «დიდგულა»
 ქორი ქანდარაზედ ჩამოეხიაო,» ეს ანდაზა პატარა-
 რბისას გამოგონია; ხომ გახსოვსთ, რა დიდ-გული
 ვიყავი! მაშ, აღარ უნდა გიკვირდესთ, რომ თავის
 სიკვდილი ვირჩიო. მე მამაცად არა ვარ გაჩენილი.

მეგი შეჩერდა, თითქო რობინისაგან მოფლოდა
 პასუხს, მაგრამ იგი გაშტერებული მიჩერებოდა.

— რასაკვირველია, ღანტრან მაულტრი ვერ
 მოითმენდა ამ გვარს შეურაცხყოფას, განაგრძო მე-
 გიმ, რომ ესეთის დამნაშავეის კაცის ქალი შეხედო-
 მოდა ცოლად; ამიტომაც მიმატოვა, მაგრამ მაინც
 ძნელი ასატანია მისი აგრე მოქცევა. შველამ მიმა-
 ტოვა, ახლა თქვენც გთხოვთ მარტო დამტოვოთ.

— მეგი, ნუ თუ მართლა არა გაქვსთ თავის
 შესათარებელი ბინა? მე შეუძლებელია, მწუხარეს
 სახით ჰკითხა რობინმა.

— შესაძლებელია და აგრეც არია. ბიჩ-ბოლფე
 დაკტილია და პოლკოვნიკი ახალ-გაზდა შეუძლით
 ხელ მეროპაში მიბრძანდება. შეუბნებით თაფი
 დამანებეთ, რა უფლება გაქვთ ჩემს საქმეში გაე-
 ჩიოთ? მიბრძანებ, მომშორდით თავიდან მეთქი!

— თქვენის ბრძანებისა გაგონება არ მინდა,—
 მიუგო რობინმა და ხელი წაავლო: ახლა იმ გვარ
 მდგომარეობაში ხართ, რომ მარტო თქვენი დატო-
 ვება შეუძლებელია. ახლა თითქმის შუაღამეა და
 ქუჩა-ქუჩა მარტო სიარული შეუძლებელია. წამო-
 დით ჩემთან...

— თქვენთან? სად?

— მე აქვე ვდგევარ. ჩემი და სიამოვნებით მი-
გიღებსთ, ხომ იცნობთ პრიუს? თუმცა ძლიერ
მდიდრად არ ვსცხოვრობთ, მაგრამ თქვენთვის ყვე-
ლაფერს ვიშოვნით.

ძალი გაუსხლტდა ხელიდგან და დაცინებით შეს-
ძახა:

— რობინ! თქვენში ერთი ნამცეცხე თავ-მოყ-
ვარეობა არ ყოფილა, მე თქვენ ყოველთვის ისე
გვეპრობოდით, როგორც მონას, მუდამ დაგცინო-
დით და გარცხვენდით, რამდენიც შემიძლო, და აქ-
ლა, როცა შევიძლიათ გარდამიხადოთ, მიბრალეობთ
კიდევ? თქვენმა დამ, არა მგონია, მადლობა გით-
ხრას იმ ქალის ოჯახში შეყვანისათვის, რომელიც
მთელს ქალაქში შერცხვენილია და ყველა ნაცნო-
ბებისაგან უარ-ყოფილი; არა! არა! მე არ შე-
იძლება...

მეგი გარქცა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის შემ-
დეგ რობინმა გზა გადაუღობა.

— დამანებეთ თავი მეთქი, დაუყვირა მეგომ
ხვეწნით და ძუქარებით.

— არა, არ შეიძლება, მიუგო რობინმა...

მეგის ამის მეტი აღარა გაუგია-რა; თვალები
დაუბნელდა და გულ-შემოყრილი დედა-მიწაზედ და-
ეცა. ზონება წასრულს ხელ-ახლად მოეჩვენა თავის
წარსული; ნახა თუ როგორ უტდიდა ღანტონ-მა-
ულტრის ქუჩყიანს სასტუმროში; ხედავდა საშინელს



ტაროსს და ემოლა გასაოცარი ქუხილის ხმა. ამის შემდეგ გამოეცხადა მშვენიერი ლანტონ მაულტრიც, მაგრამ ყველა ეს მოჩვენება სიზმარი იყო და გაჰქრა.

— ოჰ, რობინ! ოქვენ მეუბნებით, რომის საძაგელია, ბოდავდა მძინარე მეგი, და მაფრთხილებდით ტყვედ არ მექცია ჩემი გული, მაგრამ ამისათვის გაგიჯავრდით და როგორ გაგიჯავრდით! შემდეგ მოეჩვენა, რომ მიდის უცხო გზაზედ, მამა-მისის საძებრად, რომელიც თავის დღეში არ უნახავს და შეშინებულის ხმით წამოიძახა: «იმას მოუკლავს დედა-ჩემი და ახლა მეპალება, ვერ ბედავს ჩემს ნახვას...»

საშინელი სიცხე სტანჯავდა მეგის. რამდენიმე კვირა ებრძოდა სიკვდილ-სიცოცხლეს. შრთს დღეს დიდი-ხნის ძილის შემდეგ, მეგის ჩაესმა ვილასიც ხმა:

— ღმერთო ჩემო! როდის მოვა ეს ქალი გრძნობაზედ, მგონი აჯობებს, რომ მეორე ექიმი მოვაყვანინოთ, რა მხეცები არიან ეს ექიმები. ოქვენ ნახავთ, როცა ქალები დაიჭერენ მათ ხელობას, რა ცოტა სიკვდილი იქმნება მაშინ! ქაცები ახლა წინააღმდეგები არიან, მაგრამ...

მეგიმ გაახილა თვალები, გაიხედ-გამოიხედა და დაინახა დაბალი, პატარა, მაგრამ სუფთა ოთახი, ფანჯრებზედ შენიშნა თოვლივით თეთრი ფარდები, ამგვარივე სუფთა საფარი ტახტზედაც და საპირ-ფარეშო სტოლზედაც ეფარა; სტ. აუარებელი შუშები ეწყო და

შუაზედ ლამაზ იდგა. საფერხელს უჯდა გამხდარი ქალი, შვი კაბით, ჭალარა თმა წმინდად ჰქონდა დაეარცხნილი და ჰკუიანი თვალეზი გადმოჰყურებდა დიდკეხიან ცხვირსა. მეგი ვერ მიმხედარყო სად იწვა.

ქალმა შეხედა მეგის, რომ განცვიფრებულად იყურებოდა და სიხარულით წამოიძახა:

— რობინ! მგონია, გრძობაზედ მოდის.

რობინ მოადგა კარებზედ და აღელვებულის ხმით ჰკითხა:

— დარწმუნებული ხარ, პრიუ, რომ მობრუნდება?

— აბა, თვითონ შეხედე!

რობინი მიუახლოვდა მეგის და იმათი თვალეზი ერთმანერთს შეხედნენ.

— თქვენ მომიყვანეთ აქ? ჰკითხა ავად-მყოფმა.

— დიალ, წყნარის ხმით მიუგო რობინმა.

— ავად ვიყავი განა?

— დიალ.

— მერმედ თქვენ მივლიდით და ზრუნავდით ჩემთვის?

რობინს უნდოდა ნამდვილი ეპასუხნა, მაგრამ პრიუმ წაავლო ხელი და ჩამოაყენა.

— რას შერები, გინდა მოკლა ქალი? წადი აქედგან, შენც, სხვა მამა-კაცებივით, ერთი ნამცეცი გამჭრიახობა არა გაქვს.

რობინი საჩქაროდ გავიდა ოთახიდან. მისს პრიუ მიუახლოვდა ლოგინს და ლმოზიერის ხმით უთხრა:



— თქვენ ძალიან ავად იყავით, ჩემო კარგო, ახლა კი უკეთა ხართ. მიიღეთ ეს წამალი და გუადეთ დაგეძინოსთ. მერმედ ილაპარაკეთ, რამდენიც გინდათ.

სისუსტის გამო მეგის არ გასჭიფრებია დაძინება, მეორე დღიამდის ტკბილად ეძინა.

— ნუ თუ შემოდგომაა? ზაკვირვებით იკითხა, როცა დაინახა ფანჯარიდგან გაფცქენილი ხეები.

— ღიად, ჩემო კარგო, ახლა ის დროა, რომელსაც პოეტები მიძინებულს ბუნებას ეძახიან, მიუგო პრიუმ. როგორა ხართ ახლა, უკედ, განა? ძალიან მოხარული ვარ; ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს თქვენისთანა ავად-მყოფი, უნდა გამოგიტყდეთ, მე და რობინმა რამდენჯერმე დავასაფლავეთ ამ უკანასკნელს თვეში.

— უკანასკნელს თვეში? ნუ თუ ამდენი ხანი ვიყავი ავად? წამოიღულღულა საცოდავმა მეგიმ. მერმეთ ბინა თქვენ მომეცით და მიეღიღით? ოჰ, რა კეთილი გულის ყოფილხართ...

მისს ლეიტს საშინლად ეჯავრებოდა, როცა აქებდნენ და საჩქაროდ გააწყვეტინა ლაპარაკი.

— ძარების რახუნი მე! მის, უეჭველად ვილაც მოვიდა.

შაიხედა ფანჯარაში და ზიზლით წამოიძახა:

— წარმოიდგინეთ, მამა-კაცო და ისიც რა ხელობის, მეწვრივალე ვაჭარი. პრაფერი ისე არ მე-

ზიღება, როგორც ვაჭარი. მოუთმენელად გაალო
ფანჯარა და გასძახა:—გასწი! ზასწი!

მაგრამ მეწვრიმალის აგრე აღვილად თავიდგან
მოშორება ძნელია, იმან უკურო მალლა ასწია თავის
კიდობანი და დაუწყო ქება საწვრიმალოს.

— ბლექ-ბავენში სწორედ ჭიანჭველასავით
ყრია ამ ხელობის კაცები. არაფერი შინდათქო სა-
ჭყიდლად, გასწი აქედგან! ძიდევ გასძახა მისს პრიუმ.

ჩაკი ნახა, რომ მაინც ფეხი არ მოიცვალა,
წაელო დოქს ხელი და წყალი გადაასხა. მეწვრი-
მალემ უეცრად შესწყვიტა ლაპარაკი.

— ეს ერთად-ერთი საშუალებაა ამათი თავიდგან
მოშორების, ღიმილით სთქვა პრიუმ. მე ძალიან
მეზიზღებიან მამა-კაცები.

— მართლა? რობინიც ხომ კაცია! ისიცა
გძულსთ?

— რობინი? იმის კაცობა ვინ სთქვა ჯერ!
ჩემ თვალში მაინც, სულ აგრე ბავშად დარჩება;
ის ჩემი გაზრდილია, ოცდახუთი წლის ვიყავი, რო-
ცა მამა-ჩემს ახირებული სურვილი მოუვიდა ყმა-
წვილი ქალის შერთვისა; საშინელი ჯიუტი რამ
იყო საცოდავი, მაშინ შეეძინა რობინი. ლმერთმა
იცის, რამდენი წვალება მე გამომივლია მაგისათვის,
თუ კბილის ამოსვლა, თუ ყვავილისა და კისერას
და ვინ იცის კიდევ რამდენ ნაირი ავად მყოფობა...
მაგრამ ეს შრომა ერთი-ორად გამოისყიდა და დამიბ-



რუნა. ახლა ის ერთად-ერთი საუნჯეა ჩემი, ჩენი მამა-კაცები კი საზოგადოდ მძულან.

— ჩისტვი? შაკვირვებით ჰკითხა მეგიმ.

მუმცა მისს პრიუს დიდი ხანია მას შემდეგ გადახდა სამწუხარო შემთხვევა, სიყვარულის გაცუდების გამო, მაგრამ ახლა არაოდეს არ ლაპარაკობდა; ის უყურებდა საქმეს და სჯიდა საზოგადო შეხედულობით. ახლაც ამ გვარი პასუხი მისცა:

— პრევილი ესა, ჩემო ძვირფასო, რომ მამა-კაცები ბუნებითი მტრები არიან ქალებისა. ისინი გეიტატანებენ ყოვლის მხრიდგან. ჩვენს შრომას ნახევრად არ აფასებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ დედა კაცები ვართ, ისინი იღებენ ჩენი საცხოვრებლის შემოსავალს და ნებასაც არ გვაძლევენ, ხმა ამოვიღოთ და მოვიხმაროთ ჩენი საკუთრება. აკრეთვე არ გვაძლევენ უფლებას, წარმოვსთქვათ ჩენი აზრი კანონის გამოცემაზედ, რომელსაც ვემორჩილებით, როგორც ჩვენ, ისე ისინი. შვაქებებენ ყოველ საქმეზედ და იმავე დროს გვაფიწოვებენ, ხელს გვიშლიან. ბევრს ჩვენგანს შეუძლია თავის შრომით იშოვოს ლუკმა პური, მაგრამ ამ მიზანდის მიხწევა ვერ მოგვიხერხებია, ჩენი საკუთარი შეხედულობით ვერაფერს ვერ მივქწვდარვართ, მამა-კაცები, როგორც ბარბაროსები, გადაგველობებიან გზაზედ და გვაბრკოლებენ, მაგრამ, ლვთის მადლით, ეს დიდ-ხანს არ გასტანს, მომავალი გაგვინათებს. ლავიდგება ის ძვირფასი დრო, როდესაც ვისარგებლებთ ჩენი სა-

საქართველოს
საქართველოს

კუთარი უფლებებით: გვექნება ხმა ამორჩევებში და ვიქმნებით ამორჩეულნი. ჩვენ გვინდა გვექონდეს ამორჩევების უფლება, მაშინ აღებ-მოცემობის სული ერთ წამს გაქრება და სინილისიანობა დაიქვრს მის ალაგს დედა-მიწაზედ. თხა და მგელი ერთად მოსძივის, როდესაც დედა-კაცები გასრწნენ ფეხქვეშ იმათ, ვისაც მცარცველობით და ბარბაროსობით მიუნიჭებიათ თავიანთ თავისათვის საუკეთესო უფლებები...

— ლმერთო ჩემო, სად არის ჩემი თმა, მისს ლეიტ? წამოძახა მეგემ, რაც ღონე ჰქონდა, როდესაც მოიხვა თავზედ ხელი და აღარ მოხვდა მშვენიერი თმა.

— თქვენი თმა? ისე წარმოიდგინე, ვითომ არც კი გქონოდე, ჩემო კარგო. ისეთი სიცხე გქონდათ, არ შეიძლებოდა არ მოკვებარსა. ახლა გვეყოფა ლაპარაკი; ამ დღეებში უფრო ვრცლად ავიხსნით ჩემს აზრს მამა-კაცებზედ.

მეგის ძლიერ ესამოვნა ამ საგანზედ ბაასის მოსპობა. ხელახლად ჩაეძინა; ამის შემდეგ ძლიერ მალე გამობრუნდა იგი.

ლეიტის ოჯახობას ეჭირა პატარა სახლი, რომელსაც მუდამ ხედებოდა ზღვის მრთელი ჰაერი. მეზობლებთან არა ვითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა, მხოლოდ ერთი ეჭიმი შემოდინოდა მეგის სანახავად. რაკი მეგი გამობრუნდა, რობინი ველარ ბედამდა მასთან შესვლას.

სწყინდა თუ უხაროდა მეგის, რომ გადარჩა



სიკვდილს, პრიუმ ეს არ იცოდა და ერთხელ ჰკითხა თავის ძმას:

— ამ ქალიშვილის საქმე ძლიერ მაწუხებს, მუდამ ჩაფიქრებულია, თითქმის სულ არ ლაპარაკობს! ეს ცუდი ნიშანია, რობინ; მე მინდა, რომ ძალიან ბევრი ილაპარაკოს და ცოტა იფიქროს, ნუ თუ სიკვდილზედ ჰფიქრობს კიდევ?

მაგის ნუ გეშინია, მიუგო რობინმა.

— მე მოთმინებიდგან გამოვდივარ, როცა გამახსენდება პოლკოვნიკი ლაიზარტი, იმის ჯვარის წერა იმ ღვარძლიან ქოსტანციაზედ და ამ საცოდავის სახლიდგან გამოვდება; იმ ხნოვანებისა და ჭკუის კაცს არ შეჰფერის, გაებას მეუღლეობის ბაღეში, მაგრამ ლმერთს არ გაუჩენია ჯერ იმისთანა ჭკუიანი კაცი, რომ იმავე დროს არ გაეჩინოს უფრო ჭკუიანი და გონიერი დედა-კაცი, რომელსაც არ შესძლებოდეს მისი ყურით თრევა.

— ჩემო საყვარელო პრიუმ, შენიშნა რობინმა, თუ დედა-მიწაზედ არიან მაგისთანა ქალები, და რომ არიან, მაგაში იქვი არ არის, რომელთაც შეუძლიანთ მამა-კაცების აგრე დაბრძალება, რალად უჩივით მამაკაცებს თქვენი სქესის შევიწროვებაზედ?

— ეს იმიტომ, რომ პატროსანი ქალი თავის დღეში არ ეცდება მანქანებით მიახწიოს მაგ მიზნამდის, ეს კეთილშობილება არ არის? მე კიდევ იმას ეფიქრობ, რა მოუხერხო მისს ლაიზარტს? რობინ, როგორ გგონია, ჰფიქრობს, თუ არა კიდევ იმ

მაცდურზედ? როცა ჩვენ მივახწევთ იქამდის, რომ ხმა გვექმნება კანონების შედგენაში, იცოდე, არც ერთს კაცს არ ექმნება უფლება ერთსა და იმავე დროს ეარწიყოს ორს ქალიშვილს.

— რასაკვირველია! რასაკვირველია! დაუყოვნებლად მიუგო რობინმა, მანემდის კი დაანებე თავი მისს ღიზარტს, თუნდ ილაპარაკოს და თუნდ არა, შენ ნუ შეაწუხებ კითხვებით.

— ზახსოვს ის ღამე, როცა უგრძობლად მოიტანე? მაშინ მინდოდა თმიღგან გამეცალე, მაგრამ ახლა...

— ახლა დარწმუნდი, რომ კარკად მოვიქცევი, განა?

— შენ ყოველთვის კარგად იქცევი, აღერსიანად მიუგო პრიუმი.

როცა ხეები სულ ერთიანად გაიფცქენა, მეგიმაც შესცვალა თავის საწოლი სავარძელზედ; ის საშინლად გამოიცვალა, დახუტუტებული მოკლე თმა გარს ეხვეოდა გამხდარს, ყმაწვილურს, მაგრამ საშინელ დაღვრემილს პირის სახეს, ტუჩების გარშემო დახუტული კანები იქეთ შეხედულებას აძლევდა, თითქოს თავის დღეში არ გაეცინოს. მისს პრიუსის ხალათში გახვეული მეგის მშვენიერი ტანი, თითქოს დასცინოდა აღრინდელ დიდებულს და მედიდურს მის შეხედულებას. ბულ-ხელ დაკრეფილი იჯდა ბუხართან და ჰფიქრობდა. ამ დროს შევიდა მასთან მისს პრიუმი.



— რამ მოგაწყენათ, ჩემო კარგო? რას ფიქრობთ? ჰკითხა შეწუქებულის ხმით.

— იმ ღამეზედ ფიქრობ, ქუჩაზედ რომ ვეგდე ბლექ-ბენში, თქვენ რომ არ მომშველდებოდით, რა მომივიდოდა?

— მოცლილი ხართ, რომ მაგაზედ ფიქრობთ. მე უფრო სასიამოვნო ამბავს გეტყვით: ჩემმა ძმამ მშვენიერად დარქირა ეგზამენი. შემოსრულდა ამდენის ხნის მოლოდინი. თუმცა ბევრი წვალება გამომივლია იმისთვის, მაგრამ იმანაც ბევრი იშრომა. ღარწმუნე-ზული ვარ, ძალიან წაიწვეს წინ.

— შექველად, უნებურად წ. მოილაპარაკა მეგიმ. მეგის რაში ეჭირებოდა იმის შეტყობა, თუ როგორი კაცი იქმნებოდა რობინი? მისს პრემ კი აალო ხელ-საქმე და გააგრძო ძმის ქება. ის ვერც კი წარმოიდგენდა, თუ როგორ აწუხებდა მასთან მჯდომს ამ გვარი ბაბი. მა რომ სცოდნოდა, ისე აღერსიანათაც არ მოეპრობოდა მეგის. რობინმა იცოდა საიდუმლოს შენახვა. დღეა საღამო-ყამი. და კარებზედ დააკაკუნა ვიღამაც.

— მა უთუოდ რობინია. შეიძლება აქ შემოვიდეს? ჰკითხა პრემ.

მეგიმ თანხმობის ნიშნად გულ-გრილად დაუქნია თავი. ახალ-გაზდა დამცველი შემოვიდა ოთახში და გაჩერდა ბუხართან. ის გაშტერებით მიჩერებოდა ახალ ნააყადმყოფარს, რომელიც დიდი ხანი იყო, რაც არ ენახა.

— ძლიერ მოხარული ვარ, რომ უკვე ბრძანდებით, მის ღაიზარტ, მოწიწებო უთხრა რობინმა.

— შმაღლობთ, მიუგო მეგიმ და არც კი შეუხედნია იმისათვის.

— მე კიდევ უამბე, მის ღაიზარტს წენი ეგზამენის დაჭერა და დოქტორი' დამლომის მიღება, მხიარულად უთხრა პრიუმი.

მევი ახლა იძულებული იყო ეთქვა რამ ყმაწვილი კაცისათვის.

— მომილოცავს და ვისურვებ თქვენს გამარჯვებას მომავალში, რობინ! უთხრა მეგიმ. ბიჩ-ბოლღეში ხომ არ ყოფილხართ ჩემს ავად-მყოფობაში?

— ბიჩ-ბოლღე დაკეტილია. თქვენ რომ წამოდით იქიდან, მეორე დღეს პოლკოვნიკი ცოლით გაემგზავრა მკროპისაკენ. ეს გაზეთებშიაც იყო გამოაცხადებული.

— მაშ, არ მოუტყუილებივარ იმას, სიმწრით სთქვა მეგიმ. ცვლილებაა რამე ბიჩ-ბოლღეში? ქასტორი ხომ არ გინახავს?

— არა სულდგმულო არ მინახავს, არც არაფერი ცვლილებაა. ქასტორს უეჭველად მოსამსახურეები წაიყვანდნენ.

მევი წამოიწია და ნაღელიანის ხმით ჰკითხა:

— რობინ, გახსოვსთ იმ ღამეს ეკკლესიასთან, რო გელაპარაკებოდით ჩემი და მამი-ჩემის ამბავს, მამი-ჩემის გვარი ხომ არ მიხსენებია?

— მაშინ არა, მაგრამ ავად-მყოფობაში კი წამოაბოდეთ.



მეგობრად წაველო პაწაწინა ხელი რობანს და კანკალით ჰკითხა:

— თქვენი ქირივე, რობინ! მითხარით, თუ შეტყვევებთ რამე მამა-ჩემსად? მე მგონია, რომ თუ არაფერი შეგეტყოს, ასე არ იქმნებოდით.

რობინის სახეზედ საშინელი მწუხარება გამოიხატებოდა, თვალს არიდებდა მეტი, რომელიც მულოდინით მისჩერებოდა.

— შევლაფერი მართალი კოფილა, რაც მითხარით, უთხრა ბოლოს რობინმა.

— ბევდრებით, რომ დაუფარავად მითხრათ ყველაფერი, რაც შეტყვევებ, ვხეწებოდა მეგი.

— თუ ღმერთი გწამს, დამშვიდდით; მე ისეთი არაფერი შემიტყვია, რომ თქვენც არ იცოდეთ.

— მის გამოკითხვით?

— არავის. ნაწარმოები საქმის პირი ვნახე და იქიდან გავიგე ყველაფერი.

— მერმეთ როგორი დაკენა გამოიტანეთ იმ საქმიდან შილაზე ბარმინსად?

— დამშვიდდით, თუ ღმერთი გწამს. თქვენ ჯერ კიდევ ავითა ხართ, ვხეწებოდა რობინი და არ უნდოდა ნამდვილი პასუხი მიეცა.

— პასუხი მომეცით მეთქი, გაცხარებით დაუყვირა მეგი. მინდა ვიცოდე, ჩამოხრჩობის ღირსი იყო, თუ არა მამა-ჩემი.

რობინი სიცოცხლედ რომ ამ პასუხზედ ჰყოფილიყო დამოკიდებული, მაინც არ შეეძლო ნამ-

დვილი ეთქვა; გაქვავებულივით იდგა და მიჩქერებოდა მეგის.

— ახლა კი დარწმუნებული ვარ, რომ ის დანაშაულია! თქვენი სახე მიმტკიცებს ამას! საშინელის განწირულებით წამოიძახა მეგიმ. სად არის ის საქმე? მომეცით, მე უნდა წაეიკითხო.

— მე შეუძლებელია! ი, მოგკლავსთ თქვენა, შეშინებულია სახით მიუგო რობინმა.

მეგიმ დაიფარა თვალეზზე ხელი და ძლივს წამოილაპარაკა:

— ერთს კიდევ გკითხავთ: ვის უპატივებია ჩამოხრჩობა? მის უშრომია, რომ საშინელი გადაწყვეტილება აგრე შეემსუბუქებიათ?

— პოლკოვნიკი ლიპარტის დაუშრომელს მეცადინეობას გამოუხსნია, იგი ყოფილა მისი გულითადი მეგობარი.

მეგის დიდი იმედი ჰქონდა თავის გულადობის, მაგრამ ეს კი ვეღარ მოიხმინა, უგრძნობლად დაეცა სკამზედ. მისს პრიუმ მიიღბინა და საშინლად დაუყვირა რობინს:

— ხომ არ ვადარეულხარ? შინდა, რომ კიდევ ავად გახდეს? მეც ძალიან კარკად მახსოვს იმ კაცის ამბავი, რა საქმის მომქმედიც იყო, მაგრამ კი არაფერს ვამბობ. ზადი აქედგან, თუ ლმერთი გწამს, თორემ კიდევ იტყვი რასმეს.

მეგის თვალ წინ წარმოუდგა, რაც პოლკოვნიკის ოთახში ენახა. მოაგონდა ის კაცი, რომელიც



ისე საშინლად იხედებოდა ხოლმე წამოხურული წარბებიდგან, თუ როგორ სიტყვა აღჩინდებოდა ბიძამისთან ამკედრობისგან გამოგზავნილისა ცხადად დეხატა თვალ წინ: მამა მისი მკვდარია ქვეყნისათვის, საუკუნოდ დასაფლავებული სატუსალოში. ი ინი ნამდვილად იმაზე ლაპარაკობდნენ საღუმლოდ, მაგრამ რას ნიშნავდა პოლკოვნიკის სიტყვები: «ის მართალია! არ არის დანაშაული!»

მეგი წამოვარდებოდა ხოლმე და ეძებდა ამ საშინელს მოციქულს, მაგრამ სად წახვდა? არც მისი ბინა იცოდა და არც პოლკოვნიკისა, რომ გამოეკითხნა იმათთვის. თუმცა იმედი ჰქონდა, მაგრამ როდის აუსრულდებოდა, ეს კი არ იცოდა. ბნელაში გააშვირა ხელეწი და საშინელის განწირულებით წამოიძახა:

— მოვიტმენ კვირების, თვეების და წლების მოლოდინსაც და როცა შენ დაბრუნდები, ბიძა-ჩემო, შენს ნახვას არა თუ პოსტანცია, მთელი ქვეყანაც რომ დამედვას, ვერ მომეშლის, შენი პირიდგან უნდა გავიკანო შილიბე ბარმინის ისტორია.

მეორე დღე საშინელი მოღრუბლული დღე იყო და ცოტა თოვაც დაიწყო. სადილად რომ ისხდნენ, მისს პრიუმ დაიწყო ლაპარაკი და თან მიჩერებოდა მეგის კეთილის თვალებით.

— ჩემო კარგო მეკი, რაბანი მიდის ამ დღეებში ბოსტონში, რომ საქმეების დაცვას შეუდგეს. მე აქ მარტო მყოფებს, ხომ იცით, მარტოობა სასიამოვნო არ არის; მე ხომ არც კატა მეყვარს და

არც თუთუყუში, ამის გამო თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს: დარჩით ჩემთან და პურ-მარილი შუა გავიყოთ. აქმდის ეწიშობდი, ვითომც სხვა აზრზე აღდექათ, მაგრამ ჯერ-ჯერობით, სანამ კარგად არ გამოძრთელდებით, ჩემთან უნდა დარჩეთ.

რობინი გაწითლებული და ჩერებოდა თეფშს.

— იმედი მაქვს ჩემის დის თხოვნას პატრისასცემთ, ხეწნით უთხრა მეგის. მე სულითა და გულთ გთხოვს მასთან დარჩენას, ჩვენ ბევრს ვერას შევკირდებით, მაგრამ...

მეტი წამოდგა, მიბნედილი თვალები ავესოვრებლით და მადლობის გრძობით მიუგო ორთავს:

— თქვენ ძლიერ კეთილი გულისა ხართ. სატყუაც ვერ მიპოვნია მადლობისათვის; არ ვიცი რით დავიმსახურე ამდენი სიკეთე.

— მადლობა საკირო არ არის, ჩვენი სათხოვარი ეს არის, მხოლოდ სიტყვა მოგვეცით აქ დარჩენის, უთხრა მისს პრიუმ.

რობინი უფრო ახლოს იჯდა მეკისთან; ქალმა სრემლს ქვეშ გაღიმებით ჰაუშვირა მას ხელი.

— მომეცით დრო, მოვიფიქრო, ხვალ გადაწყვეტილს პასუხს გეტყვი.

მისი ხელის შეხებით რობინს ერთხანტელმა დაუარა ტანში. იგი ხედავდა იმის თვალებზედ სრემლსა, რომელიც მის სხივივით ანათებდა მწუხარებით მომღიმარე, მკრთალს პირის სახეზედ; ველარ მოითმინა, საჩქაროდ მიიტანა ტუჩებთან პაწაწინა ხელი და აკოცა, მევიმ გამოასტაცა ხელი და წარბები მოღუშა.



— უკაცრავად, მომიტევეთ; არ მეგონა, რე გეწყინებოდათ, უთხრა რობინმა.

— სწორედ სულელია! იფიქრა მისს პრიუმ. შოველი კაცა შეიტყობს, თუ ამან საქმე არ ჩაფუშო!

იმ ღამეს აღრიანად დაშორდნენ ერთმანერთს, მეორე დღეს დიდ-ხანს უცადეს და-ძმამ საუზმეზედ მეგის, მაგრამ არ ჩამოვიდა. მისს პრიუ ავიდა და კიბიდან შესძახა:

— აგერ რვა საათია, ნუ თუ ამდენი ხანი გძინავს, ჩემო კარგო?

პასუხისათვის აღარ დაუცდია, შევიდა ოთახში; ოთახი ცარიელი დახვდა, ლოგინზედ ნაწოლი არ ეტყობოდა, მისს პრიუს სახეცხველ პატარა ბარათი იღვა სტოლზედ. პრიუმ ჩაავლო ხელი და საჩქაროდ გადაიკითხა:

«ჩემო კეთილო და საყვარელო მისს პრიუ, ნუ გამიჯავრდებით, რომ მივდივარ თქვენგან, უეჭველად უნდა წავსულიყავი; მომიტევეთ, რომ გამოთხოვება ვერ შევიძელი. თქვენი პურ-მარილი, რომელიც სამოწყალოდ მეძლეოდა, ერთობ გემრიელი იყო, მაგრამ მეტად ველარ ვისარგებლებ. იქნება შევიძლო გადაგიხადოთ როდისმე ჩემს ავად-მყოფობის დროს ნახარჯი, მაგრამ თქვენი მზრუნველობისა და აღერსიანობის სამაგიეროს გადახდას კი ვერ შევიძლებ. ღმერთი იყოს თქვენი და თქვენის ძმის შემწე.»

მეტი.

ბარათთან ეწყო სხვა-და სხვა ძვირფასი
 თები და პატარა ქისა ფულით. მისს პრიუ საშინ-
 ლად შეწუხებული გამოვარდა და ყვირილი დაიწყო:
 — რობინ, ის გაპარულა მარტოდ-მარტო, ავად-
 მყოფი, უფულოდ, გროში-კაპეიკი არ წაუღია;
 იმას ველარ ენახავ ჩემს სიცოცხლეში, ვინ იცის რა
 ცხოვრებაში შეჭტოპავს!...

V.

ზავიდა სამი წელიწადი. იდგა გიორ-
 გობის თვე. ბოსტონის ქალაქი გამშენიერდა. ლუქ-
 ნების დიდრონს ფანჯრებში გამოფენილია თვალის
 მიმზიდავი სხვა-და-სხვა ფართლელეობა, სახალხო
 ბაღებში ყვავილებს ჭკნობა შეჰპარვია, თვალ-უწ-
 დომელს ხეებს უკვე ფოთლები დასცვენია, სიცვი-
 საგან დაწითლებული ხალხი დასეირნობს მაშინ-
 გტონის ქუჩაზედ.

მართს სამკერვალოს სახ.ოში, რომელიც საუ-
 კეთესოა ამ ქალაქში, განსაკუთრებით ამ დღეს მო-
 მეტებული საკერავეებია. მარდი ფრანცუხის ქალი,
 მმართველი ამ სახელოსნოსი, გარეტიანებული დარ-
 ბის ამდენი საქმის გამო, ზოგისათვის უნდა მოერ-
 გო ტანზედ კაბა, ზოგისათვის უნდა სახლში გაეგ-
 ზაენა, ზოგისათვის გააწყობები უნდა გამოეცვალა
 და ყველა ესენი საღამომდის მზად უნდა ყოფი-
 ლიყო.

— ბაუკზაენეთ კაბა მისტრის რაედერს? **იკით-**
ხა მან.

— ნახევარი საათია, რაც გავგზავნეთ, მიუგეს ქა-
 ლებმა.

— შეიღი საათისათვის მზად იქმნება მისს
 შორტისკი უს კაბა? ამელამ უნდა ბალში წასასვლელად.

— ორი არშინი გასაწყობი დაგვაკლდა, არ შე-
 იძლება გავგზავნოთ ვინმე?

შრანცუზი ქალმა გაიხეღ-გამოიხეღა და დაიძახა:

— მის ბრე!

დაახილზედ წამოდგა მაღალი ტანის, შავ-თმი-
 ანი ქალა.

— თქვე ძლიერ უყვარხართ მისს შორტესკიუს,
 ღიმილით უთხრა უფროსმა ქალმა. ვადით, თქვენი ჭირი-
 მე, და უთხარით, რომ ორი არშინი კრუჟევეო კიდევ
 გამომიგზავნოს და მათი სურვილისამებრ გავუწყობთ
 ვარდი ფერს აბრეშუმის კაბას, მაგრამ გაფრთხილდით,
 არ დაგეკარგოსთ, ძალიან ძვირფაია.

— მესმის, დამშვიდებულას ხმით მიუგო მისს
 ბრემ, მაგრამ რომ არ ვიცი სად დგას მისს შორ-
 ტესკიუ?

შრანცუზის ქალმა ანიშნა მისი სადგომი, და
 მისს ბრე გავიდა ოთახიდგან.

ეს იყო მევი. იმ ბედნიერს დროს, როცა ის
 ბიზ-ბოლენში აცხოვრებდა, მარგარიტს ბრე-დაი-
 ზარტს ეძხდნენ და იქიდგან წამოსვლის შემდეგ გა-
 დითქვა მის ბრე. დაიზარტის გვარზედ აღარაფერი



უფლება ჰქონდა და ეს მაინც მისი საკუთრება იყო. მარმინიც ხომ მას ეკუთვნოდა, მაგრამ არა, ამ გვირის ტარება იმას არ შეეძლო...

სამის წლის განმავლობაში იმის ცხოვრება რამდენიმე სიტყვით შეიძლება გამოითქვას. როცა მეგი განცხრომით სცხოვრებდა, ეს პატარა ფრანც. ქალი მისი ტანისმოსის მკერავი იყო. შეიძევ, აველასაგან ხელაღებულმა, მიმართა მას, უამბო თავისი თავ-გადასავალი, სთხოვა სახელოსნოში ადგილი მომეცი და მასს ბრევი მიწოდეო. მარდი ფრანცუზის ქალი სიამოვნებით დაეთანხმა; სამი წლის განმავლობაში მეგი თავის ურომით ირჩენდა თავს, ინჯრაზედ გარჩეხული იყო ერთს ოჯახში, სადაც ყველანი შეუთვისებელს ლამაზს ეძახდნენ და უკვირდით, რომ ის მუდამ ათვალისებრებდა ქალაქში მომსვლელ-წამსვლელების სიას.

ამდენს ხანს კიდევ ვერაფერი შეეცო მამა-მისის და პოლკოვნიკი ლიზარტის. უკანასკნელი ჯერ არ დაბრუნებულა იყო მეროპიდგან და არც არაფერი იცოდა, როდის დაბრუნდებოდა. უცხო ქალაქში მეგი მუშაობდა დილიდგან საღამომდინ, ხან იმეღი მიეკემოდა და ხან სასოწარკვეთილებაში იყო, რომ პოლკოვნიკს ვეღარ ვნახეო.

— იქმნება თავის დღეშიაც აღარ დაბრუნდეს ამერიკაში, იქმნება ძაღსტანციაშ უკანასკნელს დღემდის იქ გაატარებინოს, ჰუიქრობდა მეგი განწირულებით გატაცებული.



მაშინგტონის ქუჩაზედ მოსვირნე ქალი და კაცი მიჩერებოდა მიმავალს მეგის; სამის წლის დაულაღვი შრომით ცხოვრება არ დასტყობია იმის სახე. მაყვალაფით შავი თმა, რომელიც მოპარსა მისს პრიუმ, ერთი-ორად უფრო ხშირი ამოსვლოდა და სხვილ ნაწნაფებათ დაჰკეთებოდა. მეგი ცოტათი გაიზარდა და გაუქდა კიდევ, თავი მუდამ ამაყად ეჭირა, უბრალო, გაცვეთილი ტანისანოსი სრულებით არ აუშნოებდა იმისს სილამაზეს, თავ-ჩალუნული საჩქაროდ მიეშურებოდა ბიკონ-ბლიუში.

მუჩას მოსახვევში მეგის ჩამოუქროლა მშენიერმა კარეტამ, რომელსაც ხშირად ნახავდა ხოლმე სახელოსნოში. კარეტაში იჯდა ყმაწვილი კაცი ოქროს ფერი ხუჭუქ-თმიანი, რომელსაც ლამაზ პირის სახეზედ გარშემოზღუდოდა ქერა წვერ-უღვაში. მეგი წაბარბაცდა, თითქოს თავრეტი დაეხვიაო. ღროთა-ფითარებას სრულებით არ გამოუყვლია ღანტონ მაულტრი: აღრინდელივით უღარდელად იღიმებოდა და ელაპარაკებოდა ვილაც ყმაწვილს ქალს.

ბაძტერებით მიჩერებოდა მეგი მიმავალს კარეტას, თითქოს მის წინ საშინელი მოჩვენება წამოდდგარიყოს საულაფიდგან. ღანტონ მაულტრი კიდევ აქ არის და შორტესკიუს კარეტით დასვირნობს! მეგის მოაგონდა, რომ ეს სწორედ ის შორტესკიუ უნდა იყოს, რომელიც ისე თავ-განწირულად უვლოდა ღანტონს ავადმყოფობის დროს.

მალაქის ხმაურობამ გამოიყვანა მეგი ღრმა

ფიქრი ღვან და მოაგონდა, რომ ის, მისს ზრეი, ქმისათვის არის-გაგზავნილი. ზულის კანკალით გაეშურა ბოსტონის საუკეთესო ქუჩისაკენ. შორტესკიუს სახლი განსხვავებული იყო სხვა სახლებადგან. მევიმ საჩქაროდ აიზინა კბეზედ და კარებზედ მაკრულა ვერცხლია ფიცარზედ წაიკითხა სახელი და გვარი იმ კაცისა, რომლის გაგონებასაც კი უშლიდა პოლკოვნიკი. ბედმა მოაგდო ახლა იმის სახლში და მევიმ მთრთოლვარეს ხელით ჩამოსწია ზარი, რომ შესულიყო მასთან. არაბმა გაუღო კარები და უბასუხა, რომ მისს შორტესკიუ სახლში არ არის და მალე დაბრუნდება.

— შე უნდა მოვეუცადო, მიუგო მისს ზრეიმ.

მოსამახურემ გააჭარა მშვენიერად მორთული ოთახები, გამჭორებული საუცხოვო სუნნელებით. შემდეგ გააღო ერთი ოთახის კარები და მოახსენა ვილასაც:

— მალე ქალი გახლავსთ მისს შორტესკიუსთან.

მართი წამის შემდეგ მევი შეიყვანეს დედის-ერთა მისს შორტესკიუს ოთახში. ოთახი სულ ერთიანად აღისფერი ატლათით იყო გაკრული და ოქროთი მოვარაყებული. ნატაკიც მოფენილი იყო ხავერდის ხალიჩებით, მქრალი სინათლე, რომელიც შემოდრიოდა ატლასის ფარდებიდგან, ანათებდა მშვენიერს სურათებს კედლებზედ; ერთს კუთხეში იდგა იპონიური ხელობის მშვენიერი ეტაჟერკა, საესე



სხვა-და-სხვა თავის შესაქცევ ნივთებით, მეორე მხარეს-შავი ხის პანინო; რბილს ტახტზედ წამოწოლილი იყო ხანში შესული, ძვირფასად მორთული ქალი, ხელში ეჭირა წიგნი და სთვლემდა. მეგის შესვლაზედ გამოეღვიძა და წამოიწია.

— რა გნებავსთ? ჰო, ჰო, უკაცრავად, მომაგონდა! თქვენ მკერავი ხართ, ფრანც. ქალის გამოგზავნილი, განა? ჰკობხა ქალმა და მიიტანა თვალგებზედ ოქროს სათვალეები. ჩემა დის-წულთანა გაქვსთ საქმე? სახლში რომ არ არის!

მეგამ მოკლედ აუხსნა მასი მოსვლას მიზეზი.

— მეტი გზა არ არის, უნდა მოუცადოთ. მე არ ვიცი, სადა აქვს შენახული კრუჟევეები და მაინც გაჯავრდება, რომ მის საქმეში გავერიო.

ამ სიტყვების შემდეგ ისევ წამოწვა და კითხვა დაიწყო. მეგი კუთხეში მიჯდა და ათვალღერებდა ოთახს. რამდენი ხანია ამისთანა მდიდრულად მორთულ სახლებში არ ჰყოფილა! ამ წამამდის არ უგრძენია მეგის, თუ რა სამძიმო იყო იმისთვის სიმდიდრის დაკარგვა.

ღამდებოდა კრდეც, მაგრამ კრუჟევის წაუღებლად არ შეეძლო მეგის დაბრუნება. ბოლოს კარტის ხმა მოისმა და ოთახში შემოვიდა ლილიანი შორტესკიუ, ერთად-ერთი მემკვიდრე ქალაქისა-პატიო მსაჯულისა.

მა იყო პატარა ტანის, გამხდარი, ძალიან ახალგაზდა, ძალიან ულამაზო ქალი, პატარა პირისა-სა-

ხე ელ გადაჰკროდა ავთმყოფობის ყვითელი ფერი, მხოლოდ დიდრონი, შავი თვალები აძლევდა სასიამოვნო შეხედულობას, სახეზედ ეტყობოდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ ჰქონდა. შეჭელა მეგის თუ არა, წამოიძახა:

— თქვენ მიცდით აქ, საყვარელო მისს ბრეი! მსაჯულის განაზებული და განებერებული ასული არავის ისე მეკობრულად არ ექცეოდა, როგორც ამ საბრალოს და ლამაზს მკერავ ქალს. მეგემ მოახ ენა დანაბარე'ი.

— დედა, თითქმის ბრძანების ხმით უთხრა მოხუცებულს ქალს, უთხარით სელესტას, მომიტანოს ორი არშინი კრუჟევი ჩემი ვარდის-ფერი კაბისათვის.

— მისტერ მაულტრი სადღაა, ჩემო კარგო? ჰკითხა მიმავალმა დეიდამ.

— დაბლა სასტუმროში არის, მიუგო ლილიანმა და ცნობის მოყვარეობით ათვალისებდა მეგის.

— როგორ დაგკარგვით ვერი! ილალებით, განა, მთელი დღე კაბების კრებით? არა! მისს ბრეე, მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მაგ გვარი ცხოვრებისათვის არა ხართ გაჩენილი.

— ჩემთვის სული ერთია, ძალიან მიყვარს კერვა. ჩემი ხელობა ეს ხარის, დაბნეულად მიუგო მეგემ, რომელსაც მაულტრის აქ ყოფნამ თავხარი დასცარა და ქნას, რომ უეცრად შემოაღოს კარები და შემოვიდეს?



— დაეჯერო? შმაწვილურის ხმით განაგრძო ლილიანმა. პირველის შემოხედვისათანავე შეკატყობსთ ყველანი, რომ თქვენ შესაფერხს ადგილს არა ხართ, შეუძლებელია, რომ თქვენ სანატრელი ცხოვრება არ გამოგველოსთ, თქვენს უფროსს ვკითხე თქვენი ამბავი და მითხრა, რომ თქვენა ხართ განათლებული და დიდი გვარის შთამამავლობისა, სხვა კი არა მითხრა რა.

მეგი საშინლად შეწუხდა და რომ გადაესხვაფერებინა ლაპარაკი, წამოდგომა დააპირა.

— ახლა გვიანაა და თქვენც სტუმრები გყავსთ, თუ შეიძლება გამისტუმრეთ, ჩემი უფროსი ქალი გამიწყრება, რომ დავიგვიანო.

მისს ფორტესკიუმ მოჰკიდა სამაჯგებით შექვდილი ხელი და სკამზედ დასვა.

— ჩემს სტუმარს შეუძლია მომიცადოს. თქვენს უფროსს უთხარი, რომ მე დაგაგვიანეთ და ვერ გაბედავ გაგიწყრებათ. სელესტა ისეთი უხეიროა, რომ კიდევ უნდა მოეწყადოთ.

— მეგი უღონოდ დაეშო სკამზედ, ისე ეშინოდა, თითქოს იატაკი ჩაეარდნას აპირებდნო.

— მისს ბრეო, განაგრძო ლილიანმა, გახსოვსთ, პირველად რომ გნახეთ? ძროი წელიწადია მას შემდეგ. მე ეს შალიან კარგად მახსოვს, რადგანაც მაშინ პირველად გამოვედი საზოგადოებაში; მე და დეიდა ჩემი მივედით სამკერვალოში კაბების შეკერვის შესაკვეთად, ფრან. ქალ. დაგიძახათ თქვენ, რომ გეჩვენ-

ნებიათ პარიჟის მოდის ჟურნალები. ლმერთო ჩემო!
რა მშვენიერებად მომეჩვენეთ! მე ძვირად მივაქცევ
ხოლმე უცნობს ადამიანს ყურადღებას, მაგრამ თქვენ
უეცრად მიმიზიდეთ. როცა დავბრუნდი, დეიდა-ჩემს
ფუთხარი: «ის მისს ზრეი მეფის ქალი უნდა იყოს
მკერავის ტანისამოსით ჩაცმული, იმის ისტორია
უეჭველად შესანიშნავი რამ იქმნება მეთქი.»

— თქვენ ძალიან კეთილი გულისა ხართ, რომ
ჩემი ვინაობის შეტყობა გინდათ. მეც მახ-
სოვს ჩვენი პირველად შეხვედრა, აღელვებულის ხმით
მიუგო მეგობ.

ლილიანმა აღერსიანად დაადო მხარზედ ხელი
მეგის და ჰკითხა:

— თქვენ ყოველთვის შავი ტანისამოსითა ხართ,
უეჭველად ახლობელი მოგკედომიათ ვინმე?

— ღაღ, მიუგო მეგობ.

— ძალიან მწყენს სწორედ. ახლა უეჭველად
მარტოკა ხართ. თუმცა ძნელი დასაჯერებელია, მაგ-
რამ მეც ხშირად მაწუხებს მარტოობა. პრთად-ერთი
მამა-ჩემი მკავს ახლობელი და უზომო აღერსიანა-
დაც მექცევა, მაგრამ რა გამოვიდა! ის ძალიან ჰკუი-
ანი და განათლებული კაცია, ყველაფერი იცის
თითქმის, — მე და ის ძალიან შორი შორსა ვართ
ჰკუთო, მე მგონია, მაშინ უფრო მე ვეარებოდა,
ამდენი რომ არაფერი იცოდე. ბევრი რამ არის
ისეთი ქვეყანაზედ, რომ ფულით არ იშოვება. მე



ხომ თქვენისთანა ლამაზი და ტან-მრთელი არა ვარ, მაგრამ რა ვქმნა, რომ სიმრთელე ფულით არ იშოვება!

— მართალია, თანაგრძნობით მიუგო მეგიმ.

— ხანდის-ხან საშინლად მომესურვება, რომ ჩემის ხნის ამხანაგი მყავდეს, რომელსაც შეეძლოს ჩემი გართობა, როდესაც მოწყენილი, ან ავად ვიქმნები, ამოოხვრით განაგრძო ლილიანმა. ეს ჩემი სურვილი უეჭველად უნდა გამოუცხადო მამა-ჩემს, ის არაფერზეც უარს არ მეტყვის ხოლმე. ახლა ეს მიიხარით, ხომ კარგად გეპყრობათ თქვენი უფროსი?

— ძარკად. მაინცა-და-მაინც ფიცხი ქალი არ არის.

— მ. ი. როცა გაცხარებული მუშაობა აქვს, ცუდ გუნებაზედ არის, თუ დროზედ არ მოუსწრებთ, განა? სიამოვნებით სცხოვრობთ იმასთან? თქვენმა კარგმა ნაცნობმა რომ გიშოვოსთ იმისთანა ადგილი, საცა უფრო ნაკლები შრომა დაგჭირდესთ, არ მიიღებთ?

მეგის თვალები ავესო ცრემლით, რამდენი ხანია ასე თანაგრძნობით მისთვის არავის არაფერი უთქვამს.

— ლიდის სიამოვნებით მივიღებ, მიუგო მეგიმ. ამ დროს შემოვიდა სელესტაც.

მეგიმ აიღო გამოხვეული კრუქვეო და წამოდგა; ლილიანიც ადგა და მიუშვირა მეგის გამხდარი ლოყა.

— პირთი მაკოცეთ, თუ გიყვარდეთ.

მეგი დაიხარა და მხურვალეს გრძობით აკოცა პაწაწინა ლილიანს.

— მაშ, ახლა ნახვამდის. ჩვენ კიდევ გავაახლებთ ჩვენს ბაასს. სელესტა, გზა უჩვენე მისს ბრვის.

სელესტამ შეურაცხყოფად მიიღო ამ გვარი ბრძანება: თვითონ, ამისთანა მდიდარი ოჯახის მოსამსახურემ, უნდა ვააცილოს ვიღაც, ჩამოწოწვილი მკერავი ქალი! შეგემურად მიაცილა კიბემდის და უთხრა:

— აწი შეგიძლიათ წახვიდეთ.

როდესაც მეგი დაეშო განათებულს და ხავერდით მოფენილს კიბეზედ, გული უკანკალებდა შიშით: ამ სახლში ღანტონ მაულტრი იყო და იქმნება მათ შუა ერთი კედლის მეტიც არ იყოს. ღმერთმა ნუ ჰქმნას ახლა იმათი შეჩვევრა! მეგის უნდოდა ჩუმად გაპარულიყო კარებში, მაგრამ ნახევარი კიბე არ ჩამოეფლო, რომ კარები გაიღო და გამოვიდა ვიღაცა კაცი.

— ჩემი ქალი დაბრუნდა? ჰკითხა მოსამსახურეს.

— ღიად, ნახევარი საათია, რაც მობრძანდა.

მს იყო ჯეროდღე შორტესკიუ, ღანტონ მაულტრის მეგობარი. მაღალი, კარვად მოყვანილი და ამაყი შეხედულობის; იქმნებოდა ორმოც-და-ათის წლის კაცი, ხშირს შავს თმაში ერთი ბეწვი თეთრი



არ ერია. შავი გამჭრიახე თვალებით ბუსაეით გამო-
იყურებოდა. პრც ერთს დამნაშავეს არ შეეძლო და-
ეფარა ამ გვარი საშინელის თვალების პატრონს
მსაჯულთან თავისი დანაშაულობა. შეეგერებლი, ჩა-
მომხმარი პირის სახე ამტკიცებდა მის სიფიცხეს და
შეუბრალებლობას. თავის დღეში მეგის არ უნახავს
ამ გვარი ჭკუისა და მაგარი ხასიათის გამომეტყველი
სახე. მეკიმ კარგად დაათვალიერა იმისი სახე, სანამ
შორტეკიუ შენიშნა იმას. ლამპის სინათლე პირ-
და-პირ ხედებოდა მეგის დიდრონს, შავს თვალებს, პა-
ტარა, ფუნჩულა ტუჩებს და ლამაზ მოყვანილს
მხრებზედ გადაყრილს შავს დიდრონს ნაწნავეს. მსა-
ჯულმა მოჰკრა თვალი თუ არა, მეხ-დაცემულივით
გაშტერდა. სახე სულ ერთიანად შეეცვალა, უმი-
სოდაც მკრთალი ფერი სულ დაეკარგა და გაშტე-
რებით დაუწყო ყურება.

მეგი შეჰკრთა, რომ აგრე მისჩერებოდა ის კაცი,
რომელიც თავის დღეში არ ენახა და რომელსაც
ისეთი დამოკიდებულება ჰქონდა ღანტონ მაულტ-
რისთან და პოლკოვნიკთან. რა ნახა ამ კაცმა ისეთი
მასში, რომ აგრე საოცრად მისჩერებოდა? ძალიან
ხშირად უყურებდნენ მას აღტაცებით და ცნობის-
მო ვარდობით, მაგრამ აგრე შეშინებულის სახით კი
არასოდეს.

ამ მდგომარეობამ გასტანა რამდენიმე წამი.
შორტეკიუმ, ღონიერმა და მოუდრეველმა მსა-
ჯულმა, რომელსაც ვერაფერი შეაშფოთებდა, გაა-

საქართველო
საბჭოთაო

შვირა ხელი, თითქოს უნდოდა თავი შეემაგრებინა რახედმე და საშინელის ხმით წამოიძახა: «ოჰ, ღმერთო ჩემო!» და უგრძობლად დაეცა იატაკზედ.

მეგის, მგონი, ფეხიც არ დაუკარებია მიწაზედ შიშისაგან, ისე უეცრად გავარდა გარეთ. პრაბი მივარდა ბატონს, შეიქმნასაშინელი ფაცა-ფუცი, მთელი სახლობა ფეხზედ დადგა. მეგი გაჩქარებული მირბოდა და ეშინოდა, არაეინ დასწოდა. მეგის დანახვაზედ შორტესკიუს შეუწუხდა გული. ეს გაუგებარი შემთხვევა ძლიერ აკვირვებდა მას. ამასობაში დაგვიანდა კიდევ და ქალ-ბატონი ლანძღვისათვის არაეის მოეჩინებოდა. გაჩქარებული მეგი ისეთ ნაირად გავიქვდა კარეტებში, რომ არ იცოდა, საით წასულიყო. პრუჟევაც გავარდა ხელიდგან და ის იყო უნდა აელო, ვილამაც ხელი სტაცა და გამოათრია უშიშარ ალაგას.

— პრუჟევო! პრუჟევო დავკარგე! ჰყვიროდა ტირილით მეგი. ძაცმა, რომელმაც გადაარჩინა სიკვდილიდგან, აილო კრუჟევო და მიაწოდა.

— დიდად გმადლობთ, უთხრა მეგიმ, ცოტად დამშვიდებულის ხმით. მხოლოდ ახლა შევხედა თავის დამხსნელს.

ეს იყო მალალი ტანის, ფართო მხარ-ბეჭიანი ყმაწვილი კაცი, სუფთად ჩაცმული, მუქი წაბლისფერი წვერები გარშემორტყმოდა შეფერვმაღს პირის სახეს და თითქმის ტუჩებს უფარავდა. ჰკუის ვარჯიშობას უხვად დაესვა დალი იმის შუბლზედ. ამის მეტი ცვლილება ვერა შეამჩნია-



რა მეგობ. მეგი გაშტერდა, რამდენი წარსული მოჩვენება წარმოუდგა დღეს თვალ-წინ! ისეთი შეხედულობა მიიღეს ორივემ, ვითომ არც კი უცენიათ ერთმანერთი. ნუ თუ ამ კაცს შეეძლო დაევიწყნა ის დრო, როდესაც ცელქი და ახალ-გაზდა მეგი ისე უწყალოდ აწვალებდა თავის შეუბრალებლობით? როგორც უცნობს პირს, რომინ ლეიტმა მოუხადა ქუდი და გასწია თავის გზაზედ.

მეგი ცუდს გუნებაზედ დაბრუნდა სახელოსნოში. სამი წელიწადი გაატარა ისე, რომ არაფერს არ მოუგონებია წარსული მდგომარეობა და ახლა სულ ერთიანად გაეფინა თვალ-წინ. თითქოს სინანულით და გაკვირვებით ჰფიქრობდა რომინზედ.

— მე მესმოდა, რომ ის პატიოსანი შრომით ასრულებს თავის დანიშნულებას და კმაყოფილია თავის მდგომარეობით. ეს მართალი უნდა იქონებოდა ახლა სუფთად არის ჩაცმული, რატომ არ ვკითხე, როგორ არის მისს პრიუ? მაგრამ იქმნება ასე სჯობდა, მგონია სრულებით დავევიწყებოდა.

VI.

ჯეროდღე შორტესკიუ ფანჯარასთან იდგა ღრმა ფიქრებით დატვირთული. როგორც მშრომელი კაცი, ძალიან ადრე დგებოდა ხოლმე, ერთგული და თავ-განწირული სამსახურით ძალიან მალე დაიმსახურა გამორჩენილი ადგილი. მისი ერთი შე-

ხედვა კმაროდა, რომ ყოველს დამნაშავეს ეგრძნო მართლ-მსაჯულება და შეუბრალებლობა. ის იყო მშვენიერად მორთულს ოთახში; ძვირფასს ვაზებში ჩადგმულის ყვავილები სუნით გამჭორებული იყო იქაურობა.


მარ მარილოს ბუხარზედ ბრონძის საათმა უკვე დაჰკრა რვა. შოველთვის ამ დროს შოკოლადს სვამდა მსაჯული, მაგრამ ახლა არც კი გაუგონია საათის ხმა. უკან ხელებ-დაწყობილი გაჰყურებდა ქუჩას. რას ჰფიქრობდა ის ამ დროს? მსაჯულს ისე ეკავა თავი, რომ ბევრი მის ნაცნობთაგანი ვერ გაბედავდა ამის კითხვას. მხოლოდ ერთად-ერთი ქალიშვილი ჰყავდა დაახლოებული, რომელიც მომეტებულიად უყვარდა.

— მამა!

მისტერ შორტეს კიუ შეჰკრთა და მობრუნდა. ლილიანი, რომელიც მარებამდის თუ სწვდებოდა, ყავის ფერი აბრეშუმის ხალათით უდგა გვერდით და მიჩერებოდა ალერსიანის და მწუხარეს სახით. შორტეს კიუს სახის გამომეტყველება ერთს წამში შეიცვალა.

— ეს რა ამბავია, ლილი, რომ აგრე ადრე ამდგარხარ და მერმედ კდევ წუხანდელი ბალის შემდეგ? წამოიძახა შორტეს კიუმ და მოხვია ხელი. რალაც სასწაულია! დეიდა-შენი სადღაა?

— თავი სტკივა და თავის ოთახში ისაუბმებს. მე არ დამეძინა, მამა, მეშინოდა, შენ რომ ავად იყავი. რა ცუდი ფერი გაქვს! წუხანდელივით არ შეგი-



წუხდეს კიდევ გული, რა რიგად შემაშინე წუხელის!
 როგორ გგონია, მამა, გულის ტკივილის წინამძღვა-
 რი ხომ არ არის ეგ შენი უეცარი ავადმყოფობა?
 ლმერთო ჩემო, მე ამის მოფიქრებაც კი მაშინებს.

— ზულის ტკივილის კი არა და! რას ამბობ,
 ჩემო კარგო! ძალ-დატანებულის ღიმილით მიუგო
 მსაჯულმა. შინ ჩაგიდო თავში ეგ აზრი? ამ ბოლოს
 დროს ერთობ ბევრს ვმუშაობ, ნამეტურ წუხელის
 ძალიან დასუსტებული ვიყავი და ეს იყო მიზეზი
 ჩემი გულის შეწუხებისა. ამისთანა უბრალო რაზედმე
 როდი უნდა შეწუხდე, გენაცვალე!

— როგორ შეიძლება, ჩემო მამა, ამისთანა შემთ-
 ხვევას უბრალო რამე დაუძახო? მისტერ მაულტრის
 შეეშინდა, დამლა არ იყოსო. ღა ჩემი საცოდავი
 მისს ბრეც უთუოდ ძალიან შეშინდა, რომ ისე
 უეცრად გაჰქრა.

— შინ არის ის შენი საცოდავი მისს ბრეცი?
 ჰკითხა შორტესკიუმ.

— შანა არ შეგინებდავს იმისათვის? სწორედ
 იმ დროს ჩადიოდა კიბეზედ, როცა შენ წაიქვცი.
 შორტესკიუმ გაშტერებული შეჰხედა ქალიშვილს და,
 თითქოს არაფერი იცოდა, მიუგო:

— ახავინ არ შემინიშნავეს, ჩემი ოთახიდან,
 რომ გამოვედი, თავბრუ მებნეოდა.

— იმიტომაც არ შეგინებდავს, ეშმაკურის ღიმი-
 ლით განაგრძო ლილიანმა. მის ბრეცი მკერავი ქალია,
 რომელიც მშვენიერად მიკერავს კაბებს. მართლა, ამ

სიტყვაზედ მომაგონდა, ერთი სათხოვარი საქმე მაქვს
შენთან, მაგრამ ჯერ დაეუძახებ საუზმო მოგვიტანონ.

ჩაინი შემოაუსხდნენ მდიდრულად გაშლილს
სტოლს, როცა მოართვეს საუზმე.

— აბა, შეილო, რა გინდა მითხრა? ჩემს მეგობარს,
ლანტონ მაულტრის ხომ არაფერი სისულელე
უთქვამს შენთვის?

— ლანტონ მაულტრის? არა, არაფერი! მიუგო
ლილიანმა და საშინლად გაწითლდა.

— სამი თვე იქმნება, რაც ის ჩამოვიდა ჩვენ
მხარეს და გამოახლა ნაცნობობა, ხუმრობით განა-
გრძო მსაჯულმა. ღა ისე მოსწონს ჩვენი ქალაქი,
რომ, მგონია, სიამოვნებით დარჩება აქ. ამ ცოტა
ხანში დიდი ზარალი მისცემია თავის ქვეყანაში, თუ-
მცა ძალიან კარგად სცხოვრობს და საუკეთესო სას-
ტუმროში დგას, მაგრამ რაღაც ადგილი შეუძლე-
ვიათ და სიამოვნებით აპირებს მიღებას, რადგან
მომეტყულებული არა არის რა ქვეყანაზედ.

ლილიანი ამ დროს ნაღებს ისხამდა ძვირფასი
სარძვევედგან. სეცხლივით აერთო პირის სახეზედ და
ვითომც გულ-გრილად უპასუხა:

— ჩემთვის ძლიერ სასიამოვნოა მისი აქ დარ-
ჩენა, მით უმეტეს, რომ კარგი მოლაპარაკეა და
ლაზათიანათაც უჭირავს ხელში დურბინდი, როცა
ოპერაშია, მაგრამ იმაზედ ბაასი კმარა. შე მინდა
მისს ზრეილედ მოგელაპარაკო, ჩემი თხოვნა იმას
შეეხება.



მამამ გაკვირვებით შეაჰყიტა თვალები. ლილია-
ნი შეჰკრთა და ჰკითხა:

— რატომ არაფერს სკამ, მამა?

— შენთან ყოფნის კმაყოფილებით დამეკარგა
მადა; აბა, რა გინდა მითხრა მისს ზრეიზედ?

— თავიდან დავიწყებ: ძალიან ხშირად მარ-
ტობა's ვგრძნობ, მამა! თუმცა ბევრი მეგობრები
მყავს, მაგრამ ვერც ერთს სულითა და გულით ვერ
შევეთვისე, რომ თავი შევიქციო. რაიცა შეეხება
დეიდა-ჩემს, ის მუდამ მუმიასავეთ ზის. შენ ძალიან
კარგად იცი, როგორი სუსტი ვარ და ხშირად ავად-
ემყოფობ. აი, სწორედ იმ დროს საჭიროა მყავდეს
ერთი ისეთი ადამიანი, რომ ხმა გამომცეს. შენ
სულ მოუცლელი ხარ და მაინც რა მუსაიფი უნდა
გაგიწიო? ამიტომ არ შეიძლება ვსთხოვო მისს
ზრეის, მიატოვოს სამკერვალო და გადმოვიდეს ჩემ-
თან? ჩემო მამა, შენ გენაცვალე, მომეცი ნება,
მითხარი, რომ თანახმა ხარ.

მსაჯული მეტად შეაწუხა ამ გვარმა თხოვნამ
და შეწუხებულის სახით ჰკითხა:

— ახირებული ყინია, ლილი, შენმა გაზდამ,
იცი ვინ არის მისს ზრეი?

— შიცი. ის ისეთი ქალია, რომლისთანაც ძა-
ლიან ცოტას შეჰხვდება კაცი, მკვირცხლად წამოი-
დახა ლილიანმა. ძარგად გაზრდილი და კარგი შთა-
გომავლობისაც, როგორც მიაზბო მიძმა უფ. ქ., მაგრამ
ნათესაობა ამოსწყვეტია და ობლად დარჩენილა. მამა,

საქართველო
თბილისი

რაც მახსოვრობა მომეცა, მას შემდეგ შენს ოთახში ერთი სურათი ჰკიდია, ისე ჰგავს იმას მისს ზრეი, თითქოს იმისაგან იყოს გადაღებულიო.

— მართლა? წამოილაპარაკა მსაჯულმა ძალდატანებით და დასჩერებოდა საინს.

— შენი ჭირიმე, ჩემო მამა! ჩემს სიცოცხლეში არაფერზედ უარი არ გითქვამს და ამის ნებაც მომეცი; ძალიან შევეთვისე მისს ზრეის და ძალიან სასარგებლოც იქმნება მისი ჩემთან ყოფნა, თუ გიყვარდე, შენ გენაცვალე, ჩემო მამა, უარს ნუ მეტყვი.

— ნუ თუ არ შეგიძლია, უკეთესი ვინმე მოსძებნო, ვინმეც უბრალო მკერავი? შენი გამორჩეული ქალი ჩემის აზრით შეუფერებელია.

— უბრალო მკერავი სულაც არ არის! ზაცხარებით მიუგო ლილიანმა. წელანაც გითხარი: ძალიან კარგი შთამომავლობისაა და სიმდიდრის გარდა არაფრით არ ჩამომრჩება მე. სხვა არავინ არ მინდა.

ლილიანი ბავშვივით გაიბუტა.

— ღიღი ხანია, რაც იცნობ მისს ზრეის?

— მართი წელიწადია. ხშირად ვნახამ ხოლმე ფრანცუზის ქალთან.

— ძალიან გიყვარს?

— მეტი აღარ შეიძლება.

— აჲ, შენ გიყო, შენა, ღიმილით უთხრა მსაჯულმა. სისუსტე და ავადმყოფობა დედი-შენის მემკვიდრეობა გაქვს, შვილო, მე არ შემიძლია შენს თხოვნას წინააღმდეგობა გაუწიო, რადგანაც ეგ



შენი სასამოვნოა და სასარგებლოც იქმნება. შეიტყოს მისტრის მაიტლენდმა მისი ვინაობა და, თუ საიმედო ვინმეა, გადმოიყვანე, საამოვნებით დაეუნიშნავ ჯამაგირს, რადგან აგრე გულისთ გინდა.

— ოჰ, ჩემო მამა, რა კარგი გულისა ხარ! წამოიძახა ლილიანმა და მოეხვია. მე მიწინასწარმეტყველებია, რომ, როცა გაიცნობ მისს ბრეის, არ ინანებ მის სახლში შემოყვანას. ახლა კი დავაფიწყებ დეიდა ჩემა თავის-ტკივილს და გავსწევთ ფრანცუზის ქალთან.

მსაჯულმა დაცინებით ჩაიციხა და გადაკოცნა ქალაშვილი.

— რა სულ-წაყული ხარ, როგორ გეჩქარება! მაშ, გაფრინდი ახლავე!

ლილიანი გაიქცა დეიდა-მისთან. ძეთილი გულის მაიტლენდი შოკოლადს სვამდა, როცა ლილიანი როგორც ქარი შევარდა მასთან და გახარებულმა გამოუცხადა ახალი ამბავი. მაიტლენდი წამოჯდა ლოგინზედ და გაჯავრებული შესძახა:

— მისს შორტესკიუ, ხომ არ გადაირიე! შბრალო მკერავი ქალი შენს ამხანაგად? მსაჯულიც, მგონია, ჭკუაზედ შემცდარა!

— ადექით, ადექით, დეიდა ჩემო, წავიდეთ შრან. ქალ. შევიტყოთ მისს ბრეის გარემოება და ვინაობა.

— მე კი არ გეხუმრები, შენი ტოლი უნდა გყავდეს ამხანაგად. მე ძალიან უწყესობაა ჩემის აზრით, რომ მდიდარმა ქალმა იმისთანა ამხანაგი აი-

ყვანოს, რომელიც, ღმერთმა იცის, ვინ არის. არ მესმის სწორედ, შთამომავლობით ისეთი წარჩინებული გვარის, როგორც ჩემი სიძეა, როგორ დაგეთანხმა მაგაზედ?

— შანა მამა ჩემი შთამომავლობით წარჩინებული გვარისა? ლაფიქრებულის სახით ჰკითხა ლილიანმა. მე არ მახსოვს, რომ იმას ეთქვას რამე თავის შთამომავლობაზედ! თქვენ კი დარწმუნებული ხართ ამაში?

მაიტლენდი ამაში დარწმუნებული არ იყო. შორტესკიუ ძალიან დაფარული ხასიათის კაცი იყო. შეეღასთან მორიდებით ეკავა თავი და არასოდეს არ აკმაყოფილებდა თავის შესახებ ცნობის მოყვარეობას. მისტრის მაიტლენდი თაყვანს სცემდა მას სიმდიდრისა და სახელისათვის და ეშინოდა იმისი, ამის გამო ცოტა შემდრკალი პასუხი მისცა ლილიანს.

— როცა საცოდავი ჩემი და შეერთო მამა შენმა, იმას ერთი ნათესაეიც აღარ ჰყოლებია მაშინ ცოცხალი და ამიტომ რა საქირთა გითხრა, რომ იმათ გამოჩენილი ალაგი ეჭირათ მეთქი საზოგადოებაში? მაგრამ ვისაც ერთი ნამცეცი გონიერება აქვს, არ შეუძლია იჭვი შეიტანოს მის შთამომავლობით დიდ-კაცობაზედ. რაიცა შეეხება შენს მისს ბრვის, ამას გეტყვი და კარგად დაიმახსოვრე, რომ ის დიდ უბედურებას შემოიტანს ჩვენს ოჯახში.

ლილიანმა გადაიხარხარა.



— ჩემო კარგო დეილა, ქვენ თუმცა ძალიან ყურადღებით მექცევით, მაგრამ ამისათვის ნუ გამიჯავრდებით, რომ ამხანაგად არ მარგინხართ. მართი სიტყვით, მე მინდა მისს ზრეი და კიდევ დამითხოვინხართ, რომ იმაზედ ცუდს ნურაფერს გამაგონებთ; ის ისეთი ქალია, არა თუ მე, ბევრით ჩემზედ უკეთესებსაც კი შეშურდებათ: იმას აქვს სიმართლე და სილამაზე, რომელიც ყოველს სიმდიდრეს სჯობია. მე ყოველთვის შურით მივსჩერებივარ ხოლმე იმას.

— შენ თუ რამე დაიჭინე, გადათქმა ხომ აღარ შეიძლება, გულ-მოსულად უთხრა დეილამ. ზამომიგზავნე სელესტა, ტანისამოსი ჩამაცვას; წუხელის შუალამემდის რაიმონდისას ვიყავით და ამ დილით ასე აღრიანად არ მინდოდა სწორედ სადმე წასვლა და ისიც ცნობების შეაკრებად.

ლილიანმა საჩქაროდ დაუძახა სელესტას და თვითონ წავიდა მისს ზრეის ოთახის ამოსარჩევად. მამისა და დეიდის წინააღმდეგ გამარჯვებით გახარებული ჩურჩულებდა:

— რა კეთილი გულის მამა მყავს! პრაფერზედ უაზს არ მეტყვის ხოლმე, დარწმუნებული ვარ, არაფრად ესამოვნა უცხო ვინმეს სახლში შემოყვანა და ნამეტურ იმისი, ვისაც ჩემზედ დაბლათა სთვლის, მაგრამ მაინც დამეთანხმა და აასრულა ჩემი სურვილი.

ძარეცა დიდი-ხანია კარებზედ უცდიდათ, მაგრამ მაიტლენდი მზად არ იყო. იმ დროს, როცა

ლილიანი მოუთმენლად უცდიდა მას, მოსამსახურემ შემოაღო კარები, ოქროს ხონჩით მოართვა პატარა ბარათი და მოახსენა:

— მითი ყმაწვილი კაცი გახლავსთ დაბლა და თქვენი ნახვა ჰსურს.

მისს შორტესკიუმ აიღო ბარათი და წაიკითხა: «**ღანტონ მაულტრი.**» ლილიანი სისხლივით გაწითლდა. ბავშურად მატრიალდ-მოტრიალდა სარკვეთან და ჰკითხა სკლესტას:

— მშვენის ეს ტანისამოსი?

— საუცხოვოდ.

— მაშ ჩველ დაბლა, დეიდა მაინც არ არის მზად, მკონია ხელ-ახლად ჩაეძინა. მოეხმარე, თუ ღმერთი გწამს, რომ მზად დამხვდეს; თუთხმეტ წამში დავბრუნდები.

ლილიანი დაეწო ფართო კიბეზედ. ღანტონ მაულტრი მარდათ წამოხტა მისაგებებლად. ის ისევ ისე მშვენიერი იყო, როგორც ბიჩ-ბოლევში, სადაც იმდენი უბედურება მოახდინა. იმ საქმის შემდეგ სიყვარულში ბედს აღარ გაუღიმნია ღანტონ მაულტრიაათვის; ყოველის მხრით დამარცხებული დაბრუნდა ისევ აქეთკენ. ახლა იმისი ბედი და უბედურება დამყარებული იყო შორტესკიუზედ; ყელამდის ჩაფლული იყო ვადიებში, რომლის გადახდაც არ შეეძლო და დღე-დღეობითაც არ ჰქონდა იმდენი შეძლება, რომ მისი განუსაზღვრელი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა.



ისეთს მდგომარეობაში ჩავარდა, რომ ან უნდა შრომით ეშოვნა საზრდო და ან უნდა შეერთო მდიდარი ქალი. მხიარულად მიეგება ლილიანს, ჩამოართვა ბეჭდებით შეკედლილი ხელი, რომელიც დიდ-ხანს ეჭირა ხელში და უთხრა:

— მგონი სადღაც მიდიხართ? ძარეტა მზად არის თქვენს კარებზედ.

— არა უშავს რა, მოიცდის, დაბძანდით. ცუდი ხომ არა შეგმთხვევიათ რა! როკორი შეხედულება გაქვსთ?

ღანტონი ჩამოჯდა ატლასის დივანზედ ლილიანის გვერდით. ბედმა გაუღიმა და მისცა თავისუფალი დრო. ღრმად ამოიოხრა და მაუგო:

— ჩემი სიცოცხლე სასწორზეა. სასოწარკვეთილებაშიდა ვარ; თავი ველარ შემიმაგრებია, აღარა მაქვს ღონე ვებრძოლო.

— ეს რაღაც საიდუმლოსა ჰგავს. ამიხსენით, თუ ლმერთი გწამსთ.

— ბინდათ ავიხსნათ? მხურვალეს გრძნობით მიუგო მაულტრიმ. ლილიან, თქვენ თხოულობთ, რომ დაუფარავად გითხრათ?

— რატომ არა, მამა-ჩემი თქვენი საუკეთესო მეგობარია და ნუ თუ იმის ქალს არ უნდა ჰქონდეს სურვილი, გაიგოს რამ მისი მეგობრისა?

მაულტრი დარწმუნებული იყო, რომ საყვარული უფრო მეტს მწუხარებას და დარდს მოუტანს კაცს, ვინემ სიხარულს და კმაყოფილებას. მასთან



მოყირჳებულიც ჰქონდა ალერსი და ზიყვარული. ახლა იმის შეხედულობამ ანგარიშული მხარე დაიჭირა. მხად იყო უარი ეყო სილამაზისათვის, რადგან ამ ცოდვილს დედა-მიწაზედ ყველაფერი ერთად არ შეიძლებოდა.

— შერთი თვე იქმნება, რაც დაებრუნდი ჩრდილოეთში, მისს შორტესკიუ, რომ ნაცნობობა გამეახლებინა მამა-თქვენთან, განაგრძო მაულტრიმ და მიჩერებოდა ფართო ლურჯი თვალებით, რომელმაც იმდენი უბედურება მოახდინა ბჩ-ბოლემში. თქვენ კარგად იცით, როგორ მიმიღო და რა სტუმართ-მოყვარეობით ვსარგებლობდი იმის სახლში; ჩემს სიცოცხლეში არ დავიფიწყებ ამ უკანასკნელს თვეს, მაგრამ უმჯობესი იყო არ დაებრუნებულყავ და არ გამეახლებია ნაცნობობა პატივ-ცემულის და ჩემს სიკვდილისაგან დამჩსნელს მსაჯულთან.

— ეს ძალიან სასიქადულო და სასიამოვნოა როგორც მამა-ჩემისათვის, ისე ჩემთვისაც! ამ დილით მამა მეუბნებოდა კიდევ, რაღაც ადგილს აძლევენ და იქმნება უარი არა სთქვასო.

— იმ ადგილის მიღება, რომელზედაც მამა-თქვენი ისე სულგრძელობით მუპატიყება, დამოკიდებულია ერთს პირზედ.

— შინ უნდა იყოს ის პირი? მაკვირვებით ჰკითხა ლილიანმა.

— თქვენა ხართ.



ლილიანი ცეცხლივით აენტო, მაგრამ მალე შეეცვალა და გაყვითლდა. ღანტონ მაულტრი გავარჯიშებული იყო იერიშით ქალების გულის დატყვევებაზე; ერთის თვის განმავლობაში ყოველდღე შეჭვდებოდა ლილიანს და განა შეეძლო ამ ქალს დაეკვა გულის სიმშვიდე?

— ღვიჯერო, მართლა მეუბნებით? წამოიჩურჩულა ლილიანმა და დააპირა ადგომა, მაგრამ მაულტრიმ დაუჭირა ხელი.

— ჩემს დღეში ასე ნამდვილის გრძობით არა მითქვამს რა. ზამიგონეთ, ლილიან, თუ მიბრძანებთ წავიდე აქედგან, წავალ და დარჩენაც თქვენს ხელათ არის, მე იმ აზრით მოვედი, რომ გამოგიცხადოთ სიყვარული და გკითხოთ, გინდათ ჩემი ცოლობა თუ არა, ჩემი სიცოცხლე თქვენს პასუხზეა დაპოკიდებული.

ლილიანი სამის წლით უმცროსი იყო მეგიზედ და ამ გვარი სიტყვები პირველად ესმოდა. ზამოუცდელმა სიყვარულში, რასაკვირველია, ვერ შეამჩნია, რომ ეს ლაპარაკის კილო სრულებითაც არ ჰგავდა სიყვარულისაგან გაშმაგებულს გრძობიერს ხმას, აღელვების გამო საშინლად გაყვითლდა, თვალები უელამდნენ ზედნიერების გრძობით და გამხდარს სხეულში ყრუანტელი უვლიდა. ზაუშვირა მთრთოლვარე ხელი ღანტონს და წამოილოუდლულა:

— ღვიჯერო, რომ მართლა ასეთი ბედნიერება მომანიჭა ღმერთმა? ღანტონ, დარჩით ჩემთან,

ნუ მიმატოვებთ, ვგრძნობ, რომ მეც მიყვარხართ. საქართველოს
საბჭოთაო
საზღვრო
სამსახური

• პირთი წამის შემდეგ ლილიანი ხელ მოხვეული, ჰყავდა ლანტონს და გულზედ მიწოლილი. ჯერ არ შეჰხვედროდა ისეთი ქალი, რომ იმისათვის ეთქვას «არა!». შოველთვის ამ გვარი ბოლო მოჰყავებოდა ხოლმე. იქმნება მაშინ უფრო დაეფასებინა გამარჯვება, რომ უფრო მეტი შრომა და მეცადინეობა დასჭირვებოდა. ახლა ამით იყო ბედნიერი, რომ აგრე აღვილად. შეიპყრო მისს შორტესკიუს. იმედი ჰქონდა, რომ ლილიანის სიმდიდრე და მამა-მისთან ისეთი დამოკიდებულება გამოიხსნიდა გაკოტრებისა და სირცხვილისაგან და შეეძლებოდა ვანეგრძო ადრინდელი ურუნველი ცხოვრება. ლილიანს სატრფოს მხარზედ დაედო თავი და აზრშიაც არ მოსდიოდა, თუ რა ფიქრები უფრინაედა ლანტონ მაულტრის თავში. ეს ის წამი იყო, როცა კაცს აღარა ახსოვს რა დედამაწაზედ და გატაცებულია სიტკბოებით. ლილიანი მისჩერებოდა ცრემლით სავსე თვალებით და ეჩურჩულებოდა:

— როგორ მოხდა, რომ თქვენ... ჩემი ცოლობა მოიფიქრეთ? მასაკვირველია! მე ასეთი სუსტი ქალი, ერთი ნამცეცა და მახინჯი შეხედულობით! არა, არ მჯერა სწორედ! ღედა-ჩემი ყოველთვის იმას მეუბნება, რომ მე მზითვისათვის თუ ვინმე წამიყვანს, თორემ ისე არაეინ.

ლანტონი შეჰკრთა, მაგრამ გადაწყვეტილი ჰქონდა არაფრისათვის არ დახეულიყო უკან და შეეყა-



რებული ქალი ხომ ბრმად ერწმუნება თვითონვე
პირსაფერ სიტყვას.

— ჩემო ძვირუასო, მიუგო მან: პირველად
მამა-თქვენის პატივის ცემა მიზიდავდა თქვენკენ და
შემდეგ კი თქვენი საკუთარი ღირსებაებით გამაგიჟეთ
და შემაყვარეთ თავი. პატარა ვარო? არ იცით თქვენ,
რომ პატარა ქალი ყოველთვის უფრო მიმზიდველი
და მოსაწონია, განსაკუთრებით ჩემთვის! **ღა** მახინ-
ჯიო? მანა შეიძლება, მაგ ანგელოზის სახის პატ-
რონმა მახინჯს შეადაროთ თავი?

ამ სიტყვებით ნაზად მოჰხვია ხელი, დაუწყო
კოცნა და თან ეკითხებოდა თავის თავს: დათანხმ-
დება თუ არა შორტესკიუ იმის სიძეობაზედ, რომელ-
საც არა ეაჩნია რა?

— **ღანტონ!** ეკითხებოდა **ლილიანი** ყმაწვილუ-
რის თავ-მოყვარეობით: გყვარებიათ ვინმე ჩემს
შეხვედრამდის? რამდენს ლამაზს ქალს შეხვდებოდით
დალოცვილს თქვენს ქვეყანაში! **ღაუთარავად** მითხა-
რით ყველაფერი.

მაულტრი ცოტად შეაწითლა ამ კითხვებმა და
უპასუხა:

— არასოდეს, არც ერთს ქალს არ დაუჭერია
პლაგი ჩემს გულში, ჩემო ძვირუასო.

— როგორ დავიჯერო, რომ ჩემს ნახვამდის
არავინ გყვარებოდესთ? ძიღვე ჰკითხა **ლილიანმა**.

— ჩემო კარგო, დაუყონებლივ მიუგო **ღან-**
ტონმა: მართალია, მე მყვარებია, მაგრამ ის მხო-

ლოდ გატაცება იყო. რომელს კაცს დამისახელებით ისეთს, რომ ოც-და-ცხრა წელიწადი ეცხოვროს და არ შემთხვევადეს ამ გვარი საქმე! ნამდვილის სიყვარულით კი, შენ გფიცავარ, შენს მეტი არაეინ მყვარებია. ჩვენს სრულს ბედნიერებას აკლია ახლა მხოლოდ მამა შენის თანხმობა. მე ძლიერ ღარიბი ვარ, როგორც იცით, და ეს არის ჩვენი დამაბრკოლებელი.

ლილიანმა დამტკბარის ღიმილით გაიქნია თავი და მიუჯო:

— თქვენ ვერ იცნობთ მამა-ჩემსა. ის საკმაოდ მდიდარია და ჩემი ბედნიერებისათვის არაფერს დაზოგავს. ამას გარდა, თქვენც ძალიან უყვარხართ. მაშ იმის მხრით არაფერი დაბრკოლება არ გვექმნება.

ძარეცა დიდი-ხანია რაც სახელოვნოსთან გაჩერდა, ჩასუქებული ფრანცუზის ქალი მოეგება მათ ღიმილით. ლილიანის სახე სიხარულით ბრწყინავდა.

— თუ შეიძლება ცალკე ოთახში შეგვიყვანეთ, თქვენთან მოსალაპარაკებელი საქმე გვაქვს, უთხრა მაიტლენდმა ფრანცუზის ქალს.

ბევრდით ოთახში მაიტლენდმა გამოჰკითხა ფრანცუზის ქალს მისს ბრეის გარემოება და ამასთანავე გარდასცა თავისი დის-წულის განზრახვა.

— ღმერთო ჩემო! წამოიძახა ფრანცუზის ქალმა. თქვენი განზრახვა მაწუხებს და მახარებს კიდევ. მისს ბრეი უნაკლოლოდ დაიმსახურებს თქვენს ყურადღებას, ის ყოველი ღირსებით შემკულია; ვის და-



სახელებით ისეთს, რომ ის ამხანაგად არ გამოადგეს? თუმცა ჩემთვის ძლიერ სამძიმოა იმისი მოშორება, მაგრამ მისს შორტესკიუს ვერ გავუცუდებ, თავის სურვილს. მე დამითმია თქვენთვის მისს ბრეი.

— მე ყველა კარგი, მაგრამ ჯერ თქვენ არაფერი გითქვამსთ მისი მშობლები' ვინაობაზედ, შენიშნა მაიტლენდმა. შექველად უნდა შევიტყო ცუდი ყოფა-ქცევის ნათესაობა ხომ არა ჰყავს?

შრანცუზის ქალი ცოტათი შეჰკრთა ამ კითხვაზედ, მაგრამ ის იმ ქალებთაგანი არ იყო, რომ საიღუმლო გაცა და მოკლედ უპასუხა:

— უკაცრავად გახლავარ, რომ მისს ნათესაობაზედ ვერასფერს მოგახსენებთ... რაიცა შეეხება მისს ბრეი, ამაზედ კი შემძლია მოგახსენოთ, ის შარტოდ-მარტოა დედა-მიწაზედ და ძლიერ კარგი შთამომავლობისაა.

— სხვა არაფერია საჭირო! მოუთმენლობით წამოიძახა ლილიანმა. დედა-ჩემო, ხომ შეიტყვეთ ყველაფერი? ახლა დაუძახეთ მისს ბრეის, თქვენი ჭირიმე!

შრანცუზის ქალმა აასრულა მისი თხოვნა. ამ დილით სახელოსნოში დიდი არეულობა იყო: მკერავებმა გააჯავრეს მათი უფროსი. მისს ბრეის ლამაზს სახეს, ამას გარდა, დასმოდა წინა დღის შემთხვევის დაღი. მისს შორტესკიუს დანახვაზედ სახემ გაუღიმა, მაგრამ სიტყვის თქმა ვეღარ შოასწრო ვერც იმან და

ვერც მაიტლენდმა, რომ დარიკება მიეცა, ისე წაჩქაროდ მივარდა ლილიანი.

— ჩემო მისს ბრეი! წუხელის ხომ მითხარით, რომ დასტოვებთ ახლანდელს ბინას, თუ უკეთესს იშოვნით? ბიზოვნეთ იმი-თანა ადგილი. მე გთხოვთ მისს ლილიანის ამხანაგობას და მეგობრობას; ის ქალი ავად-მყოფია და მასთან უხვირო რამ, მაგრამ წელიწადში გაძღვესთ ექვსასს დოლარს ჯამაგირად.

— ჩემის აზრით, ეგ ჯამაგირი ცოტა არ არის, რომ უშრომლად მიიღოს კაცმა, შენიწნა მაიტლენდმა. იქველი მაქვს დააფასებთ ამდენს სიკეთეს და პატივისცემას.

— ამდენი ხანია აქ მუშაობთ, ნუ თუ არ გსურსთ გამოცდადოთ სხვა გვარი ცხოვრებაც? ნუ თუ არ დაიქანცეთ ამ ძნელი შრომით? მე ამხანაგი მინდა და, ჩემის აზრით, თქვენისთანას ვერ ვიშოვნე. მაგაკვირვათ განა ამ ამბავმა? მაშ მოიფიქრეთ კარვად, სანამ მე მოველაპარაკებოდე თქვენს უფროსს ჩემი კაბების თაობაზედ.

ლილიანმა თითქმის ძალად გაათრია დეიდა-მისი მეორე ოთახში, რომ მარტო დაეტოვებია მეგი. იქვე არ არის, ეს წინადადება მოულოდნელი და სასიხარულო იყო მეგისათვის, მაგრამ უნდა შესულიყო კი იმ სახლში, რომლის პატრონიც ერთი იმის შეხედვაზედ გულ-შემოყრილი დაეცა დედა-მიწაზედ. პოლკოვნიკი სულ იმას ეუბნებოდა, ამ კაცის სახელის გაგონებასაც კი ერიდეთ. ეს ასეა, მაგრამ სად



არის ახლა პოლკოვნიკი? მეგის გადაუწყვდა იმის
ლოდინში და ამას გარდა თავის დღეში არ დაავიწყ-
დებოდა, რომ პოლკოვნიკმა უარი ჰყო მის დახმარებაზე
გაჭირვების დროს. იმის კერძო უკმაყოფილებას და
გადაკვრით ნათქვამს საიდუმლოდ სრულგებობითაც არ
სთვლიდა მეგი დამაბრკოლებელ მიზეზად; რადგანაც
იმას არ უთქვამს შორტესკიუს სიძულილის მიზეზი,
ამანაც აღარ მიაქცია ყურადღება იმის თხოვნას და არ
გაუშვა შემთხვევა ბინა გამოეცვალა.

მაგრამ მეგის, ამას გარდა, კიდევ ჰქონდა საფიქრალი:
შორტესკიუს სახლში ვერ ასცდებოდა დანტონ მულტრის
შეხვედრას. მშინოდა თუ არა მეგის იმის შეხვედრისა?
სულაც არა. მვალემა გაუელვა და ცეცხლივით ანთო,
როცა ეს მოაკონდა. მეგიმ გადასწყვიტა, რაც უნდა
დამართნოდა, გამოსთხოვებოდა სახელოსნოს, სადაც
ამდენი წელიწადი გაატარა, მოშორებოდა ფრანკუზის
ქალის ანჩლობას და გადასახლებულიყო მსაჯულის
მდიდარს სასახლეში.

როცა მისს ლილიანი დაბრუნდა, მეგი იმ ადგილს
დახედა, სადაც დაეტოვებინა, აღერსიანად დაადო
მხარზედ ხელი და ჰკითხა:

— რა ქენით, ჩემო ძვირფასო, გადაწყვიტეთ თუ არა?

— ღიად, გადავსწყვიტე.

— მოდიხართ ჩემთან?

— ღიდის სიამოვნებით.

— შევიძლიათ ხვალ წამოხვიდეთ ჩემთან? მე დაჯავაყოფილეთ ფრანკუნის ქალი, რაც თქვენი მოულოდნელი წასვლით ზარალი მიეცემოდა. ხედავთ, როგორ მეშურება თქვენი წაყვანა!

— რაც მალე იქმნება, ის უკეთესია.

— მაშ ხვალ, უეჭველად.

ამ გვარად ლილიანის სურვილი შესრულდა. მევი გადაესახლა ჯეროლდ შორტესკიუს სახლში.

VII

მეორე დღეს შუადღისას გაუგზავნეს კარეტა მისს ბრვის. ლილიანი მოუთმენლობით დადიოდა თავის ოთახში და მოელოდა საამხანაგოს. ბუნარი გაჩაღებული იყო ცეცხლით, არანქერეილდგან მშვენიერი სუნნელება მოჰქროდა, რომელიც გვიმტკიცებდა გაზაფხულის მოახლოებას.

— ლილიან, უთხრა დეიდა-მისმა, შენი საქციელი სწორედ ბავშს მაგონებს, რომელსაც თავის შესაქცევად ახალი თოჯა უშოვნია. შენ დანიშნული ხარ ახლა და იმდენად შეცული უნდა იყო. საქმროზედ ფიქრით, რომ ადვილად უნდა შეგეძლოს უამხანაგოდ გაძლება.

— საქმრო კარგი რამ ნივთია, დეიდა-ჩემო, მაგრამ მე, დანიშნულს, ახლა უფრო მეჭირვება ამხანაგი. ღანტონს რომ წავეჩხუბო, ისეთი მეგობარი უნდა მყავდეს, რომელსაც ვაფუხიარო ჩემი მწუხარება და როცა შევრიგდებით, ჩემის მხიარულებით იმანაც



იმხიარულოს. ამას გარდა, მზითვის მომზადება მინდა და მისს ზრვის მშვენიერი გემოვნება აქვს. ზესმისთ, კარეტაც გაჩერდა! მე თქვენა გთხოვო, დეიდა ჩემო, რომ ალერსიანად იყოთ მისს ზრვისთან, იმიტომ რომ...

ამ დროს კარები გაიღო და მოსამსახურემ მოახსენა მისს ზრვის მოსვლა. ლილიანი სიხარულით მიეკვება და მაიტლენდმა კი ძლივს გააბედნიერა გულ-გრილისა და ამაყის სალამით.

— ნახეარის საათის შემდეგ ვისაუზმებთ, უთხრა ლილიანმა ზრვის. სელესტა გაჩვენებსთ თქვენს ოთახს. დეიდა, დაუძახეთ სელესტას!

მეგის ოთახი იყო ლილიანის საწოლის გვერდით. მარდის-ფერით და თეთრით გაწყობილი ოთახი მშვენიერად იყო მორთული. ძრუტოვებით ნაკერი აბრეშუმის გადასაფარებლიანს საპირ-ფარეშო სტოლზედ იყო წმინდად დალაგებული ფარფორის მოწყობილობა, კედლებზედ ეკიდა სხვა-და-სხვა სურათები, ლოგინზედ ჩამოფარებული ჰქონდა ვარდის-ფერი აბრეშუმის ფარდა. ძირს დაფენილს თეთრი ხავერდის ხალიჩას მშვენიერის ხელოვნობით ჰქონდა ამოყრილი ვარდის-ფერი ყვავილები ეს ყოველივე თვალს მოსტაცავდა მნახველს.

— ხომ არ შეგეშალათ, განა ეს ოთახია ჩემთვის დანიშნულა? ჰკითხა მეგიმ მოსამსახურეს.

— დიად, ლილიანმა თვითონ ამოარჩია ეს ოთახი. ლილიანი ძალიან კეთილი გულისაა, უთხრა მოსამსახურემ და შურით მიჩერებოდა მეგის სილამაზეს.

ქართული
ენების

მეგომ მოიხადა შლიაპა, მოსახურავი და მებრუნდა ლილიანის ოთახში. ამ დროს დარეკეს კიდევ საუზმისათვის. სამივე ქალებს მარტო უნდა ესაუზმათ, რადგან ფორტესკიუ ამ დროს არასოდეს არ იყო სახლში. მისტრის მაიტლენდი შეუდგა მეგის დარიგებას:

— თქვენი მოვალეობა ადვილი არ არი', მის ზრეი! თქვენ უნდა უკითხოთ წიგნები ჩემს დის-წულს, უნდა დაუკრათ ფორტოპიანო და უმღეროთ. იმედი მაქვს, კარგად უკრამთ ფორტოფიანოს. ამას გარდა ერთად ისეირნებთ და გაართობინებთ სტუმრებს. შრთის სიტყვით, უნდა ეცადოთ ყოვლის გზით მაგის სიამოვნებას, მაგრამ, მგონი, ისე მოგაბეზრებთ ვე თავს, რომ მალე მოგანატრებთ თქვენს სახელოსნოს.

— თუ ლმერთი გწამსთ, დეიდას ლაპარაკს არ მიაქციოთ ყურადღება; იმას ჰმურს, რომ ასე მიყვარხართ, მხიარულის სახით უთხრა ლილიანმა. თქვენ მხოლოდ ეცადეთ, ცოტათი მაინც შემიყვაროთ და ნახეთ, რა სიამოვნებით ვიცხოვრებთ.

— თქვენი მოთხოვნების ასრულება ძლიერ ადვილია ჩემთვის, ღიმილით მიუგო მეგომ.

საუზმის შემდეგ, დაქანცული ლილიანი გაიშხვართა ტახტზედ და დაუძახა მეგის.

— დაუეჭით ჩემს გვერდით! რა ნაირად მაგონებთ ტენნისონის ლექსთ-თხზულებას, რომელსაც



ქართული
მხილველი

თქვენი სახელი ჰქვიან! აბა ვილაპარაკოთ, როგორც
შაგირდები ლაყბობენ ხოლმე, მეგობრულად.

ლილიანმა აიღო წიგნი და დაიწყო ტიკტიკი. პირ-
ველად მოჰყვა მამა-მისის ქებას. სიამაყით და სიამოვნე-
ბით იხსენიებდა, თუ რა კეთილი გულისაა და ყველაზედ
უჭკუიანე ი მეგიც ძალა-უნებურად ეთანხმებოდა.
ღეიდა მაიტლენდიც დაჰკრავდა ხოლმე ჩვეულებრი-
ვად კვერსა შორტესკიუს დიდ-კაცობაზედ. ლილიანი
ცოტად შეწითლდა და მორცხვობით წამოილაპარაკა:

— მრთი დიდი საიდუმლო უნდა გითხრა, მისს
ბრეი... იცით, მე დანიშნული ვარ.

— მართლა? ლილიანით ჰკითხა მეგიმ, რა შეამ-
ჩნია, რომ მისი მეგობარი გაწითლდა.

— მალე გავთხოვდები.

— მე ჩვეულებრივი წესია ნიშნობის შემდეგ.
ღმერთსა ვსთხოვ ბედნიერი ცხოვრება მოგცესთ!

— შმადლობთ, მხიარულად უთხრა ლილიანმა.
ხომ არ მოგეწყინებათ ჩემი დანიშნულის ამბავს რომ
მოგიყვებ?

— როგორ მომეწყინება?

ლილიანმა თავისუფლად ამოისუნთქა და დაი-
წყო:

ის არის მშვენიერი მოყვანილი, მაღალი ტანის;
ძლიერ ლამაზი და მასთან მეტად კეთილის გუ-
ლისა. თუმცა ღარიბია, მაგრამ ეს არაფერის, მამა-
ჩემის მემკვიდრე მე ვარ. სამხრეთიდან არის შთა-
მომავლობით. სახელად ჰქვიან ღანტონ მაულტრი.

ერთი წამის განმავლობაში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ მხოლოდ დეიდა მაიტლენდის ხერინვა იმოდა. მეგი უძრავად იდგა და შორს გაჰყურებდა არე-მარეს; არც კი შემკრთალა და არაფერი შეუმჩნევენებია ლილიანისათვის.

— მაშ ის ირთავს განა ამ საცოდავ ავადმყოფ ქალს მზითვისათვის?

ლილიანმა, რა კი ვერაფერი შეამჩნია, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მისს მსმენელზედ ამ ამბავმა, ხელახლად განაგრძო:

— ამ რამდენიმე წლის წინად მამა-ჩემს გაუცვნიას ის და უვლიდა თურმე მას, როცა ცხელებით იყო ავად. ამ კეთილის საქმის დავიწყება, რასაკვირველია, არ შეეძლო ლანტონ მაულტრის. როგორც კი ჩამოვიდა აქ, დაემშურა მამი-ჩემის ნაცნობობის განახლებას და მადლობის გადახდას. მამამ სთხოვა ევლო ჩვენთან ხშირად. ამ რიგად ჩვენ დაუახლოვდით ერთმანერთს და გუშინ მთხოვა ცოლობა...

— მერე, განაგრძეთ, დამშვიდებულის სახით უთხრა მეგიმ.

— ლანტონს დაუყენია, ქორწილი მალე იყოსო. მამა-ჩემი არ შერება. ღალოცვით კი დაგელოცა და ჯვარის წერაზედ იმიტომ არ თანხმდება, რომ ჯერ ყმაწვილი ვარ, ორი წელიწადი უნდა მოიცადოთო. ახლა შენ წარმოიდგინე, როგორ გაგრძელდება ეს დრო! ლანტონი ჯავრით აღარ არის და მეც მაწუხებს, რომ იმას ისე შეწუხებულს ვხედავ,

— ძალიან გიყვართ?

— ძალიან, ძალიან!... ისევის გრძნობით მიუგო ლილიანმა, რომ იქვი არ იყო სინამდვილეში.

— იქასაც უყვარხართ?

— შეელაფერს მეფიცება, რომ ძალიან ვუყვარვარ.

— სულითა და გულით ვასურვებ თქვენს ბედნიერებას; იმედი მაქვს, მაულტრიაც ღირსი უნდა იყოს ბედნიერებისა, სთქვ, ბოლოს მევიმ.

— მისს ბედნიერებას დიდი უბედურებაც მოჰყვა. მახუტული ბოვშივით წამოიბურტყულა ლილიანმა. მართლათაც სამწუხაროა, რომ მამა-ჩემი ამდენ-ხანს აცდევინებს. მისს ბრეი, გუვარებიათ თქვენ როდინაც ვინმე?

— მრთხელ, გულ-მოსაკლავს ღიმილით მიუგო მევიმ.

— სად არის მერმე ვინც გიყვარდათ?

— აღარ არის, სადღაც დამეკარვა...

— შღირსი კაცი იყო თუ?

— იმაზედ სჯა არ შემიძღია როგორი იყო, მაგრამ ესეც კმარა გითხრათ, რომ მე არ ვყვარებავარ.

— არ ჰყვარებიხართ? სწორედ გასაკვირველია, მე რომ კაცი ვიყო, პირველი შეხედვისათანავე დავემხობოდი თქვენი მშვენიერი და მედიღური შეხედულების წინაშე. ნეტავი ახლა, ამ წამში, მამა-ჩემს აჩვენა თქვენი თავი. თქვენ გასაოცრად გაეხართ ერთს სურათს, რომელსაც ის, მგონია, ძღიერ უნდა

ათასებდეს. შექცეულად შენიშნავდა ის ამ მსგავსებას.

— ჩემი მსგავსი სურათი აქვს მამა-თქვენს? ბაკვირებით ჰკითხა მეგიმ.

— შილაც უცნობი ქალისაა, ღიმილით მიუგო ლილიანმა. მამას უკადია თავი, საწოლს ოთახში. მე გაჩვენებთ როდისმე. ახლა კი მიმღერეთ რამე, ჩემო მისს ბრეი! თქვენ. უფ. მითხრა, რომ თქვენ მშვენიერი ხმა გაქვს, მინდა შეეცადო, მართალია თუ არა?

მეგიმ გასწია ფორტოპიანოსაკენ. სახემ გაუღიმა, როცა მასი თითები შეეხო კლავისებს; რამდენი წელიწადია ხეირიანა ფორტოპიანოზედ არ დაუკრავს; საუკეთესო საკრავის სიმების ჰანგმა აღტაცებაში მოიყვანა; დიდი ხანია, რაც არაფერი ემღერა, მაგრამ ახლა მასდა უნებურად დასძახა სახალხო სიმღერა რობინ ბრეისა და გაისმა მშვენიერი ნაზი ხმა.

ის სიმღერა ძლიერ უყვარდა პოლკოვნიკ ლიზარტს; იმაში გამოიხატებოდა წასრული ბედნიერება და უბედურება. მეგი გასაშტერებელის გრძნობით იმღეროდა ამ ლექსს. ამ დროს დავიწყებული ჰქონდა ყველაფერი, რაც ხდებოდა მის გარეშემო. როცა გაათავა უკანასკნელი ტაეპი, მხოლოდ მაშინ მოიხედა უკან.

ღეიდა მაიტლენდს გამოჰღვიძებოდა. ლილიანი იჯდა და თავ-ჩალუნული ისმენდა, თითქოს ეშინოდა, არ დაჰკარგოდა რომელიმე ჰანგი; იმის სიახლოვეს იდგა ქერა-ხუჭუჭ-თმიანი ყმაწვილი კაცი საშინელი ადრევებულის სახით.



— ოჰ, რა მშვენიერება რამ იყო! ლილიანმა და გაუშვირა მეგის ხელი.— შრან. ქალი არ სტყუოდა: მშვენიერი ხმა გქონიათ. ღანტონ, ნება მომეცით გაგაცნოთ მისი ზრე!

ორივე გაშტერებულნი შეჰხედნენ ერთმანერთს. მაულტრი გაყვითლდა, როგორც ზაფრანა და ძლივს წარმოსთქვა:

— უკაცრავად, მე კარვად ვერ გაიგონე მაგათი გვარი.

— მისი ზრე! ხმა-მალლა და გარკვევით გაუმეორა ლილიანმა.

მეგომ წაღვა რამდენიმე ნაბიჯი იმისაკენ. იმისმა შემა ოვალემა გაიფიქრა გამოუთქმელად და ცინებით და თავი დაუკრა. მაულტრიმ წაიფლო თმაში ხელი და დაიწია უკან.

ამ ნაირად შეჰხედნენ ერთმანერთს, სამის წლის შემდეგ, ბიჩ-ბოლემში შეყვარებულები.

თუმცა დედა-მიწა განიერია, მაგრამ მაინც ხშირად შეჰხედებიან, ვინც კი ფრიდება ერთი-მეორეს. შორტესკიუს ჰერ-ჰევმ მეგი შეჰხვდა იმ კაცს, რომელმაც ისე უნამუსოდ მიატოვა საგამონის სასტუმროში. თუმცა სხვა გვარად გამოეცხადა ღანტონს მაგრამ აღრინდელზედ ათას წილად უფრო გამშვენიერებული და მედიდურის შეხედულებისა იყო.

— ლილიან, შენ და ღანტონ მაულტრი, მგონია, სადღაც აპირებდით წასვლას? მაულტრის ბედად ჰკითხა შაიტლენდმა.

საქართველოს
საქართველოს

—ჰო, მართლა, ჩვენ გვინდოდა გამოტენაზედ ახალი სურათები გვენახა. ათ მინუტში ჩამაცმევს სელესტა. მისს ზრეი, თქვენი ჭირიმე, დასაპატიჟებელი ბარათები დამიწერეთ. სია მოსაწვევ პირთა ჩემს საწერ სტოლზედ ძევს. ღვიდა, მისს ზრეის არ მოსწყინდეს.

— აქ ისეთი სიცხეა, რომ დაიხრჩობა კაცი, წამოიბუტბუტა ღანტონმა და გასწია კარებისაკენ. ლილიან, მე კიბეზედ მოგიცდი.

ზაიხურა კარები თუ არა, როგორც თოფ-ნაკრაფი მგელი, გარბოდა აღრინდელის სა ვარლისაგან.

ლილიანმა საჩქაროდ ჩაიკვია, ჩამოვიდა კიბეზედ, სადაც დაჰხვდა საქმრო, მაგრამ იმის სახის ცვლილებამ გააკვირვა. ღანტონა ეკიპაჟი თუ არა, ღანტონი მიუბრუნდა ლილიანს:

— მინ არის... ეს მისს ზრეი?

— ახალი წვევრია ჩვენის ოჯახისა! მხიარულად მიუგო ლილიანმა. ძალიან ლამაზი არ არის?

— არ შემინიშნავს... ერთი მითხარი, შენი ჭირიმე, საიღვან გამოჩხრიკე და ან რა მიზნით მოიყვანე?

მოწყენილი სახის გამომეტყველებამ და მოუთმენელმა გამოკითხვამ შეაშფოთა ლილიანი, ღანტონმა შენიშნა ეს თუ არა, საჩქაროდ გამოიცივალა კილო და დამშვიდებით განაგრძო:

— მას შემდეგ, რაც შენ ჩემს საკუთრებად მე-



გულვები, სახუმრად არ მიმაჩნია, რაც შენ შეგგონება.

ლილიანმა ნაზად მოჰკიდა ხელი და მოუყვა, რაც კი იცოდა, მისს ბრეის ამბავი.

— მე რე შენს ამხანაგად შეკოიყვანე? კინალამ გულ-მოსულობით წამოიძახა ღანტონმა.

— შენ ვერ წარმოიდგენ, რა მალე შევეცთვისე! არც ერთი ჩემი ამხანაგთაგანი მაგასაფით ყველაფრით შემკული არ არის.

— მართლა?

მაულტრის თვალ-წინ გაუფრინდა დიდების მოლოდინი. ამას შემდეგ ყოველ დღე შეჰხედებოდა მეგის. ნეტავი, უამბობს თუ არა ლილიანს, რაც შეამთხვია მაულტრიმ? ამის შიში, მგონია, არ უნდა ჰქონოდა ღანტონს, რადგან თვითონ მეგისაც უნდა დაეფარა თავისი შთამომავლობა. ღმერთო ჩემო! ნუ თუ პოლკოვნიკმა და ქოსტანციამ სრულებით არღეს მაზედ ხელი? ჰფიქრობდა ღანტონი.

— შენი ჰირიმე, ეუბნებოდა საქრმო ლილიანს და უჭერდა პაწაწინა ხელზედ ხელს, თითქოს ეშინოდა, არსად გაქცეოდა. მე ვერ მოვისვენებ, სანამ ჯვარს არ დავიწერთ. სიტყვა მომეცი, რომ მამა-შენს არ მოუსვენებ, სანამ ჩვენი ჯვარის წერის ვადას არ მოაკლებინებ.

— სიტყვას გაძღვე, რომ ვეცდები, მიუგო გაწითლებულმა ლილიანმა.

ამ დროს მეგი იჯდა ალისფრად გაკრულს ოთახში და სწერდა ლილიანის მაგიერად დასაპატიყებელ

ბარათებს. ის უნებურად შეჰკროა, როცა რომის ლეიტის სახელოც შეჰხვდა სიაში. ამ სახლში უნდა შეჰხვედროდა ორ ყმაწვილს, რომელნიც ერთსა - დამავ დროს დაეძებდნენ იმის სიყვარულს.

როცა გაათავა წერა, შეინახა ბარათები, მიუჯდა ანთებულს ბუხარს და გაერთო ღრმა ფიქრში.

რადგან ამ სახლში მიუცილებელად უნდა შეხვედროდა მაულტრის, ბედნიერად სთვლიდა თავის თავს, რომ პირველმა შეხვედრამ აგრე შეუნიშნავად ჩაიარა. დაფიწყდა თუ არა მეგის ის ფიცი, რომელიც დადო მწუხარებისა და უბედურებისა დროს საგამონში? არა, არ დაფიწყნია. იმას თვალ-წინ წამოუდგა გაჩაღებული ბიჩ-ბოლე თავის მშვენიერი ნაპირებით, ამწვანებული დადრონი ხეებით, რომლის ჩრდილს ქვეშ დასეირნობდნენ ორივე და მისდა უნებურად ამოიოხრა. ამ ფიქრებით გატაცებულს არც კი გაუგია როგორ გაიღო კარები და უცნობი კაცი მიუახლოვდა მას.

— შეჰველად მისს ბრეი ბრძანდებით? ცივის ხმით ჰკითხა მან.

შეშინებული სახით მოიხვდა მეგიმ და დაინახა, რომ ახლად შემოსული ბუსავით მიჩერებია მას.

— შთუოდ თქვენ მისს ბრეი უნდა იყოთ? მაუმივორა კიდევ. და რადგან აქ მესამე პირი არ არის, რომ გაგაცნოსთ ჩემი თავი, ამისათვის ნება მომეცით, თვითონ გითხრათ ჩემი ვინაობა, მე გახლავართ მსაჯული შორტესკიუ, ლილიანის მამა.



მევი წამოვარდა შეშინებული: იმის წინ იდგას ის კაცი, რომელიც ნახა კიბესთან. მალალი ტანის, ფიცხელი გამომეტყველი სახის, მაგრამ გასაკვირველი მიმზიდველად მომღიმარე და სასიამოვნო ხმის მქონე.

— მის ფორტესკიუ არ არის სახლში. სალამით მიუგო მეგობ.

— შიცი. ლაჯექით, თუ ლმერთი გწამსთ, მგონია შეგაშინეთ? ამას გარდა, წარსულის ამ გვარზე დანაშაულობისათვის უნდა მოვითხოვო თქვენთან ბოლიში. მე ვამბობ ამას წინათ. რომ შეგაშინეთ, იმაზედ?

— თქვენ საიდგან იცით რომ მე შეგმეშინდა. ჰკითხა მეგობ და შეუბოვრად შეაჩერდა.

მსაჯული ჩამოაწვა ბუხარს და სიმწრით თითქმის ამტვრევდა ძვირფასს ვაზას, ისე უჭერდა ხელს. გაშტერებით მისჩერებოდა მეგობს, მაგრამ ამ უკანასკნელს არ ეშინოდა იმის ყურებისა. მევი ჰფიქრობდა, რომ მსაჯულს უნდა შეიტყოს, თუ ვინ შემოიყვანა მისმა ქალიშვილმა ამხანაგად.

— მე ვფიქრობ, უნდა შეგშინებოდით, მიუგო მსაჯულმა. სუდი საქმე მომივიდა, თითქმის თქვენს ფეხებთან დავეცი, უეჭველად შეგეშინდებოდით.

— შემეშინდა დიად, დაუფარავად უთხრა მეგობ.

— ხომ არ გიფიქრნიათ, რომ ჩემი გულის შეწუხება თქვენი მიზეზით იყო?

— მე რად უნდა მეფიქრნა? იქვიანის ხმით მიუგო ქალმა.

მახლა ჩხრიალი და მშვენიერი ვაზა ნამცეც-
ნამცეცად დაინტერა მეგის წინ, თითქოს მსაჯულმა
განგებ გადმოაგლოო.

— ცოდვა არ არის, ამისთანა მშვენიერი და
ძვირფასი ნივთის გატეხა? სთქვა მეგიმ.

მისტერ შორტესკიუ საჩქაროდ გამოეცქვია და
გულ-გრილის ღიმილით მიუგო:

— არა უშავს რა, მოსამსახურეს დაუძახებ,
აკრიფოს ნამტვრევები. მისს ზრეი! ჩემი ქალი ძა-
ლიან შეგთვისებიათ თქვენ, ამ შემთხვევაში ვატყობ
იმას უფრო მეტი გამჭრიახობა ჰქონია, ვიდრე მე
ფიქრობდი. რადგანაც ის ერთად-ერთი ნუგეშია
ჩემი, ამისათვის იმის მეგობარი ჩემი მეგობარიც
უნდა იყოს.

ამ სიტყვებით გაუშვირა ხელი. მეგიმაც მიაწო-
და პაწაწინა ხელი და თან საშინელ შიშსა და სი-
ხარულსაც გრძნობდა. მსაჯულს, როცა უნდოდა,
ძალიან მიმზიდველად მოაჩვენებდა კაცს თავს.

— მე ძვირად მომეწონება ვინმე, მაგრამ ჩემის
ქალის აღტაცება, მგონია, ჩემზედაც გადმოვიდა. ნება
მომეცით გკითხოთ: თქვენ ამ ქალაქში დაბადებული
ხართ?

— ნუ გაგიკვირდებათ, რომ მეც თვითონ არ ვიცი,
სადა ვარ დაბადებული. ამის თაობაზედ ჩემს დღეში
არაფერი გამიგონია.

შორტესკიუ ცოტა შეჩერდა, მაგრამ მალე
გადაასხვაფერა. ის ისეთი გამოცდილი კაცი იყო, რომ



აგრე ადვილად არაფერს შეამჩნევინებდა კაცს. წყნარად გაუშვა ხელი მეგის და შენიშნა:

— თქვენი გვარი ისე ხშირია, რომ ყოველდღე შეჭხვდება აქ კაცი. ბოსტონში ნათესავეები გყავსთ ვინმე?

— სრულებით არავინ.

— ძვეყანაზედ ბევრი ისეთი რამ არის, რომ ძნელად აიხსნება, სხვათა შორის, მაგალითად: სახით ერთმანერთის მსგავსება, რომელიც მოხდება ძალიან შორებლებთ შორის.

ზაკვირვებულის სახით მისჩერებოდა მეგის, როდესაც კარები გაიღო და კაბების შრიალით შემოვიდნენ ლილიანი და მაიტლენდი.

ბებრმა იქვიანის თვალით გადაჰხედა მსაჯულს და მისს ბრეის. ზანა არ შეეძლო ამ ქალს, რომელმაც ქალიშვილი ასე გააგიჟა, გადაერია მამა მისიც? ლილიანმა კი სიხარულით წამოიძახა:

— ოჰო, თქვენ კიდევაც გაგიცენიათ ერთმანერთი! ძალიან მოხარული ვარ სწორედ.

— მე შემოვედი აქ და რადგან მარტო დამხვდა მისს ბრეი, გავეცანით ერთმანერთს, გულ-გრილად მიუგო შორტესკიუმ. მაულტრი სადღაა? ჩვენთან არ სჭამს სადილს?

— თავი ატკივდა საშინლად, როცა სურათებს ვათვალიერებდით და ბოდში მოითხოვა თქვენთან, რომ სადილად მოსვლა არ შეუძლია, მოწყენილის სახით უთხრა ლილიანმა.

საქართველო
1930

— არა მგონია, რომ იმას თავის სიცოცხლეში ატკივებოდეს თავი...

— ბარწმუნებ, მამა, რომ დღეს ძალიან ავად არის; რაღაც დაბნეულია და უხალისოდ. შენც კი იცი, რატომ არის ასე... მაგრამ, რომ არ შედიხარ მის მდგომარეობაში...

— მე მაშინ ვიქმნებოდი ღირსი მაგ გვარი საყვედურისა, რომ ჩემი სინიღისის წინააღმდეგ წავსულიყავი. სანამ შენს თავს ხელში ჩაეუგდებდე, კარგად უნდა გავიცნო დანტონი, ორი წელიწადი ერთი საუკუნე არ არის, ჩემო შეილო!

— მითი საუკუნეა, აბა რა არის! დანტონს მაინც კი ისე ჰგონია და, გაჯავრებულის სახით მიუგო ლილიანმა.

სადილობისას მეგი მაიტლენდთან იჯდა და ყველა ყურადღებას აქცევდა მას, როგორც ოჯახის წევრს. მოსამსახურეებს შემოჰქონდათ მშვენიერად შემზადებული საკმელები; შეიქმნა გაცხარებული ბაასი; შორტესკიუ მშვენიერი მოლაპარაკე იყო და განსაკუთრებით დღეს გამოიჩინა თავი, ეტყობოდა, სცდილობდა, რომ მისს ზრეის ყურადღება დაემსახურებინა, სწონიდა თვითოეულ მის მიხვრამოხვრას და არ აშორებდა თვალს. მეგიმ შეამჩნია ეს, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, თუ რა გავლენა ჰქონდა მსაჯულზედ მის ყურებას და შეწუხებული ეკითხებოდა თავის თავს:

— ნეტა რად სცდილობს, რომ აგრე მომაწო-



ნოს თავი? შითქოს მაცდურიაო, უნდა მოხიბლოს მის გარშემო ყველაფერი.

მაიტლენდი საშინელი გაჯავრებული და შეშინებული იყო. ლილიანი კი, წინააღმდეგ ამისა, მომეტებული მხიარული. როდესაც სუფრიდგან აღგნენ, ლილიანმა გადაჰვია მამას ხელი და უთხრა:

— რა გულ-კეთილობაა, მამა, შენის მხრით, რომ ჩემი გულისათვის აგრე ყურადღებით ექცევი მისს ბრეის! ნუ თუ მართლა შევილის პატივის ცემისთვის იყო აგრე აღერსიანად ახალ-გაზდა ქალთან?

— მა რალაც სასწაულია, გესლიანად შენიშნა მაიტლენდმა სიძეს. სხვიმის როდის გაგიტარებიათ ჩვენთან სალამო?

— ნ ურადფერი გაგიკვირდებათ, ხლა დადგა სასწაულთ მომქმედი საუკუნე, ღიმილით მიუგო შორტესკიუმ.

ღიდ-ხანს იჯდა და ისმენდა მეგის სიმღერას, შემდეგ ადგა, გამოეთხოვა ქალებს და გავიდა თავის ოთახში. მეგიც წავიდა დასაძინებლად. ის გაერთო ლილიანისა და მისი მკვერ-მეტყველი მამის ფიქრში და ჩურჩულობდა, თითქოს უნდოდა ოკეანს იქეთ მიეწვდინა ბიძა-მისისათვის: «ეს ძალიან კარგი კაცი ყოფილა და ძალიანაც მომწონს, პოლკოვნიკო ლიხარტო!»

ნაშუალამემდის დარბოდა მსაჯული თავის ოთახში. საჩქარო საქმის ქალაღლები ხელ-უხლებლად ეყარა სტოლზედ და ვერ გაქცეოდა საშინელს მოჩვენებას, რომელიც თვალ-წინ უდგა და კანკა-

ლებდა შიშით, თითქოს გარისხული ანგელოზის.
წინ მდგარიყოს. რა იყო ეს ასეთი აღმაშფოთე-
ბელი მოჩვენება? მშვენიერი სახე მისს ბრვისა.
სდევნიდა მას.

VIII

მართი მშვენიერი ქუჩის ბოლოს იდგა პატარა,
ლამაზი სახლი, რომლის ფანჯარებზედ ჩამოსაფა-
რებლებიც თოვლივით სვეტაკად ანათებდა. ძარებ-
ზედ მიკრული პატარა თეთრი ფიცარი სახელისა და
გვარის ზედ წარწერით ვერცხლივით ბრწყინავდა;
თუმცა ძვირფასი ამ სახლში არაფერი იმყოფებოდა,
მაგრამ ყველაფერი მოხერხებულად, ლაზათიანად და
გასაოცარის სისუფთავეთ იყო მილაგებული.

სასტუმრო, სამუშაო, ლამაზი პატარა პურის
საჭმელი და დასაძინებელი ოთახები მშვენიერის
გემოვნებით იყო მოწყობილი. სამის წლის განმავ-
ლობაში ლეიტის მდგომარეობა გაუმჯობესდა; ყველა-
ფერზედ ეტყობოდა ახალი მოსახლობა.

ღალყუმულ ქრისტე-შობის თვის დღეს მისს პრიუ-
იჯდა სავარძელში ბუხართან და სათვალეებით ჩასჩე-
რებოდა წერილი ასოებით დაბეჭდილს რვეულს, რომ-
მელშიაც ერთი ქალი იცავდა იმ აზრს და ავრცე-
ლებდა თავის თანამოაზრებთ შორის, თუ როგორ
უნდა მიაღწიონ «ქალებმა საზოგადო ამოჩხვების
უფლებამდის.» მისს პრიუს ეცვა შავი კაბა და



ქალარა თმას უფარამდა შავივე აბრეშუმის ბლოზდი. ცხოვრების გაუმჯობესობამ ცოტად დაადარდინა კეთილი მოხუცებული ქალი. ია მიჩვეული იყო სუფთად და ლამაზად ყველაფრის თავის ხელით გაკეთებას და ახლა კი უნდა გადაეცა უხეირო მოსამახურების ხელში ყველაფერი. მის ძმას, რომელსაც გამოჩენილი ალაგი ეჭირა ახლა სამსჯავროში, აღარ შეეფერებოდა აღრინდულად ცხოვრება, თორემ სიამოვნებით იცხოვრებდა მისს პრიუ ისევ იმ მდგომარეობაში. ძმის პატივისცემის და სიყვარულისათვის ითმენდა ყოველივე წვრილმან უსიამოვნებას ცხოვრების ცვლილებით, რადგან რობინი ეგონა ყველაფრით სრული და შემკობილი დედა-მიწაზედ.

«ქალები ქვეყნის დაარსებიდგან მონებას ქვეშ იმყოფებიან,» ჰკითხულობდა მისს პრიუ, «მაგრამ მათი განთავისუფლების დღემ მოაღწია, იმათ ეჭირებათ მხოლოდ ერთობა და შეუდრეკელად მიმართვა აღნიშნულს მიზნამდე. ჩვენი მოწინააღმდეგეები ხელ-მძღვანელობენ იმითი და მოჰყავთ ის საფუძვლად, რომ ვითომც ბევრს ჩვენს სტესთავანს სრულებითაც არ ჰსურდეთ მიაღწიონ ამორჩევების უფლებამდის. თანახმა ვარ! მაგრამ როდის არ ყოფილა ჩვენში იმისთანა სულელები, რომ თავდაპირველად გულ-გრილად არ მოჰკიდებოდნენ კეთილ დღეობის გაუმჯობესობას? მით უმეტეს ქალების ამორჩევებაების უფლება დარჩება საზოგადოების უფლებადა და მიუცილებელ საჭიროებადა,

რომლის სისრულეში მოყვანის სურვილიც
დღე მატულობს.»

მევის ძველმა მეგობარმა გააწყვეტინა ყეფით
გულ-და-გული კითხვა მისს პრიუს და, რადგან ამ დროს
კარების რახტნიც მოესმა, იმან ამოოხვრით გადადო
რვეული.

— მიღაც მოვიდა! შექველად დიდ-კაცთაგანი
იქმნება ვინმე რობინთან და გაიხედა ფანჯარაში.

მკ, ლმერთო ჩემო, კიდევ რაიმონდის ქვრივია,
წამოიძახა ზიზლით პრიუმ.

— ძვირფასო მისს ლეიტ, მგონია ხელი შე-
გიშაღეთ? მკვარცხლად და აღერსიანად ჰკითხა
შემოსვლისათანავე ქალმა, მაგრამ მე ცოტა ხნით
შემოვედი. იქმნება სწერთ რასმე თქვენი საზოგა-
დოების შესახებ? შექველად მეც ჩავეწერები წვერად
და კიდევაც ავრევე-დავრევე ყველა ქალების საზოგა-
დოების წინა-დადებას.

მოტიკტიკე ქალი დიდ-კაცურად გამოიჭიმა
სკამზედ. ეს იყო მანვილი მოლაპარაკე, შავ-თვალ-
წარბა, ოცდა-ერთი წლის ქ., რომლის მარდი მიხვრა-
მოხვრა და შეხედულობა თუთხმეტ-თექვსმეტი წლის
გასათხოვარ ქალს უფრო მოაგონებდა შემხედავს, ვინემ
ქვრივს და ისიც დიდი ხნის გამოგლოვილს. შავ-
გვრემანს სახეზედ ბლომად ეყარა პუდრა, ხელოვნუ-
რად დახვეული თმა ჩამოწეწოდა შუბლზედ და შავს,
ელვარე თვალებზედ, რომლებსაც ისე ასრიალებდა,
რომ მისს პრიუმ დაარქვა იმათ «კაცების მახემ.» მისი



ჩასუქებული აგებულება შემოსილი იყო აბრეშქვით მებითა და ხავერდებით, და უცნაურად დაფარცხნილს თმას უშვენებდა პარიჟელი, საუკეთესო ახალი მოდის შლიაპა.

მისს პრიუს საკუთარი მიზნები ჰქონდა მორიღებულად ჰყოფილიყო ამ დიდებულ ქვრივთან და მიუფო:

— ჩემთვის ძლიერ სისიამოვნოა, როცა ჩემს ძმის მეკობრებს ვხედავ. ღიღი გულ-კეთილობაა თქვენის მხრით, რომ არ იფიქრებთ საბრალო მოხუცებულს ქალს, რომელიც არ ეკუთვნის თქვენს საზოგადოებას.

— ძვირფასო მისს ლეიტ, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორი დავალებული ვარ თქვენის ძმისაგან. მე არ დავიფიქრებ ხოლმე სიკეთეს, სხვა არა იყოს რა, ამისათვისაც უნდა მივიღო თქვენში მხურვალე მონაწილეობა. იმიტომ კიდევ უფრო მიყვარს თქვენთან ლაპარაკი, რომ არ ეკუთვნით ჩვენს საზოგადოებას; ჩვენს შორის დარჩეს და მე მომეტებულად მომბეზრდა ჩვენი წრე.

მისს ლეიტს არ შეეძლო გულ-გრილად მოესმინა რობინის ქება და ალერსიანად მიუფო:

— ბანა რობინის სახელი თქვენის საქმის შემდეგ არ ფაიქვია?

— რას ამბობთ მაგას? მე ჩემთვის ძლიერ სისიამოვნო იქმნებოდა, რომ მართალი იყოს. მე კიდევ ამას ვიტყვი, რომ უიმათოდ ჩემს საქმეს არა-



ფერი ეშველებოდა. დარწმუნებულიცა ვარ, ისე ვერაინ ვერ გაიმარჯვებდა, როგორც იმათ.

მისს პრიუმ კმაყოფილების თვალით გადაჰხედა რაიმონდის ქერივს.

— მე ძლიერ უბედური ვიყავი ქმრის ხელში, განაგრძო ქერივმა. ნუ დამძრახავთ, რომ აკრე გულახსნილად გელაპარაკებით; დიდი ხნის ნაცნობად და მეუბრად მიმაჩნისართ და იმიტომ მომდის ეკ. ჩვენ ძალიან განსხვავებული ვიყავით ხნოვანებით, შეხედულებით და გემოვნებითაც არ ვეთანხმებოდით ერთმანერთს...

— მრთი სიტყვით, სიმდიდრისათვის წაყოლიხართ იმას, გააწყვეტინა მისს პრიუმ.

მატრის რაიმონდი გაწითლდა და განაგრძო:

— თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინ თერამეტის წლია ვიყავი. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ჩემი მშობლებია დამნაშავე, მაგრამ ჩვენ მოგველოდა შიმშილით სიკვდილი. ეს საშინელება, თუმცა შემდეგშიაც ძვირად დამიჯდა. ბოლოს გარდაიცვალა ჩემი მეუღლე და დამიტოვა მთელი საცხოვრებელი, რომელიც ძლიერ ცოტა ჯილდო იყო იმ უბედურებისთვის, რაც გამოვიარე იმის ხელში. იმისმა ანდერძმა გააბრაზა მისი ნათესაობა; განაცხადეს, რომ ანდერძი ყალბია, იმ დროს არის შედგენილი, როცა გრძნობა აღარ ჰქონდაო და დამეხვიენ, რომ გამოეგლიჯათ ანდერძით კუთვნილება ხელიდგან. აი ეს საქმე აიღო თქვენმა ძმამ და გასაოცარის მეცადი-



ნეობით მოიგო. მათის შემწეობით გავხდი მდიდარი და თავისუფალი და ბედნიერი ქერივი.

ამ სიტყვებით გამხნეებულმა მისს პრიუმ მიუგო:

— ამ საქმემ ძლიერ დააწინაურა რობინი. ამას შემდეგ მიიპყრო საზოგადოების ყურადღება და თანდა-თან გაიმარჯვა.

— ღიად, ამ საქმემ დიდი ყურადღება მიიქცია. ძველანი ღალატებდნენ ლეიტის გულ-მოდგინედ საქმის წარმოებაზედ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, მისს, ლეიტ, რა სიამოვნებით დავდივარ სამსახულოში როცა ის იცავს საქმეს, რომ გავიგონო მისი მშვენიერი სიტყვა. აღტაცებაში ვარ, როცა ის, გატაცებული. თავისს საგანზედ დაიწყებს ლაპარაკს.

მასს პრიუმ გამტერებული მისჩერებოდა ქერივს. ნეტავი მადლობის გრძნობა ალაპარაკებს ამ გვარად, თუ მართალია ის ხმები, რომ ვითომც ქერივს უყვარდეს რობინი? მისს ლეიტი ყოველთვის იჭვიანის თვალით უყურებდა ამ ქალს და ახლა გულ-გრილად მიუგო:

— მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ რობინი კარგად გაიკათავდა ცხოვრების გზას.

ძვრივი ძასტორს ეალერსებოდა და ჰკითხა:

— მისტერ ლეიტს, მგონია, ძალიან უყვარს ეს ძალლი?

— ღიად, ეგ ძალლი ეკუთვნოდა ერთს პირს, რომელიც ჩვენ ძალიან გვიყვარდა.

— თუმცა ბევრს ნებას ვაძლევ ჩემს თავს, როგორც საზოგადოდ ქალები, ღიმილით განაგრძო მისტრის რაიმონდმა, მაგრამ ძლიან გულით მინდა შევიტყო, ვინ უყვარს კიდევ თქვენს ძმას? საზოგადოება რომ არ უყვარს მითი სჩანს, რომ არაფისვან დაპატიყების ბარათს არ ღებულობს, რომლებიც ხშირად მოსდის, როგორც მეგობრებისა და თაყვანის-მცემლებისაგან, ისე ჩემგანაც.

თუმცა ღიმილით ამბობდა ამ სიტყვებს, მაგრამ მაინც ეტყობოდა უკმაყოფილება და განაგრძო:

— შოველა ადამიანი ერთ რაიმე საგანს მაინც მიეღობის. იმას კი, ვერ გამიგია, რისი სურვილი აქვს?

სასტუმროსა და რობინის ოთახს შუა კარები ღია იყო და მისს პრიუმ მიუთითა იქითკენ დიდ-შეკაფხედ, რომელიც წიგნებით იყო სავსე და მიუგო:

— აი, მისტრის რაიმონდ, თქვენ შეგიძლიათ იქ ნახოთ მისი სურვილის საგანი. საზოგადოებისათვის იმას არ სცალია; როცა თავისუფალი დრო აქვს, კითხვაში ატარებს.

— მარტო ეგ, მეტი არაფერი? ღიმილით ჰკითხა ბელლა რაიმონდმა.

— მეტი სრულებით არაფერი! იქმნება თქვენ გგონიათ, უყვარდეს ვინმე? ღაგარწმუნებთ,—არაფინ.



პრა მგონია, რომ რობინმა თავის დღეში ქალიშვილი იყვაროს.

ქვრივს სიხარულით თვალებმა გაუღიმა. ეს შენიშნა პრიუმ და იფიქრა:

— ეს იმისათვის მოსულა, რომ მხოლოდ ეს შეეცყო. ოჰ, რობინ, რობინ! მოეჩიდე ამ ქვრივს!

— ოჰ, რა კარგია... ე. ი. მინდოდა მეთქვა ახირებულთქო, წამოილაპარაკა ლამაზმა ქვრივმა, მაგრამ ერთხელაც არის გაეგმის მახეში. შევლას ვერ ასცდებო, საზოგადო კანონს უნდა დაემორჩილოს კაცი. ამ სიტყვებით წამოდგა, თითქოს, რისთვისაც იყო მოსული, შეეცყო და სთქვა:

— ახლა კი დროა წავიდე. მნახეთ ხოლმე, ძვირფასო მისს ლეიტ, სულითა და გულით მსურს თქვენი დაახლოვება, სხვა არა იყოს რა, თქვენი ძმის გულისთვის მაინც.

მარდად ჩამოართვა ხელი და გადიდა. მისს პრიუმ დარჩა მარტო და დაუბრუნდა თავის რეეულს «ქალების ამორჩევების უფლებებზედ.»

როცა სანთლებით გააჩაღეს სასტუმრო, რობინიც დაბრუნდა შინ. უკანასკნელის ორი წლის განმავლობაში ძლიერ გამოიცვალა ლეიტი. ახლა მისი და ველარ ეტყოდა, «ჩემო ბავშოო» ამ განიერ მხარ-ბეჭიანს კაცს. მუდამ ჩაფიქრებული, შავი წვერ უღელაშით გარშემოზღუდული იმისი სახე ცხადად წარმოუდგენდა თვალ-წინ ერთ-ერთ იმ მამა-კაცთაგანს, რომელნიც ისე ეზიზღებოდა იმას.

ქართული
ლიტერატურა

— ღღეს აქ მისტრის რაიმანდი იყო, სალელ-
ვებულის სახით უთხრა მისს პრიუმ.

— მართლ? მთარუღია სახით ჰკითხა რო-
ბინმა.

— რა სულელურად კითხულობ! სულ რომ
გამართა, ის მი'ჩვენია მაგას. იყო-მეთქი აქა და
სულ შენ'ედ ლაპარაკობდა.

— ადვილად წარმოსადგენია, ის უეჭველად
შიმხვდარა, რომ შენი საყვარელი საკანია ჩემხვედ
ლაპარაკი, ამიტომ უნდა გასიამოვნოს.

ასეთმა შეურყეველმა სიმშვიდემ ძლიერ გაა-
ჯავრა პრიუ და წამოძახა:

— რობინ, იცოდე შენი ბედის წერა გადაწყვე-
ტილია. მე ვატყობ, რომ იმ ქალს უყვარხარ.

— ჩემო საყვარელო პრიუ, მიუვო რობინმა
და თან ძასტორს თავზედ ხელს უსკამდა, შენისთანა
ჰკუიანს ქალს არ შეფერის მაგისთანა სულელური
ლაპარაკი. თუ გიყვარვარ, ერთი სტაქანი ჩაი დამა-
ლევინე, მერმეთ ქალღლები უნდა გადავათვალიერო.
ამას გარდა, ამ საღამოს კარგი დროს გატარება მო-
მეღის: შორტესკიუსთან ვარ მიპატოვებული.

— მერმე მიდიხარ? მა რა ქეიყი მოგ-
სვლია? მე მეგონა, შენ არ გი ვარდა მაგისთანა უბ-
რალო დროს გატარება.

— რატომ არა? მე მხოლოდ დრო არა მაქვს
ამაებისათვის, თორემ... მსაჯული პირველინახვისა-



თანავე ძალიან ალერსიანად მომეჭკა, განსაკუთრებით მთხოვა ყოველთვის დავესწრო მისს საღამოებს; მაშასადამე, რა დამიშლის წასვლას?

— იქ, რასაკვირველია, შეხვედები უცნაურ-თვალეზიანს ქვრივს, გრძლად გაშლილის თმით, რომელიც ემგებება მფელიას გიჟის როლში. რა ვაეწყობა, იქმნება უარესსაც წაეყრებოდი რასმე; ამბობენ მდიდარიყო და ლამაზიც არის. მაგრამ მე კი ველარ დავდგები შენთან, იმ გვარი ქალები დიდიდგან საღამომდე სულ ანჩხლობენ და...

— პრიუ, შენ სწორედ ყოჩანს მაგონებ, რომელიც მუდამ გულსაკლავად დაჩხავის ხოლმე, ღიმილით გააწყვეტინა რობინმა. მე არ ვეკუთვნი საცოლო ახალ-გაზდებთაგანს, მაშასადამე, შენთვისაც არ არის საჭირო მეორე სადგომის ძებნა.

მოხუცებულმა ქალიშვილმა მკმუნვარებით გადაქნია თავი და მიუკო:

— აგრე ადვილად ვერ მომატყუილებ, რობინ! რომ მოვიდეს ის ქალი და პირ-და-პირ გითხრას, მიყვარხარ, წამიყვანე ცოლაოო—რას ეტყვი?

პი რას ვეტყვი: ჯერ შეისწავლოს შენი ანბანი და გაიგოს, რომ მხოლოდ იმ ქალებსა აქვს უფლება მაგ საგანზედ ლაპარაკის, რომელნიც ძალად არ ჩამოეკიდებიან კაცებს კიერზედ მეთქი.

— რა სისულელდე! წამოიძახა მისს პრიუმ.

რობინ ლეიტმა ჩამდენიმე საათი დაჰყო თავის ოთახში. ჩაფიქრებული შლიდა საქმის ქალაღდებს

და ეწეოდა ჩიბუხს. შენებთან უწეა ქასტორი, რომელიც ელაქუცებოდა. რობინმა გადადო ქალღმერთი და დაჩერდა ძალღმერთი. მისმა მამაცურმა სახემ მკვლევარე შენეღმერთი მიიღო, როცა ჩაჰკითხა ქასტორს:

— ზახსოვს შენ ისა, ჩემო კარგო? მე ვიცი, რომ გახსოვს. ახლა უეცრად რომ კარები გაიღოს და შემოვიდეს, სიხარულით აგიძგერდებოდა ეგ პატრონისანი გული, განა?

ძალიან აღეწრით ულოკავდა ხელსა. ლეიტმა ჩაჰკიდა თავი და რამდენიმე წამი იყო ღრმა ფიქრებით გართული. შემდეგ გულიანად ამოიოხრა, გადაიკვია ტანისამოსი და გასწია შორტესკიუსაკენ.

შევიდა თუ არა რობინი მსაჯულთა, მთელი ბოსტონის დიდებული გვაროვნების საზოგადოებით საესე იყო იქაურობა. მისტრის მაიტლენდი და იმისი დის-წული, ხვეწრდებით და აბრეშუმებით მოართული, სტუმრებს იღებდნენ.

ლეიტმა დაუკრა ქალებს თავი და გაემართა შორტესკიუსაკენ, რომელიც ელაპარაკებოდა ლამაზს, ქერა ახალ-გაზდა ვაჟს.

— ძალიან სასიამოვნოა თქვენი ნახვა, საყვარელო ლეიტ! მიმართა ამ სიტყვებით შორტესკიუს ახალ-გაზდა დამცველს, რომელსაც ძლიერ პატრესა სკემდა. ნება მომეცით გაგაცნოთ ჩემი სასიძო, მისტერ მაულტრი, ახალი მორლენიდან.

დენტონმა მომხიბლავის თვალთ გადაჰხედა რობინს და იძულებით გაუწოდა ხელი, მაგრამ ლეიტმა

ხელია ჩამორთმევის მაგივრად, თვალი თვალში გაუ-
 ყარა და წაილაპარაკა:

— მე მკონია, აღრეც შევხვედრივარ მისტერ
 მაულტრი.

— ნუ თუ მართლა? ჰკითხა შერცხეფინით ლან-
 ტონმა, რომ ხელი არ ჩამოართვის. მე არ მაგონდება,
 გამახსენეთ სად, ან როდის უნდა გეახეთ?

— ამ სამის წლისა და ნახევრის წინად, ბიჩ-მო-
 ლეში, მიუგო რობინმა.

ამ სიტყვებმა შეაშფოთა მაულტრი. ია გაწი-
 თლდა და გაბრაზებულის თვალით გადაჰხედა ლეიტს.
 შემდეგ შეაქცია ზურგი და გასწია პირ-და-პირ.

რობინი გაჩერდა ფანჯარასთან და მიასჩერებოდა
 სხვა-და-სხვა ნაირ ხალხს. მაშ ეს ავაზაკი კიდევ ჩა-
 მოსულა და ახლა შორტესკიუს ქალის შერთვას
 აპირებს? მა ძნელი დასაჯერებელია! ამ ფიქრით
 იყო შეცული რობინ ლეიტი, როცა იგრძნო ქა-
 ლის ჩვილი ხელი თავის ხელზედ და ნაწის ხმით წა-
 ჩურჩულება:

— ეს რას ნიშნავს, რომ თქვენ აქა ხართ? რო-
 გორ დაეუჯგურო ჩემს თვალებს? ერთი მითხარით,
 რა მანქანებით მოგიტყუათ მსაჯულმა და მოგაშო-
 რათ თქვენს წიგნებს?

მოციწარის თვალებით ჩაჩერებოდა მისტრის
 ჩაიმონდი რობინს. ის იყო ღია ფერისაბრეშუმისა კა-
 ბათ და ბრილიანტებით მორთული. მისი ტუჩების

ფერი თითქოს ეკილებოდა ვარდის ფერსა და ლეიტის უფრებით სიამოვნებით უღიმებდა.

— მე თვითონ მიკვირს და არც ვიცი, რამ მიმიყვანა აქ, მიუვო რა ბინმა.

— ძალიან გულ-მოდგინედ ეკილებით თქვენს საქმეებს. რასაკვირვებელია, ვგ უბირეცლესი ღირსება-თაგანია თქვენი წოდებისათვის, აგრეთი თაე-გან-წირულება უნდა დაჯილდოვდეს კიდევ. შიტი შეხედეთ, ნუ თუ ამდენს ლამაზებში არც ერთის სახე არ მიგიზიდავს თქვენ? მის მიჩქრებისარო აგრე გულ-და-გულ?

იას უყურებდა მაულტრის, რომელიც ხელი-ხელ გაყრილი დასვირნობდა თავის საცოლოსთან.

— ნუ თუ მართლა ის კაცი ირთავს მისს შორტესკიუს? ზიზლით ჰკითხა რა ბინმა.

ლამაზი ქერივი ისე მიუახლოვდა რა ბინს, იცე-თის ღიმილით დაუწყო ლაპარაკი და ჩაჩქრებოდა რომ მისს პრიუ გულედ გასკდებოდა, რომ შეეხედნა.

— ღაად, ეს ამათი დიღი ხნის ნაცნობია, მაგრამ ნიშნობა მაინც მოულოდნელად მოხდა. ლილიანს ძალიან უყვარს ის, მაგრამ იმას კი... მიუხედე-ლად მისა, რომ უმანკო შეხედულობისაა, მე მაინც ასე მგონია, რომ მზითვის მიმდევარი უნდა იყოს. უბედური ლილიანი საცოდავია მაგ შემთხვევაში. რად არის სიყვარული აგრეთი შეუბრალებელი?

რა ბინს არ ვაუგონია, თუ როგორის ოხვრით



იყო ეს სიზუვები ნათქვამი. მისი ყურადღება ამ ქა-
მად ერთა ქალზედ იყო მიქცეული, რომელიც კან-
კელთან იღვა და ელაპარაკებოდა შორტესკიუს.
მეგის მშვენიერი ტანი გამოწევილი იყო უნაოქოდ
შეკერილს ოქროს ფერს ატლასის კაბაში, რომელიც
ლილიანმა ატუქა. ოქრომკედის საზიფებით დახლარ-
თული სახელოებით განიჩეოდა ის ყველა ქალების
მორთულობიდან, მშვენიერად მოყვანილი ყელი
თოვლივით გამოჰკრთოდა ძვირფასს კრუჟევისა და
ატლასის საყელოში. ზრძელს შავს ხელთათმანებში
გამოსხვილი ჰქონდა ფუნჩულა, პაწაწინა ხელები და
ხშირ შავს თმაში მიბნეული ერთად-ერთი ჩალის
ფერი ვარდი აკვირვებინებდა ამ უბრალო და გან-
სხვავებული გემოვნებით მორთულობას.

ას საზოგადოებაში, სადაც ამდენი დარჩეული
ლამაზი ქალები იყო, მეგი ყველას სჯობდა.

— ეს ქალი ვინ არის, შორტესკიუს რომ
ელაპარაკება? ჰკითხა რობინმა ქერის.

— ეს არის მისს ზრეი... ლილიანის ამხანაგად
მოწვეული. აღრე კაზებს მიკრავდა ხოლმე. ძალიან
ლამაზია, არა? ამ მორთულობაში საშუალო საუკუ-
ნის ქალსა ჰგავს. სამი კვირაა, რაც ამათთან სცხოვ-
რობს, მაგრამ როგორც ეტყობა, როგორც უნდა
ისრე ატრიალებს ყველას. ზასაკვირველია სწორედ.

— რას ნიშნავს ეს სიტყვები? ჰკითხა რობინმა
და არ აშორებდა თვალს ოქროს ფერ-კაბიანს.

— ერთი შეხედვით, რა რიგაღ ელაპარაკება

შორტესკოუ, მიუფო ქერიემა, თითქოს ჩაყლაპვას უბირებო, ი'ე ჩაჩერებია. ჩვენს შორის იყო ნათქვამი და ეგ კაცი, თუმცა საშინელი მოუდრეკელი ხასიათის არის, მაგრამ მაინც შეიძლება მოითოკოს როდისმე. ამას წინად შამოველი აქა და ენახე, რომ მისს ბრეი, შაიტლენდი და ლილიანი ისხდნენ ერთად სასტუმროში და მუაიფობდნენ. მ.მაცა და ქალიც ისე ვაყრობოდნენ, როგორც თავიანთს ტოლსა. შოველთვის გამოდი მათ სტუმრებთან და დაჭყებათ ხოლმე, სადაც წაეღენ. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, დიდი სვირნობის დროს, ლილიანს უჯდა გვერდით მარხილში. შამოეხა ძვირფასი სალოვი და ასე გვეგონებოდათ დედოფალიაო, არა თუ უბრალო მკერავი დედა-კაცი. მთელი ქვეყანა იმაზედ ლაპარაკობდა, როგორ შეიძლება აგრე დაბრმავდეს კაცი! მსაჯული, როგორც გაგვეგონებათ, დიდი ხანია რაც დაქვრივდა... და მისი მეგობრები ჰფიქრობენ, დაიღუბება უეჭველათაო...

— მკ, მართლა, სულ დამაფიწყდა, რომ მსაჯული ქერიეია... წამოილაპარაკა რომინმა.

მართლაც შორტესკოუ ისე ექცეოდა იმ ქალს, ქერიის სიტყვებში იქვი არ იყო.

— მის შემდეგ, რაც საბერძნეთში იყო მშენიერი მლენა, ლამაზი ქალი საშიშარი რამ არის, გულგრილად განაგრძო ლეიტმა.

— მართლა? წყენით შენიშნა ქერიმა. ეგ საშიშარი რამ ახლა თქვენის თვალის წინ არის. საწყა-



ლი მსაჯული! შეხედეთ ხელი-ხელს გაყრილი ფორტოპიანოსაკენ მიჰყავს, მართლაც სასიამოვნო ხმა აქვს იმ ქალს.

ამ დროს ფორტესკიუმ მისს ბრეი მიიყვანა ფორტოპიანოსთან. მუზიკის მასწავლებელი დაჯდა რომ დაეკრა დასამღერებელი ხმები, მეგი უძრავად იდგა და მის ღიდებულს შეხედულობას იქ მყოფნი არ ამორებდნენ თვალს. ისეთის საბრალო და სამწუხარო სმით დაამღერა ტენისონის შესანიშნავი სიმღერა, რომ ამისთანა გრძობა ჯერ არავის გამოეხატა ამ ხმაში. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა ამდენს ხალხში, რომ ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი.

— სწორედ შეუდარებელი რამ არის, წაჩურჩულა რობინს ბელლა ჩაიმონდმა. მომღერლად ხომ არსად ყოფილა თუ იცით?

— ჰიდევ გაგვაბედნიერეთ რომელიმე სიმღერით, მისს ბრეი, სთხოვა მსაჯულმა.

მეგის არ შეეძლო ეწინააღმდეგნა, მისი სიმღერით აღტაცებული ხალხი შემოეხვია გარშემო და ყველანი აქებდნენ. დაამღერა კიდევ გასაშტერებელის გატაცებით ნემეცური საარშიყო ლექსი და მოშორდა ფორტოპიანოს. ამ დროს მოჰკრა თვალი რობინ ლეიტს და მიუახლოვდა მის დაღერემილს სახეს.

მეგიმ შენიშნა, რომ რობინს უნდა მასთან ლაპარაკი. უცრად გააგდო განგებ მარაო ხელიდგან და როცა ლეიტმა მიაწოდა, ამ დროს წაჩურჩულა ქალმა:

— ბაჩუმდით! პი ამ ოთახში შედით და მო-
მიცადეთ.

რობინის ბედად ვალამაც დაუძახა ჩაიზონდის
ქვრივს და განათავისუფლა იმისაგან. სხვების შეუ-
ნიშნავად შევიდა საკითხავს ოთახში, სადაც ძლიერ
ისმოდა საკრავების ხმა; დიდ-ხანს არ უცდია, მეგიც
მაშინვე შემოვიდა.

— რობინ, ნუ თუ თქვენა ხართ მართლა? მი-
აძახა შემოსვლისთანავე ქალმა.

— ღიად, მე გახლავართ, მისს ღაიზარტ!
მევიმ მიიღო ტუჩებზედ ხელი და ჩუმის ხმით
უთხრა:

— სწუ, მაგ გვარს ნუ მიხსენებთ. მე მეზიზღება
ეგა, ახლა მისს ზრეი ვარ.

ის იდგა კარებთან და სანთლების სინათლებზედ
მისი მშვენიერი შეხედულობა ცოცხლად იხატებოდა
აღლი-ფერი ხავერდის ფარდებს შუა.

— მე აღარ შემეძლო ღაიზარტას გვარი მეტა-
რებია, აგრეთვე მამა-ჩემის გვარის მიღებასაც ვერ
ავიტანდი. მე უნდა მეშრომა დღიურის ლუკმოსათვის.
ნუ დამძრახავთ ამისათვის, თუ ღმერთი გწამსთ.

— მე? ღმერთმა დამიუარო!! თუ იმდენს გულ-
კეთილობას გამოიჩინთ და მეტყვით საღ იყავით
ამდენის ხნის განმავლობაში, როცა ჩვენ ისე გულ-
გრილად მიგვატოვეთ, რომლის შემდეგაც ჩემი და
ტირილით მოვიგონებთ ხოლმე, ძლიერ დამავა-
ლებთ.



— მე დიდი-ხანია მივსწერე მისს პრიუსს. იმ ბარათში იყო ფულიც, რომელიც თქვენ დაგეხარჯათ ჩემს ავად-მყოფობაზედ. ნუ თუ არ მიუღია ის წერილი?

— ღიად, მიიღო, უმადურის ხმით მიუგო რომინმა და თვალს არ აშორებდა მეგის, მაგრამ ბარათი ორის სიტყვისაგან შესდგებოდა, რომელშიაც არ სჩნდა, სად არის და რას შვრება მისი დამწერი. წერილში რამდენიმე ალერსიანი სიტყვა იყო და ფული, რომლის დაბრუნებაც მაშინვე უნდოდა, რომ სცოდნოდა საწყალს პრიუსს თქვენი სადგომი. უნდა გამოგიტყდეთ, მისს ბრევი, რომ კეთილის გულით ვერ მოექცეცით თქვენს მეგობრებს.

მეკიმ ჩალუნა თავი და წამოიღაპარაკა:

— რა სასიამოვნო იქმნებოდა მისს პრიუსსათვის, რომ მომეწერა, თუ რა დაობლებულად ვიყავი აუტანელსა და სამსიმო ცხოვრებაში? უიმისოთაც საკმაო მწუხარება მივაყენე თქვენს დას. ახლა მიამბეთ, როგორ არის? ბლეკ-ბავენშია კიდევ თუ არა? მომიგონებს ხოლმე? დამერწმუნეთ, რომ მე არ დამეიწყნია თქვენგან დავალება.

— ის ძალიან ხშირად მოვიგონებდას ხოლმე, მაგრამ ისე კი არა, როგორც დავალებულს. მრთხელ მითხრა, რომ თქვენ გაქცევის დროს ძვირფასი ნივთები დაგრჩენიათ და უნდა დაგიბრუნოსთ. ჩემთან სცხოვრობს აქ, ბოსტონში. იმას გარდა ერთი თქვენი ძველი ნაწნობი მყავს. იმას არ გეტყვით, ვინც

არის; როცა ჩემი დის სანახავად მოხვალთ, თქვენ თვითონ ნახეთ.

— შექველად ძაღვ ვნახავ. ზახსოვსთ, რობინ, ქუჩაზედ რომ შემხვდით? რატომ ისე ჩამიარეთ გვერდი, ვითომც ვერ მიცანიხ?

— მას შემდეგ, რაც თქვენ ჩემთან და ჩემს დასთან ჩაიდინეთ, განა შემექლო წარმომედგინა, რომ თქვენ გინდოდა კიდევ ჩენი ნაცნობობა?

მეკი კმუჭნიდა ხელში ყვავილს და ცოტა სიჩუმის შემდეგ უპასუხა:

— როგორც ხედავთ, მე ვიზოვნე თავის შესაფარებელი ადგილი და აჲ მკონია, სამოთხეში ვარ მეთქი.

— მე კი, მაგრამ ამ სამოთხეში გველი არ არი?

— როგორ არა, არის, გამოტყვილად მიუვარ მეკიმ.

— მე ვნახე ის დღეს, მაშასადამე, თქვენ ხშირად შეხვდებით ერთმანერთს? მოწყენილის სახით ჰკითხა რობინმა.

— თითქმის ყოველ დღე. მისა შორტესკოუს ირთავს ცოლად.

ლეიტმა თვალი თვალში გაუყარა მეგის, მაგრამ ვერ შეინშა ნამცეცი აღელვება.

— ნუ თუ თქვეთვის საწყენი არ არის ეგ შემთხვევა?

— რა გაეწობა! ჩვენ ჯერ ხმაც არ გაგვიცია



ერთმანერთისათვის, ვითომც არც კი ვიცნობთ ერთმანერთს.

— მასპინძლები კარგად გეპყრობიან? მონაწილეობით ჰკითხა რობინმა.

— მეტი არ შეიძლება. შორტეკიუს ნაცნობი დიდ-კაცობა გაკვირვებულნი არიან, ისე ვაყვართ ამ სახლში.

— მსაჯულზედ რაღას ფიქრობთ? როგორი კაცია?

— მის სახეში ბაიარდი, ზალაგადი, შვიდი ბრძენი საბერძნეთისა და ლორდი ჩერსტენფილდი, ყველა ერთად გამოიხატება, ღიმილით უპასუხა მეგიმ.

— უკაცრავად ვარ, მაგრამ ნება მომეცით გკითხოთ, ნახეთ თუ არა პოლკოვნიკი ღაიზარტი?

— ვერა, მიუგო მეგიმ და ღიმილი გაეინათუხებზედ. ამოდ უცდი წლითი-წლობამდე, ის არსადა სჩანს. მე მგონია, საშინლად შეეშინდება ამ სახლში რომ მნახოს. ჩემთვის მიუტყობელი იყო, მოვლაპარაკებოდი იმას და შემეტყო დაწვრილებით უბედური მამი-ჩემის ამბავი. **მკ**, რობინ! რომ შეხვიდეთ ახლა ზალაში და უამბოთ მსაჯულსა და მის ქალს ჩემი თავ-გადასავალი, ვინა ვარ და რა, რომლისაც ჯერ იმათ არაფერი იციან. მაშინ აგრე მომეფერებოდნენ ნეტავი თუ არა? ვერ წარმოიდგენთ, რა საზიზღრობაზედ შეიცვლება ახლანდელი ჩემი მდგომარეობა. ისინი ჩამთვლიან გაიძვერად და ვან-

დევნილად, რომელიც არ არის სახლში შემოსაშვები; თუცა შეუბრალებელი და უსამართლო კანონია, მაგრამ მამის ცოდვა შვილს მოეკითხება.

ამ სიტყვებით წინარად ატირდა. იმის მწუხარებამ შეარყია რობინი და გაბრაზებულის ხმით წამოიძახა:

— პოლკოვნიკი ლიხარტი უღმერთოდ მოიქცა თქვენს შესახებ!

— იმას ნუ გაამტყუნებთ! მე ნამდვილად ვიცი, მხოლოდ ძალბრუნია და აშაული, მძიმე ამოცანებით მიუკო მეგიმ. რობინ, უკაცრავად, მისტერ ლეიტენანტი მინდოდა მეთქვა, შენ ახამთ ჩემს საიდუმლოს?

— როგორ მკითხავთ მაგას? დამერწმუნეთ, რომ შეურყეველად.

— მაშ, ჯერ-ჯერობით შემოძლია დამშვიდებული ვიყო. დანტონ მაულტრი ვერ გაამხელს, რადგან მისთვისაც არ იქმნება სასარგებლო. რობინ! მგონია ჩვენ ხელი არ მიგვიცია ერთმანერთისათვის? დ, გაუშვირა ხელი, მე გავიგონე შორტესკიუაგან, რომ თქვენ ძლიერ მალე დაიშახურეთ საზოგადოების ყურადღება და კარგათა ც შეგიძენიათ. ძალიან მოხარული ვარ... ძალიან... ახლა გადიო ზალაში, არ ივარგებს, აქ რომ შემოგვესწრონ.

რობინმა დაუკრა თავი და გავიდა.

მეგი მარტო დარჩა და წავიდა ღრმა თიქრში. შეცრად გაიღო მეორე მხარეს კარები და, როგორც საფთხეში დამწყვდეული დამნაშავე, მეგი საჩქაროდ



ამოეთარა ფარდას. ამ დროს შემოვიდნენ კლდეც
 შორტესკიუ და მისი საძიძო. მევის უკვე აღარ
 შეეძლო გასვლა ოთახიდან.

ძაღვები სტოლთან გაჩერდნენ. შორტესკიუმ
 დაადგ მხარზედ ხელი ღანტონს და უთხრა:

— აბა, ჩემო საყვარელო, ახლა ჩვენ მარტო
 ვართ და დაუფარავედ შეგიძლიათ მომელაპარაკოთ.
 თქვენ ამბობთ, რომ შევიწროებულს მდგომარეო-
 ბაში ხართ. რაში მდგომარეობს ეგ შევიწროება?

— შულის უქონლობაში, მიუგო მაულტრიმ
 და ჩამოისო წვერებზედ ხელი.

— თქვენი ახალი თანამდებობით არა ხართ
 კმაყოფილი?

— კმაყოფილი ვარ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ,
 რომ ვალები გაქვს. ჩვენი სახელმწიფოს მდგომა-
 რეობის გამო, ჩემი მამულის საქმე ცუდად წავიდა
 და ასე უცებ ამ მდგომარეობიდან გამოსვლა ძნე-
 ლია...

— შემწეობას თხოულობთ განა ჩემგან?

— ღიად, დაუფარავედ მიუგო მაულტრიმ.

მაჯულმა ამოიღო სტოლის უჯრიდან ბან-
 კის ბილეთები, წაწერა ზედ რამდენიმე სიტყვა და
 მისცა საძიძოს ამ სიტყვებით:

— მიიღეთ ლილიანის მამისაგან ეს ნაგლეჯი
 ქალაღდი, ჩემს ქალს უყვარხართ და მეც დარწმუ-
 ნებული ვარ, თქვენც გიყვართ ისა. მე სიტყვა მო-
 გეცით, რომ როდისმე დაგწერთ ჯვარს. ახლა გა-

დით ზალაში და შემდეგ მხიარულის სახით გამოვი-
სალმეთ ჩემს ქალს.

მაულტრიმ დახედა ბილეთებს და გაწითლებუ-
ლის სახით წამოიძახა:

— ოჰ, ძვარფაო და კეთილი გულის მეგო-
ბარო! ეს რა არი... ხუთი ათასი დოლარი? მე ამ-
დენი არ მინდოდა.

— ზაჩუმდით, ერთი სიტყვა არ მითხრათ მა-
გაზედ! მე ცოტაოდენად გააუმჯობესებს თქვენს მდ-
გომარეობას! რაც რამ გამაჩნია, სულ ჩემი ქალის არ
არის?

ამ სიტყვებით ორნივე გავიდნენ.

მეგიც გავიდა ზალაში, საჩქაროდ გაიხედ-გამოი-
ხედა და რობინი რომ ველარ დაინახა, გასწია ლი-
ლიანისაკენ, რომლის დიდრონი თვალების ჩალურ-
ჯება ამტკიცებდა მომეტებულს დაქანცულობას.

— ამ გვარი შექცევა და ბალები სიკვდილზედ
მიმაგდებს ხოლმე, ისე მლაღავს, ამოიხერით სთქვა
პატარა მემკვიდრამ. ოჰ, თქვენი სიმართლე რომ
მომცა, მისს ზრეი! საშინელი მოწყენილი და რა-
ღაც შეუძლოთაც ვარ. ღანტონი სად არის? არ
გინახავსთ?

— მამა თქვენს ელაპარაკება. ამ დროს ვილამაც
ფეხი დაადგა და კაბა ჩამოაგლიჯა მეკის.

ზევით ადით, მოსართავს ოთახში და უბძანეთ-
მიგიკერონ, წყენით უთხრა ლილიანმა. მალე ჩამო-



ღით, თქვენი ჭირიმე, ნუ მიმატოვებთ, სანამ სტუმრები არ წავლენ.

მეგი როცა კიბე'ედ აღოდა, ღანტონ მაულტრი შეჰხვდა. ღანინახა თუ არა, ღანტონი შეჩერდა. მათ სიახლოვეს არაფერ კაჭანებდა და საშინელის აღელვებულის ხმით წასჩურჩულა:

— ნება მომეცით, მისს ზრეი, რადგან აქამდის მერიდებოდით, ახლა მაინც შევეკრათ პირობა და გადაუღობა გ'ა.

საშინელის ზიზლით შეხვდა მეგიმ. მოიკრიფა ხელში კაბა, თითქოს ეშინოდა ხელი არ მომკიდო-სო და შეუბრალებელის ხმით უბასუხა:

— ბ'ა მომეცით, თქვენ ძლიერ სცლებით. მე ვერ გიცნობთ, ვინა ხართ.

ღანტონს სისხლი აუარდა თავში ამ სიტყვების გაგონებით.

— მეგი, მეგი, ეხვე'წებოდა ის. მომისმინეთ ერთი წამი!

— აკი გითხარით, რომ ვერ გიცნობთ-მეთქი, დამშვადებულის ხმით გაუმეორა ქალმა.

ღანტონი ჩამოღდა, და მეგიმ მხიარულის სახით აირბინა კიბეხედ. მაულტრი მისჩერებოდა და საშინელი წყევლა ისმოდა იმის პირიღგან.

IX.

მეორე დღეს მეგი და ლილიანი ისხდნენ აღის-ფერით გაკრულს ოთახში ბუხართან. ღვიდა მაიტ-

საქართველოს
საქართველოს

ლენდი კიდევ გულით ხერინაედა, როცა ქალიშვი-
ლებს საუბრე მოართევს. შართო-ფართო ნაფლე-
თებად სკვიოდა თოვლი. ლილიანი საშინელი დაქან-
ცული იყო წინალამის ნათევი, ისეთი სუსტი ქმნი-
ლება რამ იყო, რომ თუ არ ასეთი უზრუნველი
ცხოვრება, ნაკლულოვანების ატანა არ შეეძლო.

— სასიამოვნო არ იყო ბელლა რაიმონდის
ყურება წუხელის? სთქვა ლილიანმა და მიიკრუნჩხა
საფარძელში ძვირფასი ხალათით მორთული და გაშ-
ლილი შავი თმით. სასაცილოა სწორედ. რა რიგად
გადაჰკიდებია ახალ-გაზდა დამცველს! ლეტი აწარ-
მოებდა იმის საქმეებს და ახლა დარწმუნებით
ლაპარაკობენ, რომ შეყვარებულიაო. ძალიან მდი-
დარი ქვრივი კი არის. შმაწვილი კაცისათვის, რო-
მელსაც ეს არის ახლა შეუდგამს ცხოვრებაში ფეხი,
გვარიანი საცოლოა.

მეგი იჯდა მეორე მხარეს ბუხართან და რაღა-
საც ჰკერაედა. იმას სრულებით არ ეტყობოდა დაღა-
ლულობა. მანგებ იჩხვლიტა ნემსი ხელში და ვითომ
ამის გამო შეჰკრთა და იქვიანის სახით სთქვა:

— ნუ თუ მისტერ ლეტი მზითვისათვის
შეირთავს ცოლს?

— არ ვიცი, ლმერთმანი, ღიმილით მიუგო ლი-
ლიანმა; მე მგონია, ყველა კაცები აგრე იქცევიან,
და ისი ხომ პატივის მოყვარეა. მამა ჩემი აღტა-
ცებაშია იმ ყმაწვილით. მასაოცარი ჰკუიანი არისო



და უწინასწარმეტყველებს, რომ მალე დაიშასურებს
 გ. მარჩენლს და სპატიო სახელს საზოგადოებაში.
 მანა არ შეგინიშნავს, მისტრის რაიმონდთან რომ
 ლაშარაკობდა? მალაღობის ტანის, შავგერემანი და ისე-
 თი ჩაფიქრებული, როგორც შოლინი, ანუ დიოგენი.
 — როგორ არა, ღიმილით მაუფო მევაში.

— როგორც შევნიშნე, მგონი, ის ვაჟიც იფე-
 რებს ქერხვის არწიყობას, მაგრამ ყველაზედ მომე-
 ტებული ყურადღება ჩვენს ხუთასს სტუმრებში მიიქ-
 ცია მამა ჩემის თქვენდამა დამოკიდებულებამ. მს
 სურს შერთო მოხდა, რადგან თქვენ ყველაზედ ლა-
 მაში იყავით წუხელის, ძლიერ მიხარია, რომ მამა-ჩემ-
 მაც შევნიშნათ ვე ღირსება.

მეტი საშინლად გაწიხლდა და ვერ მოახერხა
 პასუხის მიცემა.

— წამოდით, მისს ბრევი, წაგიჟებთ მამა-ჩემის
 მთაბნის. ის დიდი ხანია წავიდა საქმეებზედ. მსეთს
 რაღასაც ვაჩვენებთ იქ, რომ ვაგვიკარდებთ.

მეტიმ ვაკვირებით შექმნდა.

— ეს ის სურათია, რომელიც მამას საწოლთან
 უკიდია. მგონია ამას წინედ კიდევაც ვითხარით?
 აუხსნა ლილინმა. შექველად უნდა ნახოთ ის,
 რადგან იგი გგავსთ, რომ თითქოს თქვენგან იყოს
 გადაღებული.

მეტი ისე შეჰკრთა, რომ საკერაფი ვაფარდა ხე-
 ლიდგან.

— თუ გიყვარდეთ, წამოდით, ჩააცივებოდა ლილიანი.

მივიღნენ თუ არა კარებთან, მევიმ რაღაცა
შევქროვებულად იგრძნო თავი, რომ მსჩერა, მაგ-
რამ ლილიანს მიჰყავდა ხელ ჩაკიდებული.

როგორც ყველა ოთახები, ესეც მდიდრულად
იყო მოწყობილი, მაგრამ მეგი არაფერს აქცევდა
ყურადღებას. ის მისჩერებოდა იქვე, სიბრტყე
თებდა ლილიანი პანაწინა ხელით.

— ერთი შეხედეთ ამ თქვენს სახეს, მარგარი-
ტა! ლიპილით წამოიძახა მან.

მევიმ გარკვევით გაარჩია შავი ხის მოოქრულს
ბუდეში ჩასმული მშვენიერად გადაღებული ქალის
სურათი. ერთ ყურეში მხატვარის გვარი იყო წაწე-
რილი, მაგრამ ზოგიერთი ასოები წაშლოდა. მევიმ
შეჰკრთა და უკან დაიწია ამ სანახავედ. იმას ეგონა,
რომ იმ ბუდედგან მისჩერებია ისევე თავისი თვალები.
ერთი და იგივე მოყვანილობა პირის-სახისა, შავი თმა,
იმ გვარივე ოქროს ფერი აჩრდილით და ალის ფერი
ფუნჩულა ტუჩები ისე აღსაშფოთებლად და მედიდუ-
რად მომლიმარე, როგორც თავისი. ერთის სიტყვით,
ერთი და იგივე სახე, რომელსაც ყოველ დღე ხე-
დავდა სარკის წინ ძღვომარე, მაკრამ გამომეტყვე-
ლებსა კი სულ სხვა ნაირი. მევის სახეში იხატებო-
და სიცოცხლით სავსე მედიდურობა და შეუპოვ-
რობა, სურათში კი ნაღველი და დაქანცულობა.
მტყობოდა მწუხარებას დაელო თავისი დალი და რომ
ეს ქალი არ უნდა ყოფილიყოს ბედნიერი.

მევიმ გაკვირვებით მისჩერებოდა, ახლა კი მიხე-



და, თუ რისთვის შეუწუხდა გული შორტესკის პირველ შეხედვაზედ. ეს სურათი უეჭველად მისი საყვარელი არსებისაა და გასაშტერებელმა მსგავსებამ მიცვალებულისადმი შეარყია მისი მაგარი გული. თითქოს ლილიანიც თანაუგრძნობდა მეგის, გაჩუმებული მისჩერებოდა სურათს.

— მისია ეს სურათი? ღედა თქვენის ხომ არ არის? ბოლოს ჰკითხა მეგიმ წყნარის ხმით, თითქოს მიცვალებულის წინ მდგარიყოს.

— ოჰ, არა, ჩემო კარგო, იმ გვარივე წყნარის ხმით მიუვო ლილიანიმაც. არ ვიცი, ვი'ია. რამდენჯერმე ვკითხე მამა-ჩემს ეამბო რამ ამ სურათის თაობაზედ, მაგრამ ი'ეთი ვაჯავრებულის ხმით მიბრძანა გაჩუმება, რომ ველარ გავბედე იმას შემდეგ მეკითხნა. ღედა მაიტლენდმა კი იცის, მგონია. ჩემა მახსოვრობაში სულ აქ ჰკადია. თმა რომ არ ჰქონდეს სხვა ნაირად დავარცხნილი და ასეთი მკმუნვარე გამოხედულება, წმინდად თქვენი სურათი ეკონება კაცს.

ღრუბლიანი დღე იყო, ფარდები ფანჯრებზედ კადვე უფრო აბნელებდა ოთახს. ისე რომ ქალებს ეკონათ, უცნობი ქალი პირ-და-პირ იმათ მისჩერებოდა და მზად იყო გაეღო ტუჩები და სამწუხარო რამ წარმოეთქვა. ეს სურათი ისე იყო გადაღებული, რომ მისი თვალები თითქოს ყოველის მხრით ათვალთვლებს მაყურებლებსო.

არ ვიცი, ვისი გადაღებულია ეს სურათი, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ გულ-და-გულ

უმუშავნია იქვი არ არის, შეყვარებული ხელით არის დახატული, სთქვა მეგიმ.

— ლილიან!

ორივე ქალები საშინლად შეჰკრთნენ ამ მკაცრი ხმის გაკონებით. შეცრალ მოიხედეს და ოჰ, ლმერთო! ძარებში იღვა მსაჯული და გაჯავრებული მისჩერებოდა მათ.

მეგია ბევრად ერჩია, დედა-მიწა გამსკდარიყო და თან ჩაეტანა, ვინემ აეტანა ეს საშინელი ყურება მსაჯულისა, რომელიც ისარივით ჰხედებოდა გულში.

— რას აკეთებთ აქ? ჰკითხა მან.

— მამა, კანკალის ხმით უთხრა ლილიანმა. მიწოდოდა მარგარიტასათვის მეჩვენებინა ეს სურათი, რომელიც ასე საოცრად ჰგავს. ამისათვის შემოვიყვანე, თქვენ სახლში არ მეგონეთ.

— ღამ მეიდლით, არც ერთც თქვენგანს არ შეგკამთ, ძალ-დატანებულის ღიმილით სთქვა მსაჯულმა. მე არ მიწდა მისს ბრემი იფიქროს, რომ მტრის ოთახშია. ორივეს შეგიძლიათ უფროთ ამ სურათს, სანამ არ მოგეწინებათ.

თუმცა ეს სიტყვები უთხრა, მაგრამ ორივემ გასწიეს კარებსაკენ. მეგიმ, როცა გვერდი ჩაუარა შორტესკაუს, რომელიც მომხიბლაფის თვალებით მისჩერებოდა, წაუღლაპარაკა:

— შაპატივეთ, თუ შეიძლება...

— რა დააშავეთ ასეთი საპატივებელი? ბაწ-



ყვეტრია მსაჯულმა, მაგრამ ხმა უკანკალოვდა და ხელები უფროთოდა, როცა კარები ჩაიკეტა.

მკორე საუფმევედ შემოვილა შორტესკიუ. იპისი მეტრის-მეტი თავა იანობა აშინებდა კიდევ მეგის. მოვა გადიღო და ქუჩიდგან ისმოდა მარხილის ზარების ხმა.

— მითი საათი მაქვს თავისუფალი, სთქვა შორტესკიუმ. მიუგნებავთ, შეგვიძლია მარხილით გასეირნება ბრაიტონის წისკვილამდის. წმინდა ჰაერში გასეირნებამ იტმნება ზეწი მოჰგვაროს ლილიანს; როგორც ეტყობა ღამის თევა არ უხდება მაგას.

მეოთხედი საათის შემდეგ ლილიანი და მეგი მსაჯულის თანხლებით მიჰქროდნენ მშვენიერო ცხენებ შებმულო მარხილით ბრაიტონისაკენ. შზა იყო გატკეცილი. მთელი ქუჩა სავეე იყო მზსეირნეებით და ზარების ხმაურობით გამოცოცხლდებოდა ადამიანი. ლამაზად ჩაცმული ქალები, მომლიმარე ქალიშვილები და ბავშვები გაქანებული დაარბენინებდნენ სწორ გზაზედ ცხენებს.

მითს აღისფერის თარხით გაკრულს მარხილში, რომლის მშვენიერს შავს ცხენებს უჭირდათ დიდი ვერცხლის ზარის ზიდვა, მეგიმ შეამჩნია ბელლა რაიმონდი და რობინ ლეტი. რობინმა, როგორც დაინახა შორტესკიუს მარხილი, მოუხადა ქუდი და დაუკრა შიგ მსხდომთ თავი. იათვალს არ აშორებდა მეგის, რომელსაც ამ დროს შორტესკიუ წინ მა-

სათარებელს ტყავს უსწორებდა მევიმ შეანჩინა, საშინ ლოდ გაწითლდა და მარჯა თვალი.

— მამა, დარწმუნებული ვარ ამ ქვრივისა და ლეიტის საქმე ქორწინებით დაბოლავდება, წამოიძახა ლილიანმა.

— შექველად, გულგრილად მიუგო მამამ.

— დღე, საშინელი ცივი დღეა, კბილების კარკალით სთქვა ლილიანმა; თუმცა სალოფი მაცვია, მაგრამ სულ ერთიანად გავიყინე. ავათა ვარ, მგონია, მამა, მალე დამაბრუნე სახლში, შენი ჭირიმე!

— ისე გააცივთლდა, რომ კაცს ეგონებოდა, სისხლისაგან დაწრეტილაო.

— რა დაგემართა, შეილო? ალერსიანად ჰკითხა შორტესკიუმ.

— წუხელის უგქველად გავცავდი. შელი მტკივა და თავი მიბრუა საშინლად; ასე მგონია, რაც მარხილებია, ყველა ტრიალობს.

ხანამ სახლში დაბრუნდებოდნენ, ლილიანი საშინელს სიცხეში ჩაავდო. მამა-მისმა, როგორც ბოვში, აიყვანა და შეიყვანა ოთახში, საჩქაროდ გაგზავნეს ექიმზედ, რომელიც მაშინვე მოვიდა და დასინჯვის შემდეგ გამოაუცხადა დიფტერიტი სჭირსო.

წინანდელი მხიარულება მწუხარებად შეიცვალა, თითქოს ყველაფერს სიკვდილის ფერი დაედო სახლში. შველანი ცერებზედ დადიოდნენ. მაშინვე მოიწვიეს საუკეთესო მომვლელები. ექიმის შემდეგ შევიდა შორტესკიუ და ნახა, რომ მევი უზის დამ-



შეიდებული სახით ლილიანსა და უჭირავს მისი ხელები. მსაჯული საშინელს მდგომარეობაში იყო.

— თქვენი აქ დარჩენა არ შეიძლება! იცით, რომ სიცოცხლეს სწირავთ მაგ გვარის გაბედულობით? უთხრა მეგის.

— შემოხედეთ, რა მაგრად ჩაუკიდნია ჩემთვის ხელი, ღიმილით მაუგო მეგიმ.

— მე მაინც ამას გეტყვი, რომ ამ ოთახში არ დარჩეთ. მომვლელები არიან და ისინი იზრუნვენ, რომ ჩემს საცოდავს ლილიანს არა გაუჭირდეს რა.

— ამის სურვილია, რომ დავრჩე მასთან. ჩემი ადგილი აქ არის და არც გავალ, სანამ უკეთ არ შეიქმნება.

— მისს ბრეი, მე თქვენ გიბრძანებთ, გახვიდეთ აქედან.

— არა, ჩემი მოვალეობაა ლილიანის გვერდით ვიყო, მიუგო მეგიმ.

ჯეროლდ შორტესკიუს არ უყვარდა, როცა ეწინააღმდეგებოდნენ.

— მაშ, არ ასრულებთ ჩემს სურვილს? მოლუშულის სახით ჰკითხა მან.

— უკაცრავათა ვარ, მაგრამ ამ შემთხვევაში არ შემიძლია, ლილიანს ვერ მივატოვებ.

პირველი და უკანასკნელი იყო ამ საგანზედ შორტესკიუს ბაასი. ლილიანი სულ უარესობაში მიდიოდა, თითქმის დასწმინდეს მორჩენის იმედისა და მეგი არ შორდებოდნენ იქის საწოლს.

ქართული
ლიტერატურა

საცოდავი ლილიანი, თუ მეგი არ მიაწოდებდა, არაფრისაგან არ იკარებდა არც წამალს და არც სხვა გვარ მოვლას. ბოლოს ექიმმაც უჩია მეგის:

— თქვენ ძლიერ დაქანცული ხართ, მე გირჩევთ გადახვიდეთ ამ სახლიდგან, თორემ დასუსტებულს სხეულს ყველაფერი გადამდები სნეულება აღვილად ელტვის.

— როცა საჭირო აღარ ვიქმნები, მაშინ წავალ. ლილიანი სწუხს, როცა მოვშორდები. ჩამატრინდება ხოლმე ხეღში და მანიშნებს ახსად წავიდე. რა გენაღვლებათ, მე აქ ვიყო?

მაულტრი თითქმის ყოველ საათში მოდიოდა ამბის შესატყობათ, მაგრამ ზევით არაოდეს არ ავიდოდა. ბადაიტანს თუ არა პაწაწინა მემკვიდრა ამ ავადმყოფობას? მკითხებოდა ის თავის თავს. საძაგელს ავადმყოფობასა და ლილიანის სუსტს აგებულებას შუა საშინელი ბრძოლა იყო, მაგრამ უეცრად შეიცვალა მისი მდგომარეობა. შველა გარშემო მკოფთ შეუმსუბუქდათ მწუხარება. სასწორმა დასძლია და ლილიანი წამოვიდა უკეთ მყოფობაში.

შუა ღლისას, ზამთრის მოღუშულ ტაროსში, ლილიანს ჩაეძინა, მსაჯული წავიდა თავის ოთახში, მეგი და ერთი მომვლელ ქალთაგანი ისხდნენ ლილიანთან. ამ დროს შემოვიდა მოსამსახურე ქალი.

— მისტერ მაულტრი გთხოვსთ ჩამობრძანდეთ, რადაც მოსალაპარაკებელი საქმე მაქვს თქვენთანო, მოახსენა მეგის.



— ჩემთან? ბაკვირეებით ჰკითხა მეგვი.

— ღიად, თქვენთან.

სოფა ხანს შეიწერდა, არ იცოდა წასულიყო, თუ არა, ბოლოს მიუბრუნდა მომვლელს ქალს და უთხრა: ახლავ დაებრუნდებიო და გავიდა ოთახიდან. მაულტრი მოუთმენელობით დარბოდა ოთახში; შევიდა თუ არა მეგი, საჩქაროდ მივიდა მასთან, მეგვის ეცვა ჩვეულებრივი შავი კაბა, მოუსვენლობამ ცოტა არ იყოფს ფერი ჩაუკრთო და შავი თვალები თითქოს გაფართოებოდნენ.

— რა თვის მხმობილობდით? ჰკითხა ქალმა საზიზღარის გულ-გრილობით.

დენტონს ეტყობოდა ცუდ-გუნებაზედ იყო. მობილურმა წარბები და მიუგო:

— რომ მეკითხნა, როგორ არას ჩემი საცოლო. შორტესკიუ მეუბნება, რომ თქვენ მუდამ მასთან ხართ. უკეთ არ არის? მორჩება თუ არა?

— მორჩება. მკონია ამ დროითაც გაბეჭდით ამას, გულ-გრილად მიუგო მეგი.

— ბავიგე, მაგრამ მე მინდოდა თქვენგან უფრო ნამდვილად შემეტყო. თქვენ ძალიან გულადობა გამოჩინეთ ჩემი დანიშნულის ავად-მყოფობაში და ამისათვის ჩემი მოვალეობაა მადლობა შემოვწიროთ იმ შრომისათვის, რომელიც ლილიანის გამო შეგმანხვევიათ.

— მე მხოლოდ ჩემს მოვალეობას ვასრულებ, ზიზღით მიუგო ქალმა. ჩემს მოქმედებაში მხოლოდ ლილიანი მყავს მხედველობაში, სხვა არაფერ.

— მას შემდეგ, რაც მე თქვენ გიცნობდით, გადაკრულს ლაპარაკი შესჩვევიანართ, აღელვებულის სახით უთხრა მაულტრიმ. ახლა უნდა გამოგიტყდეთ რისთვისაც დაგიძახეთ, მე მინდოდა ჩემის თვალით დაერწმუნებულვიყავი, თუ როგორ იმოქმედა თქვენზედ ამ დღეების მოუსვენლობით გატარებამ. ღმერთო ჩემო, რა ფერი დაგდებიათ! აღრინდელის აჩრდილი—ლა ხართ მხოლოდ! თუ მართალია, რასაც ლაპარაკობენ, ვითომც მსაჯული სულ სხვას ჰფიქრობს თქვენზედ, ამ შემთხვევაში ვერაფერს ერთგულებას ჩენს თქვენს შეიძლება.

მეგობრებო მელდურის სახით გასწია კარებისაკენ და წაილაპარაკა:

— რადგანაც აღრაფერი გაქვსთ საკითხავი, ნება მომეცით წავიდე.

მაულტრი საჩქაროდ ჩადგა კარებში. სისხლი აუარდა პირის სახეზედ და თვალები ცეცხლივით უნათებდა.

— მართი კითხვის ნება კიდევ მომეცით: იცნობს თქვენს ლილიანმა და ან უორტესკიუმ თქვენი თავგადასხვალი? იციან, რომ თქვენ არაფერი უფლება გაქვსთ გერქვათ სახელად ზრევი?

— თქვენ სცდებით, ზრევი ჩემი პირველი სახელია, მარგარიტა კი მეორე. მსაჯულმა და მისმა ქალმა არ იციან ჩემი ამავეი, თუ გნებავთ, შეგიძლიათ უამბოთ ველაფერი. სხვისი დანაშაულობა,



მკონია, მე არ გადამხდება და ამისათვის არც და
მითხოვენ სახლიდგან.

მაულტრი სიმწრით წვერებს იკენეჭავდა და
მკაცრად წამოიძახა:

— მე თქვენ გეზიზღებით მას შემდეგ, რაც სა-
გამონში ის საქმე ჩავიდინე. ძარგად განსაჯეთ მეგი,
ვინც არ უნდა ყოფილიყო ჩემი ადგილზედ, განა ისე
არ მოიქცეოდა? მე მაულტრის გვარისა ვარ. ნუ თუ
შემექლო, გამეჩირქიანებია ჩემი გვარი და შემეერ-
თებინა სახელ-გატეხილ შთამომავლობისათვის? რასა-
კვირველია რომ არა. საშინელება რამ იყო პოლ-
კოვნიკის და პოსტანცოვასგან კიდევ უარესი, რომ
მიფარავდენ თქვენი შთამომავლობის თავ-გადასავალს.
სახოგადოდ ჩვენთან ძალიან ცუდად მოიქცნენ.

— მეტი აღარ შეიძლება, გულ-გრილად მიუგო
მეგამ და საშინელია ზიზღით შეხედა. დანტონმა
წაავლო ხელი და განწირულებით წამოიძახა:

— მეგი, ნუ თუ იმიტომ გეზიზღებით აგრე,
რომ ისეთ ბედნიერების მოლოდინში მიგატოვეთ?
იმისთვის, რომ ვერ დავიწერე ჯვარი დამწავია
ქალზედ, რომლიც მამაც სამუდამოდ დატუსაღებუ-
ლია საპრობილეში?

მეგამ გამოგლიჯა ხელიდგან ხელი და ისეთის
ხმით დაუყვირა, რომ თრთოლა დააწყებინა:

— ბანა თქვენ კიდევ ბედავთ ჩემი ხელის მო-
კიდებას? დანტონ მაულტრი, იცოდეთ, მძულხართ
და თქვენი შეხედვა ჭირივით მეზიზღება!

დენტონმა უკან დაიწია.

— თქვენ გან მეტს რას უნდა მოვლოდებოდე? სამწრით წარწოხსთქვა მაულტრიმ. უბედურმა ბედმა შეგვახვედრა კიდევ ერთმანერთს. ბევრად ერჩია ჯოჯოხეთის საშინელი ტანჯვა გამომელო, ვინემ თქვენი შეხვედრა ამ სახლში. იმი'ათვის გადმოდით აქ, რომ მაწამოთ? თქვენ სრულებით არ გამოცელილხართ, ჩემდა საუბედუროდ... ისევ ის თვალები და ტუჩები, რომელთადაც თავს რეტი დამასხა ბიჩ-ზოლემში. სულითა და გულით მსურს, რომ დამახინჯდეთ, მაგრამ, თითქოს ჯინახედ, თან თან ლამაზდებით. ღმერთო ჩემო! რად დავკარგე ის ძვირფასი დრო, როცა გიყვარდით და ჩემი იყავით... როცა თანახმა გახდით ჩემა ცოლობაზედ... როცა მხად იყავით, შეგეწიროთ ჩემთვის თითქმის მთელი სიცოცხლე... რო, ეს საშინელებაა, როცა მომავონდება. მომშორდით, მეგი. თქვენ საკმაოდ მიხდით სამაგიეროს. მომშორდით, სანამ ისეთი არაფერი წამომცდენია, რომ შემდეგ ვინანო. წადით და გეზიზღებოდესთ ჩემი შეხვედა. ახლა ჩემთვის სულ ერთია. თქვენ იცით, რომ მე ვიროთავ მისს შორტესკიუსს, თუ გადარჩა?

ღიად, ვიცი და ძალიანაც მებრალება.

ამ სიტყვებით მეგი გავიდა ოთახიდან.

X.

ლილიანი გამოღვიძებული დახვდა მეგის.

— თქვენ გკითხულობსთ, მოახსენა მომელოელმა ქალმა.



ის საჩქაროდ მივიდა მღებიაჩესთან; ავადმყოფ-
მა გამოუწია პაწაწინა ხელები და სუსტის ხმით და-
უწყა ჩურჩული:

— ჩემო ძვირფასო მარგარიტა, ჩემი მომვლე-
ლი მეუბნება აღარ მოკვდებიო.

— ჩასაკვირველია! ახლა კარგათა ხართ, მად-
ლობა ღმერთს! წრფელის გულით უთხრა მეგიმ.

— ჩემს ბედნიერებას სამზღვარი აღარა აქვს!
ჩა საშინელი იყო ჩემთვის ახლა სიკვდილი, როცა
ღანტონს ისე ვუყვარვარ. იმის გულისათვის ჩემთვისაც
ძვირფასია სიცოცხლე.

მეგიმ იგრძნო, რომ ყრუანტელმა დაუარა ტან-
ში, მაგრამ ვინ დაარწმუნებდა ლილიანს ამ ყმაწ-
ვილოურს აღტაცებულს სიყვარულში, რომ თანა-
გრძნობა არ იყო მეორეს მხრით.

— ძხლა ხომ შემძლია იმის ნახვა, მარგარი-
ტა? ჩამდენი ხანია არ მინახავს! ჩამდენი ხანია იმისი
ხმა არ გამიგონია!

— შესეც არის აქ იყო თქვენს საკითხავად და
სახლში წავიდა. შეიძინა ამბობს, დღეს კიდევ მოსვე-
ნებით იყო და ხვალ იქმნება მოგცესათ ნება იმის
ნახვისა.

— სულ ხვალ და ხვალ, ამოახერხით სთქვა
ლილიანმა. მოვიცდი კიდევ, თუმცა საშინელი ტან-
ჯვანა ეს მოლოდინი. ჩა ვქმნა, მარგარიტა, რომ ის
უველაფერს მირჩევნია დედა-მიწაზედ?

— შე მეც ვიცი, ჩვენი სქესის სისუსტე მაგა-

ში მდგომარეობს: ისე შევიყვარებთ ხოლმე, რომ სამხლვარი აღარა გვაქვს, ნაღვლიანად მიუგო მეგობ.

მეორე დღეა ღანტონს მისცეს თავის საცოლოს ნახვის ნება.

პვად-მყოფთან ამ დროს მაიტლოენდი და ერთი მომხლელთაგანი იყო. სანამ ის შემოვიდოდა, მეგი გავიდა. როცა მეგი შევიდა ლილიანის აღისფერს ოთახში, უეცრად შეეჭაკა შორტესკიუს. მსაჯულის დაღვრემილი სახე გამოცოცხლდა ქაღის დანახვით, წაველო ხელი ხელში და უთხრა:

— შეშმარიტად არ ვიცი, როგორი მადლობა უნდა შემოგწიროთ ამ მზრუნველობისა და ნუგეშისათვის, რომლითაც მე თქვენ დამავალეთ ამ დღეებში, მის ზრეი! ვერ მომიფიქრნია, რით დავაფასო თქვენი კეთილ-შობილური სიყვარული ლილიანი-სადმი.

— მე საკმაოდ დაჯილდოებული ვარ ლილიანის უკეთ მყოფობით, ჩემთვის ეს სრულებით საკმაოა, ღიმილით მიუგო მეგობ.

— ჩვენ უნდა ვადიდოთ ის დღე, როდესაც თქვენ ამ სახლში შემოდით.

მსაჯულის ლაპარაკის კილო და ყურება მეგობს აშფოთებდა. მას უნდოდა მალე მოშორებოდა, მაგრამ ამ დროს შორტესკიუმ გააღო ოთახის კარები და უთხრა:

— თუ შეაძლება, შემობრძანდით ერთ წამს, თქვენთან მოსალაპარაკებელი საქმე მაქვს.



თუმცა ძალიან დამშვიდებულის სახით უთხრა ეს სიტყვები, მაგრამ იმის ხმაში თითქოს ბრძანება გამოისმოდა. თუმცა მეგი ძლიერ შეშინდა, მაინც მეტი ღონე არ იყო, უნდა შეჭყოლოდა.

ზორტესკიუ მიუახლოვდა ქალს. იმის მკრთალს პირის სახეს ისეთი გამომეტყველება მიეცა, რომ მეგის მსგავსი ჯერ არ ენახა და მისდა უნებურად დაიწია უკან.

— მისს ბრეი... მარგარიტა... არ გინდათ გახდეთ ჩემი მეუღლე?

მს სიტყვები სრულებით მოუშზადებლად წამოილაპარაკა მსაჯულმა. მეგი არ შემკრთალა და არც შეცვლილა პირის სახეზედ, მხოლოდ გაკვირვებულის თვალებით შეჰხედა მას.

— რასაკვირველია, ეგ ახირებული ხუმრობაა და არ ვიცი, რას უნდა მავაწერო, ამაყად მიუგო ცოტა ხნის შემდეგ.

— არა, ხუმრობა არ არის, აღელვებულის ხმით მიუგო ზორტესკიუმ. ძარგად დაუკვირდით ჩემს აზრს. პირ-და-პირ გითხარით, მოუშზადებლად და ან რილასთვის უნდა მეყურებინა? მე თქვენ მიყვარხართ, მარგარიტა, და რამდენათაც ძლიერია ჩემი სიყვარული, ამის ახსნას აღარ შევუდგები... ისიც საკმაოა, რომ მე ველარ შემიზღუდავს ჩემი გრძობა. ჩემი ბედნიერება და უბედურება თქვენს ხელშია.

ზაუგებრობა შეუძლებელი-და იყო. მეგის ისეთ ნაირად უცემდა გული, თითქოს ამოვარდნას ეპირე-

ბაო, ციმა და ცხელმა ოფლმა დაასხა უცრად და
ველარ შეიძლო პასუხი მიეცა.

— რამდენიმე კვირის განმავლობაში შევიქენი
თქვენი მონა. ძარგად შემომხედეთ, მარგარიტა, მე
ისე მოხუცებული ვარ, რომ მამად შეგეფერებით.
შეგიძლიათ შემიყვაროთ?

— არ ვიცი, წრფელის გულით მიუგო მეკიმ.
ღმერთმა დამიფაროს, რომ მოგატყუილოთ. ახლა
კი სრულებით არ მიყვარხართ სწორედ.

მსაჯულმა გაიარ-გამოიარა და ისევ გაჩერდა იმის წინ.

— მე არ მაშინებს. მე შემიძლია მოვითმანო,
სიყვარული ხშირად ნელ-ნელა იგზნება ხოლმე.
ღმერთმა დაგიფაროსთ გამოსცადოთ ისეთი სიყვა-
რული, როგორსაც მე ვსცდი, ისეთი დამკვიდრებუ-
ლი ციებ-ცხელება, რომლითაც მე ვიტანჯები. მდი-
დარი ვარ. ხედავთ, ისე გატაცებული ვარ, რომ სიყ-
ვარულში სიმდიდრესაც კი ვიხსენიებ. შემიძლია მო-
განიჭოთ ისეთი დიდება, რომლის ღირსიცა ხართ და
რომლისათვისაც ხართ გაჩენილი, რომ თქვენგან
იყოს ყველანი აღტაცებაში და გაღმერთებდნენ.
მხოლოდ ერთი კითხვა მინდა მოგცეთ.

მევის ფრუანტელმა დაუარა მრთელს ტანში.

— რა კითხვა?

— თავისუფალია თუ არა თქვენი გული? ხომ
არ გიყვარსთ ვინმე ჩემზედ მეტად?

— ჩემი გული სრულებით თავისუფალია. არა-
ვინ არ მიყვარს.



— მადლობა ლმერთს! სიხარულით აღტაცებულმა შორტესკიუმ წამოიძახა: მე არა ვთხოვთ, რომ ახლავე მომცეთ ამის პასუხი. ისე მოულოდნელად ვითხარით, რომ ძლიერ აღელვებული ხართ. მართი კვირა მომიცია დრო იფიქროთ და შემდეგ მითხრათ თქვენი გადაწყვეტილება; თანახმა ხართ, თუ არა?

მეგი თავ-ჩაღუნული იდგა. იმას ახლავე უნდოდა ეთქვა უარი, მაგრამ ამ დროს ღანტონის ფეხის ხმა გაიგონა, როგორც ცეცხლი ისე აენთო, გულმა კანკალი დაუწყო და სიტყვა ტუჩებზედ გაეყინა.

— მოიფიქრეთ ჩემს სიტყვაზედ და ეცადეთ ჩემს სასარგებლოდ გადასწყვიტოთ. მცდებით განა? ჩასციებოდა შორტესკიუ.

— ღიად, ვეცდები, რაც შეიძლება, მისდა-უნებურად წამოილაპარაკა მეგიმ.

მსაჯულმა მიიტანა ტუჩებთან მისი ხელი და მხურვალე კოცნამ თითქმის დასწვა მეგის ხელი. ამის შემდეგ მსაჯული გავიდა ოთახიდან.

მართმა კვირამ საშინელი ტანჯვით გაიარა მეგისათვის. მჭვათაც არაფის აუღია, რა მოხდა იმისა და შორტესკიუს შუა. შორტესკიუს იმდენი ჭკუა ჰქონდა, რომ არავისათვის შეუნიშვნინებია. ის მოთმინებით ელოდა გადაწყვეტილს პასუხს.

წილრანი იმდენად გამოკეთდა, რომ ლოგინზედ დაჯდომა შეეძლო და სიკვდილიდან გადარჩე-

საქართველო
1933

ნის გამო მილოცვას იღებდა საქმროს და ნაცნობებისაგან, მაგრამ ვერც მისმა გამჭრიახმა თვალებმა და ვერც მათციენდისამ ვერ შეაჩინეს ვერაფერი მეგის. უკანასკნელი კი ძალა ატანდა თავს და ღამე, როცა ჩაწვებოდა ქვეშაგებში ამ გვარად სჯიდა თავისთვის:

— მითომ ჩატომ არ უნდა გავყვე, რომ პატივი-და დიდება შევიძინო, როგორც ძოსტანცია მოიქცა და როგორც იქცევიან ხოლმე ათასობით სხვები? ჩატომ? მე ხომ მიყვარს სიმდიდრე და რაც მისგან შესდგება; მეზიზღება სიღარიბე თავის ნაკლულოვანებით და მწუხარებით, გამოვცადე ლუკმა პურისათვის შრომა, რომელიც ძალიან სამძიმო და უნაყოფო ყოფილა. საზოგადოების აზრით, შორტესკიუსთან შეუღლება დიდი რამ არის, თუმცა არ მიყვარს, მაგრამ რა უშავს? ნუ თუ სიყვარულმა ისეთი ბედნიერება მომიტანა, რომ ის კიდევ უნდა გამოვცადო? პატივს ვსცემ, ვაფასებ და ყველაზედ უპირატესად მიმაჩნია, დროს განმავლობაში იქმნება-კიდევ შემიყვარდეს.

მაგრამ მისი აზრი შეიცვალა მომეტებულს სამწუხარო ფიქრზე: ნუ თუ შეეძლო მიეღო ამისთანა პატივცემული კაცისაგან წინადადება ისე, რომ არ შეეჭოზინებია თავისი საშინელი საიღუმლო? ნუ თუ შეეძლო გაყოლოდა ცოლად ჯეროლდ შორტესკიუს, რომ არ ეთქვა: მე ვარ დამნაშავეს



ქალიო, მამა-ჩემი სამუდამოდ სატუსალოში დამ-
წყვდევლიაო?

მრთ ლამეს ისე გააბოროტა ამ ფიქრებმა, რომ წამოდგა და მივიდა ფანჯარასთან, რომელსაც ფართო-ფართო ნაფლეთებად სციოდა თოვლი. ამ ბნელაში მისი მხედველობა გაჰყურებდა ჩარლსტოუნისაკენ. მეგი აკანკალდა. აი იქ, იმ ჯურღმულში, ეძინა იმ კაცს, რომლისაგანაც ის იყო დაარსებული, მამა, რომელიც თავის დღეში არ უნახავს და რომელმაც მოჰკლა დედა-მისი. როდის იქმნება დაბრუნდეს პოლკოვნიკი და უამბოს სამართლიანად ისჯება ისა, თუ არა? ღიდ-ხან'ა იდგა ფანჯარასთან დაფიქრებული, შემდეგ დაწვა და როდესაც დაეძინა, სიზმარში ნახა, რომ ის ქალი, რომლის სურათიც შორტესკიუს ოთახში ეკიდა, თითქოს გაჯაფრებული მისჩერებოდა შავი ფართო თვალებით. ამ წვალემაში გაიარა ერთმა კვირამ.

მათენდა მეშვიდე დღე, როდესაც მეგის უნდა გადაეწყვიტა თავისი ბედი. ღმერთო, რა საშინელის შიშით და გულის კანკალით გამოვლვიდა მეგის ამ დღით! საუზმეზედ მსაჯული არ ყოფილა.

-- მამა-ჩემი წახულა სადღაც საჭარო საქმისათვის. ღეიღამ სთქვა, საღამომდის არ მოვო, გულგრლად სთქვა ლილიანმა.

მეგის თითქოს მძიმე ტვირთი მოხსნოდეს ზურგიდან: ცოტა ვადა კიდევ დარჩა; ის შეუდგა ნაავადმყოფარის ვართობას: თუ მოუტანა ღანტონი-

საგან გამოგზავნილი ყვავილები, თუ უმღერდა სა-
სიამოვნო ხმებს და უკითხავდა წიგნებს, სანამ არ
დაეძინა. საღილი აღრე სჭამეს და საღილის შემდეგ
ნება სთხოვა მაიტლენდს სხვაგან წაეღოსა.

— ამ ცოტა ხანში შევიტყვე, რომ აქ ერთი
ჩემი ნაცნობი ქალი სცხოვრებს. ძალიან მინდა იმისი
ნახვა.

— როგორი გაყვითლებული და აღელვებული
ხარო! შესლიანის ხმით უთხრა მოხუცმა ქალმა.
ძაცმა რომ შემოგხედოს, ეგონება, რაღაც საშინელს
ჭეტიქრობსო. წადით, მაგრამ მალე დაბრუნდით, თორემ
ლილიანი, რომ გამოიღვიძებს და ვეღარ გნახავსთ,
მეწუხდება.

მევი საჩქაროდ მოემზადა და გასწია მისს პრი-
უსა და მისი ძმისაკენ. შევიდა თუ არა სახლში,
სუფთად ჩაცმული გოგო შეუქღვა სასტუმროში, სა-
დაც ხელ-საქმობდა მისს პრიუს.

მეგის დანახვაზედ გააგლო საკერაევი, მივარდა
და ჩაიკრა გულში.

— მრი კვარაა გიცლით და ძლივს არ მოხვე-
დით, ჩემე ძკარუასო, შენ გეაცკალე! რა შეუბ-
რალელო ყოუილხარო! ლმერთმანი, არ ვიცი დაგ-
კოცნოთ, თუ გაკიჯავრდეთ, სიხარულით აღ ჯაცებუ-
ლი მიაჩერებოდა და ეუბნებოდა მისს პრიუს.

— როგორც გინდათ, ჩემო მისს პრიუს. მე კი
ამას გეტყვით, რომ ბედნიერად ვთვლი ამ დღეს,
რომ კიდევ გნახეთ.



მისს პრიუმ მოჰხადა შლოაა და გამართეს ბაასი. მრივეს ბლომად ჰქონდა მასალა კითხვისა და პასუხისათვის.

— ძალიან მიკვირს სწორედ, განაგრძო პრიუმ, რატომ არ მითხრა რობინმა, რომ აგრე გალამაზებულხართ. სამსჯავრო საქმეებში იქმნება კარგი არ იყოს გამოტენილად ლაპარაკი, მაგრამ ჩვეულებრივ ცხოვრებაში აუცილებელია, მართალი უნდა გითხრათ. მაშ ახლა თქვენ მისს ბრეი ვადაგიტქვამსთ? მგონია, ცუდი არაფერი გამოვიდეს მანდედგან, მაგრამ მე მაინც არ შესიამოვნა, თავის ქნევით დაასრულა მისს პრიუმ.

რობინის ოთახიდან საშინელი ძაღლის წუწკუნნი და ყეფა მოისმა; მისს პრიუმ გაულო კარები და ერთის წკუპით მეგის დაეტაკა უშველებელი შავი ძაღლი.

— ლმერთო ჩემო, ეს საიდგან გყავსთ თქვენ!? წამოიძახა მეგიმ გაკვირვებულის და მზარულის სახით.

— რობინს ენახ საცოდავი ბლეკ-მავენშ, ქუჩაში დაწანწალებდა თურმე და ბოვშები აჯავრებდნენ; მაშინვე წამოეყვანა და მასაქეთია ჩვენთან არის. შთუოდ მოსამსახურეები გამოაგდებდნენ სახლიდან.

მეგი მისჩერებოდა თავის საყვარელს ძველს მეგობარს და თვალეზი ცრემლით ევსებოდა.

— რა კეთილი გულისაა რობ... უკაცრავად, მისტერ ლეტი-თქო, მინდოდა მეთქვა. ამას წი-

ნად მითხრა: «ჩვენსა შეხედებით ერთს ქველს შეგობარსაო; ძალიან მიამა ამის ნახვა. ძასტორ, ჩემო ძასტორ! მახსოვს ჩვენი საყვარელი ბიჩ-ბოლვი, მშვენიერი წყლის ნაპირებით და ბალებით?»

ძალღმა დაიკეფა, თითქოს უნდოდა ეთქვა, მახსოვსო. მისს პრიუ შეწუხებული მისჩერებოდა მათ.

— შეინახავს ამას თქვენი ძმა? თითქოს ხვეწნით ჰკითხა მეგიმ.

— რასაკვირველია, ჩემო კარგო! რობინი ძალიან შეეთვისა მაგას.

— ღიდი მადლობა გადაეცით ჩემს მაგიერ, თქვენი ჰირიმე! ძალიან გამოჯავრდით, მისს პრიუ, როცა გაეიპარე? იმ ღამეს ისეთს მდგომარეობაში ვიყავი, რომ ღონე აღარ მქონდა გამოგთხოვებოდით.

მისს პრიუმ გამოიღო შკაფიდგან პატარა ნივთების ყუთი, რომელიც მეგიმ დატოვა, როცა გაიქცა ბლევ-ზავენიდგან, მოხსნა თავი და ჩაუყარა ნივთები მეგის კალთაში.

— აი, თქვენი ნივთები, ჩემო კარგო, იქმნება გეგონათ, მე ამათ დავისაკუთრებდი? რამდენი მე ვიტირე, როცა ესენი ვნახე და იმავე დროს, რომ ჩამეარდნოდით ხელში, არ ვიცო, რას გიწამდით ამათი დატოვებისათვის, მაგრამ ახლა დროს აღარ არის. ახლა მიაშვით, კმაყოფილი ხართ, თუ არა პატივცემული მსაჯულის ოჯახში ცხოვრებით?

— ძალიან! მიუგო მეგიმ და მოწყენილის სახით დასჩერებოდა თავის ნივთებს.

— მიჰყვებით მსაჯულს?

— ჯერ არ გადამიწყევტია, ძალ-დატანებულის ღიმილით მიუგო გაწითლებულმა მეგობარმა.

— რობინმა მიაშბო, რომ აშკარად ეტყობა მსაჯულს თქვენი სიყვარული. ძარგად გასაჯეთ, ჩემო კარგო, სხვის გულის გასახეთქად კი არ უნდა გათხოვდეთ და ნამეტურ იმისი სიძის, რომელიც მუდამ თვალის წინ გეყოლებათ და ჭირივით არ მოგისვენებთ. არა, ეგ ძალიან სისულელე იქმნება თქვენის მხრით. სხვათა შორის ამასაც ვიტყვი, ნუ თუ იმ შესანიშნავს მსაჯულს იმდენი ჭკუა და გამჭრიახობა არა აქვს, რომ თავის ქალი არ მიათხოვოს იმ მაწანწალა, გამოცრუებულს და მზითვის ჯაძვბარს კაცს?

— უკანასკნელს კითხვებზედ ვერაფერს გიპასუხებთ. რაიცა შეეწება ღანტონ მაულტორის მოქმედებას, მე თქვენ დაგარწმუნებთ, რომ არა ვითარცა ვაფლენა არ ექმნება ჩემს გადაწყვეტილებაზედ.

— მე ყველა კარგია, ჩემო ძვირფასო, მაგრამ სიმდიდრისა და საზოგადოებაში გამოჩენილი ცხოვრებისათვის ნუ გათხოვდებით. მაგ გვარების მიმდევართაგან ბევრი ცრემლი დაღვრილა.

— მე განცხრომაში ცხოვრებასა ვარ მიჩვეული, მისს პრიუ, გულ-გრილად მიუგო მეგობარმა. მიყვარს სიუბვე, რომელიც სიმდიდრეს მოსდევს და მძულს სიღარიბე თავის ნაკლულოვნებით.

— სანატრელი ნივთის შოვნა ძვირად დაუჯ-

დება ხოლმე კაცს, დაყინებით უმეორებდა პრიუ. შევლა შრომა არ დაჯილდოვდება ღირსეულად.

— სხვა უფრო სასიამოვნო საგანზედ ვილაპარაკოთ, ძვირფასო მისს პრიუ! მაგალითად, ქალების ამორჩევების უფლებებზედ. მანათლებულს მსაჯულზედ სხვიმის მოვილაპარაკოთ.

— ძარგი. და მოჰყენენ სხვა და სხვა ამბებს. ერთი საათის შემდეგ მეგი წამოდგა.

— მისს შორტესკიუ შემჭამს, რომ ამდენი ხანი დაფიგვიანე. მშვიდობით, მისს პრიუ, კიდევ მალე გნახავთ.

ჩქარის ნაბიჯით დაბრუნდა სახლისაკენ, ის გრძნობდა, რომ იქვი თან-და-თან ძლიერდება მის გულში და ეკითხებოდა თავის თავს:

— ზაფხვე თუ არა? თუ უარი ვუთხარი, იმის შემდეგ აქ ველარ დავდგები, ხელ-ახლად უნდა დაუბრუნდე ადრინდელ ხელობა, შემოძლია კიდევ ავიტანო იმ გვარი ცხოვრება? არა, არ შემოძლია.

შეცრად იმას წინ გაჩერდა ეკაპაყი და გადმოხტა შორტესკიუ. მეგის კინალამ გული გაუწყდა.

— მე თქვენ დაგინახეთ კარგტიდგან. მარტოკა რად მიღიხართ აგრე გვიან, ან სად იყავით?

მეგი მიხვდა იმას ბრძანებლობით და აღელვებული სიტყვებიდგან, რომ ახლავე უნდა ვადუწყედეს, მაგრამ თავი შეიმაკრა და რაც შეეძლო დამშვიდებულად მიუგო:



წანაგების დათვლაც აღარ შეეძლო: იმის მაგივრად, შულეიუსი და პორვინი იოვლიდნენ. მათქმის სრულიად გრძობა დაკარგულმა ტორკვატოსმა შაბიოლასკან მაცემული ფულებით გატენილი ქისა დააგდოსტოლზედ. შულეიუსმა აიღო, ფულები გადმოჰკარა, დაითვალა და თავის მზრითაც იმღენსავე ფულს ჩამოვიდა. მრნივე მოთამაშეები მოემზადნენ უკანასკნელის, ბედის გადამწყვეტის თამაშისათვის. ძამათლები გაგორდნენ და გაიფანტნენ სტოლზედ, როგორც ტოკვარტოსს ეჩვენა, სახარელის ხშიანობით; შულეიუსმა დაითვალა, აიღო და თვითონაც ისროლა, შეჭხედა და გულ-გრილად და მშვიდობიანად მიწია თავისკენ ტოკვარტოსის ჩამოსული ფულები. ტოკვარტოსმა სასოწარკვეთილებით დაუშვა თავი სტოლზედ და თავისს გადაჯვარადინებულს ხელებზედ. შულეიუსის ნიშნებით პორვინი ზალიდგან გავიდა. ტოკვარტოსი ჯერ ისევ სტოლზედ თავ-ჩამოდებულნი იჯდა. ხან თავზედ ხელს წაივლიებდა, ხან თმას იგლეჯდა, ხან რალაც არეულს სიტყვება ბუტბუტებდა, ფეხებს აბრახუნებდა, კბილებს აკრაჭუნებდა, კვნესოდა, ერთის სიტყვით, იმ ნაირ უღონო გულ-მოსულობას ეძლეოდა, რომ არც ერთი, ცოტაც არი, თავ-მოყვარე კაცისათვის საკადრისი არ იყო. როგორც ღვინისაგან, აკრეთვე თამაშობის შეჰაძრწუნებელის შთაბეჭდილებისაგან სრულიად გარუებულს ტორკვატოსს ეჩვენებოდა, ვითომც ვილაც ჩურჩულით ეუბნებოდა მას:



— თუ შენ ქრისტიანი ხარ, შენის ცხოვრების იმედი აღარ არის. შენის ყოფა-ქცევით შეარცხვინე შენი სარწმუნოება და უღალატე. მეტად ბევრი რამ ილაპარაკე და ბევრი ვინმე გაეცი; ხომ მთვრალი იყავი და არ გახსოვს, თუ რა ილაპარაკე! შენ ერთობ ბევრი რამ საიდუმლო განაცხადე.—

— მე ტყუილია! სიცრუეა! იანნი მამატივებენ...

— საეჭვო არის! ახლა რაღა დაგრჩა? შული აღარა გაქვს, არავითარს საქმეში არა ხარ; რომაელებს სძულხარ, ქრისტიანები თავისის საზოგადოებრიდან გამოგადებენ, — საით-ღა წახვალ? იმთხობრებ? თუ რომელიმე შენის გამოტეხის გამგონმა დაგასმინა მთავრობას, მაშინ დაგტანჯავენ და ქრისტიანები კი შენს ღალატს მაინც არ მოგიტყევენ.

ტოკვარტოლმა თავი აღწია სტოლიდან, ადგა და ცოფიანივით დაიყვირა:

— შენი რა საცმეა? თავი დამანებე!...

— სწორედ, ჩემი საქმე არის, მიუგო შული-უქმა მშვიდობიანად; — ახლა ჩემს ხელში ხარ. შულები სულ მოგიკე და შენი საიდუმლო ვიცი. შენი სიკოცხდიე ჩემს ხელთ არის. შენს დასაღუპავად ჩემთვის საკმაოა, რომ იმ, როგორც შენ დაარქვი, ავ.ა და ბრიყვს ქორვინს შენი დასმენის ნება მივსცე, მეტი არაფერია საჭირო. ის გუბერნატორის შეალი არის, მისი სიტყვით მაშინვე დაგიჭერენ და დაგსჯიან. აბა, ახლა შენს თავს შეხედე! ბარბაცობ, ისე მთვრალი ხარ, რომ შიშმაც კი ვერ გამოგაფ-

ხიზლა! მზათა ხარ ახლა, ამ ' იმთერალეში მოგვან-
 ზელ წახვიდე, გამოსტყდე, რომ შენ ქრისტიანი ხარ
 და შენის სარწმუნოებისათვის მოკვდე?

შულეიუსის ხმასა და სიტყვებში ბოროტი და
 ცივი დაცინება ისმოდა; თავ-ხარ-დაცემული ტორ-
 კვატოსი სავარძელში ჩაეკეცა და თრთოლვით ხელები
 მომუჭა.

— აბა გამოიჩიე: შენგან გამხელილსა და გა-
 ცემულს ქრისტიანებთან გინდა წახვიდე, თუ სასა-
 მართლოში?

ტორკვატო ი ჩუმად იჯდა; ის დამარცხებული
 იყო.

— ბამიგონე, უთხრა შულეიუსმა, თან გვერ-
 დით მოუჯდა და ხმა გამოიკვალა. წყნარად, მოთე-
 რებით, თითქმის ტკბილად დაუწყო ლაპარაკი.— მე
 დამიჯერე და გიშველი; შენ გექმნება კარგი სადგომი,
 კარგი სადილ-ვახშამი, დამოუკიდებელი მდგომარეო-
 ბა და საკმაო ფული, ერთის სიტყვით, უღარდელი
 ცხოვრება გექმნება, მაგრამ ერთის პირობით: ხვალ
 უნდა მახვიდე შენს მეგობარ-ქრისტიანებთან და აქ
 მომხდარს ამბავზედ არც ერთი სიტყვა არ უთხრა
 ვისმე. როდესაც მე გკითხავ რასმე, რაც უნდა იყოს,
 ვალდებული ხარ გულ-წრფელად მიპასუხო...

— ეს ხომ ლალატი... გაცემა... იქმნება! სთქვა
 ტორკვატოსმა ენის ბოროტკით.

— როგორც გინდოდეს, მაგრამ იცოდე კი, რომ
 წინააღმდეგს შემთხვევაში შენ გგლის გაკიცხვით



და ტანჯვით სიკვდილი. ზაიხედე, გარეთ ქორეფის
დვას და მხოლოდ ჩემს ერთს ნიშნებას უცდი, რომ
დავასმინოს. ზამოიჩიე!...

— ახა, ღმერთო! რა საშინელებაა! შემობრალე...
ნუ გამცემ! მუღონდ ნუ გამცემ და რაც გინდა ისა ქენი.

შულეიუ ი გამოვიდა და გულ-მოსულობით
აღვლევებული და ძალზედ შეაღბო მებუღი ქორ-
ეინი ძლივს დაიკაბულა, რომ ტორკვატოსი არ დაე-
ბეზღებინა. მაგიერად დაჰპარდა, შენის საძულეელის
პასიანეს ბინას შევიტყობ, ხელში ჩაგიგდებ იმ
მოხუცს და როგორც გნებავდეს, ისე მოეპყარო.
მხოლოდ ამ დაპირებით შეიძლებოდა, რომ ქორ-
ეინი გაჩუმებულიყო და არ აჩქარებულიყო დასა-
ბეზღებლად. შულეიუსი ამას რომ მოჩა, შებრუნდა
ისევ ტორკვატოსსთან, რომელიც უნდოდა სახლამდის
გაეკილებინა, რომ იმისი ბინა შეეცყო. შესვლის
დროს დაიწახა, რომ ტორკვატოსს მკედრის ფერი ედვა,
თვალეზს აბრიალებდა და ისე დადიოდა ოთახში, სცდი-
ლობდა თავისი მღვლევარება დაეცბრო. სიმთვრალისა-
გან სრულიად გამოფხიზლებულიყო და ახლა ძლიერ
კარგად ჰგრძობდა თავისს საშინელს მდგომარეობას:
სირცხვილი, გულ-მოსულობა, თავისი თავის შეზიზ-
ღება, უღონო გაჯავრება შულეიუსსგედ, შენანება,
წამებითი სიკვდილის შიში და საშინელება იცავდა
მას და გულს უხეთქდა. შეხზედ ველარ დგებოდა;
ახლა კი მისი მომწყვლელი და დამმარცხებელი გრ-
ძნობის გამო და არა სიმთვრალის გამო ეკეცებოდა



მას მუხლები. ტორკვატოსი დაეცა ახლოს მდგომარე
სკამ-ლოკინზედ და პატარა ბოვშივით ატირდა.

შულევიუსმა მხარზედ ხელი დაადო და წყნარად
უთხრა:

— ქარვია, კმარა! შენს სახლში წავედეთ, მე
გაგაცილებ.

ტორკვატოსი წამოდგა და უცრძნობლად გაჰყვა
თავისს მტარვალს

XIII.

რომის ქლაქს სარტულივით გარშემოშლის
ძალიან დიდზედ გრძელი გვირაბები, მიწის-ქვეშეთი
დერეფნები და ოთახები, რომელთაც ბკალღამებს
ეძახიან. ნამეტნავი არ იქმნება ესტკვით რამდენიმე
სიტყვა, თუ საიდან წარმოდგენენ ეს აკალღამები
და ან რა ადგილი ექირათ მათ ქრისტიანობის პირ-
ველა საუკუნეებში.

ი. ტორიკოსებისა და სიძველის მეოღნე კაცე-
ბი, აზრით, რომის არსებობის პირველს დროებში
მთელის ქლაქს გარშემო იყო ამოთხრილი დიდი
ორმოები, რომელნიც ქლაქის გადიდებისათნავე
თან-და-თან უფრო დიდ გვირაბებად იქცეოდნენ;
ამ გვირაბებიდან გამოჰქონდათ თიხა და ერთ-გვარი
მაწა, რომელსაც ნიადაგ შენობებზედ ხმარობ-
დნენ კირის მაგიერად. ამ გვარად მიწის ქვეშ გაკეთ-
და მღვიმეები და ერთის მღვიმიდან მეორეში გა-

დასასვლელი ვცემა. პირველმა ქრისტიანებმა
 ისარგებლეს და ამ მიტოვებულს მიწის-ქვეშეთს
 დერეფნებში და მღვამეებში მარხავდნენ ხოლმე თავის
 მიცვალებულებს. საეკლესიო წესების დასარულებ-
 ლადაც ამ მიწის ქვეშეთის სასაფლაოების გვერდით
 მღვიმეებში გამართეს რაღაც სამლოცველო, ანუ
 პატარა საყდრის მსგავსი რამ. მუშა-ქრისტიანები,
 რომელნიც მიცვალებულებს ასაფლავებდნენ, მათ
 დასამარხავად მიწას სთხრიდნენ და ძველებს ადგმდნენ,
 ეკლესიის მოსამახურეთაგანი იყვნენ. ზოგმა იმათ-
 განმა იცოდა არხიტექტურა, ქვაზედ გამოქანდაკება და
 მხატვრობა. იმათი ნაწარმოების ნიმუშები აქამდისაც
 დარჩენილან. ბევრს საულაფის ქვებზედ უნახავსთ
 ამოჭრილი თვითონ მუშების სურათები. მათი ამ
 გვარი სურათი წმიდა ძალიკსტის სასაფლაოზედაც
 ნახეს. ის სურათი წარმოადგენდა სრულის სიმაღ-
 ლით დახატულს მესაფლავეს. მესაფლავე ეცვა მუხ-
 ლებ-მღის ჩამოშვებული ტანისამოსი და ფეხებზედ
 ქალამნები. მარცხენა მხარზედ ჰქონდა გადაკიდე-
 ბული რაღაც ბუწბლებიანი ქაოცილის ნაჭერი; მარ-
 ჯვენა მხარზედ და მუხლებთან გამოხატული ჯვარი
 სჩანდა. მარჯვენა ხელში ბარი ეჭირა და მარცხენაში
 პატარა ჯაჭვზედ დაკიდებული ფანარი. მესაფლავეს
 თავის ხელობის იარაღები ფეხებთან ეწყო. თავს
 ჴემოთ იყო შემდეგი ზედ-წარწერა: მესაფლავე
 დიოგენი, განისვენა ოქტომბრის კალენ-
 დის რვას. საზოკადოდ რომში როდი ჰქონდათ

ჩვეულებად მიღებული საფლავის ქვაზედ უბრალო ხელობას ნიშნები გამოესახათ, მაგრამ ქრისტიანები ამ შემთხვევაში ამ გვარს ჩვეულებას არ დასდევდნენ. იპინი ყოველ-კაცს ერთმანერთის თანასწორად და ძმებად სთვლიდნენ და ყოველს ხელობას საპატიაოდ, ოღონდ კი პატრიოსანი ხელობა ყოფილიყო. საფლავს ქვებზედ და ძეგლებზედ აწერდნენ ევლას სახელებს და ყველას ხელობა:—კონსული და უბრალო მუშა იმათს თვალში ერთ-ნაირად პატრე-საცემები იყვნენ, თუ კი ორივე პატრიოსან და გულკეთილ კაცებად მიაჩნდათ.

აკალდამების აწერას ბევრი შესანიშნავი მოგზაურები და მწერლები სცდილობდნენ, მაგრამ არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ იმათ ნაწერებისაგან სრული აზრი შევიდგინოთ ამ აკალდამებზედ. აკალდამები მნახველებზედ სრულიად სხვა-და-სხვა შთაბეჭდილებას მოახდენენ ხოლმე; ეს კაცია ხასიათზეა დამოკიდებული; გულ-გრილი და მხოლოდ სიამოვნების მადებარის კაცისათვის აკალდამები არის მხოლოდ ბნელი, ნოტიო და ერთ-ფერობით მომაწყენი დერეფნები, სადაც სანთლებით ჩადიან მიწის-ქვეშ. ეს გრძელი დერეფნები ათასს ადგილას გადახლართულია კიდევ სხვა მიწის-ქვეშეთი პატარა დერეფნებით და ოთხ-კუთხიანი პატარა ოთახებით, თუ რომ შეიძლება კაცმა დაარქვას ოთახი მიწის-ქვეშ ამოთხრილს პატარა სივრცეს, რომელსაც არა აქვს არც ფანჯრები და არც კარები და რომელთაც ერთ-



მანერთთან აერთებენ დერეფნები. ამ დერეფნებში
 გზის დაბნევა ძლიერ აღვილად შეიძლება და ამისა-
 თვის წინა-მძლოლისაგან ერთ-ნაბიჯზედაც არის
 მოშორება ძლიერ საშიში არის. შრომი დერეფანი
 მეორესა ჰგავს და ერთი ოთახი მეორეს. დერეფნების
 კედლებში ქრისტიანები მარხავდნენ თავიანთს მიტ-
 ვალებულებს, ოთახებში საკურთხევლებს აწყობდნენ,
 სწირავდნენ, პანაშვიდებს იხდიდნენ და საზოგა-
 დოდ საეკლესიო წესებს ასრულებდნენ. შემდეგ,
 როცა დევნა დაუწყეს, ქრისტიანები უწყალო დევ-
 ნულობისაგან აკალდამებში იფარავდნენ თავს და
 რომის იმპერატორების ბრძანებით ქრისტეს სარწმუნ-
 ნოებისათვის დახოცილს, ანუ ცირკში მხეცებისაგან
 დაგლეჯილს თავიანთ მოწამეებსაც აქვე მარხამდნენ.
 ბულ-გრილი კაცი ამ ნოტიოდ და შეხუთულ-ჰაერთანს
 თაღს ქვეშ რომ ჩავა, დაინახავს მხოლოდ თაღებ;
 მაგრამ კაცი, რომელიც სჯის, ჰგონობს და ემას
 რამე, რაღაც სხვას ნახავს აქ და სხვა გონობას
 გამოცდის. ეს ბნელი დერეფნები და ვიწრო ოთახები
 უამბობენ მას დიდ-საოცარს მოთხრობას იმ ცოტა-
 ხალხისას, რომელსაც უყვარდა და სწამდა და რომ-
 ელიც ჰკვდებოდა მისთვის, რაც სწამდა და რაც
 უყვარდა; რომელიც ქონებას, სიყვარულს, ოჯახო-
 ბას, თავის და თავისის მახლობლების სიცოცხლეს
 სწირავდა თავისი სარწმუნოებისათვის და გმირულად
 ჰკვდებოდა ღვთის დიდებაში და მტრებისათვის ლო-
 ცვაში. ამ ერთ-მუქა ხალხს ეწერა დიდი ცელღე-

ბის მოხდენა ქვეყნიერებაზედ: წარმართობის პობა, ყველა აზრების სრულიად გამოცვლა და თვით საზოგადოების ერთიანად გადაკეთება. პირველის ქრისტიანების ძალა მდგომარეობდა მტკიცე სარწმუნოებაში და მბურვალე სიყვარულში, და სიყვარულითა და სარწმუნოებითა კაცი ყოველისთვის შეიძლებს.

აკალდამებს ვრცლად არ ავსწერთ, რადგანაც ჩვენ გან ზემოთ ნაამბობს ბევრი ვერაფერი მიემატება აღწერილობით. ამ მიწის ქვეშეთსა და ერთ-ნაირს დერეფნებში შემდეგში აღმოაჩინეს მრავალი მოწამების საფლავები, რომელთაც ქრისტიანებრივი ეკლესია პატივსა სცემა. ზოგიერთი საფლავები თავიანთის უბრალო და გრძნობით გულის მომწყვლელის ზედ-წარწერებით იყვნენ შესანიშნავები და სხვები კი მით, რომ მათში განიხევენდნენ თავისის სარწმუნოებისათვის დიდის ღვაწლის დამცემი მამაცი კაცები. მრთხელ ავრელიანეს გზაზედ მცველები მიჰ ავდათ სიკვდილით დასასჯელად სამი ქრისტიანი: არტემ, იმისი ცოლი—ძანდიდა და მათი ახალ-გაზდა ქალი პოლინა. მზაზედ უეკრად გამოჩნდა ქრისტიანების გროვა, რომელსაც მღვდელი მარკელოსი მოუძღვოდა წინ. მცველებს შეეშინათ და გაიქცნენ. ახალ-გაზდა ქრისტიანებმა გაზდიეს სალდათებს და დაუწყეს მათ ხეწნა და დარიგება. სანამ ისინი სალდათებს ელაპარაკებოდნენ, მღვდელმა დასასჯელები მიწის-ქვეშეთს სამლოცველოში ჩიუვანა, სწირა და



აზიარა ისინი. როცა მღვდელი იქიდან ამოვიდა, სალდათებთან მივიდა და უთხრა: «ჩვენ შეგვეძლო ყველანი დაგვეხატეთ, მაგრამ არა გვსურს ცუდი რამ შეგამოხეიოთ; ამასთანავე შეგვეძლო გამოგვეხსნა სიკვდილისაგან ეს ჩვენი მოძმეები, პრტემ, მისი ცოლი და ქალი, მაგრამ არც ამას ვიქმნით!... თუ გაბედავთ, შეასრულეთ ეს უპატიოსნო განჩინება» სალდათები შეჰკრთნენ, მაგრამ ბრძანების გადახდომა ვერ გაჰბედეს და დაეშურნენ საბრალო ქრისტიანებისა დახოცვას. ხშირად, შემდეგში, საფლავების გვერდით ჰპოულობდნენ ხოლმე თვით იმ საწამებელს იარაღებს, რომლითაც ქრისტიანებს სტანჯავდნენ და, ამას გარდა, წამებულების სიხლით საესე ქურქლებიც. იმათ ახლა ნაწილებად ინახავენ.

ზანსაკუთრებით შესანიშნავად მიგვაჩნია შემდეგი ზედ-წარწერანი:

«ქ განისვენებს ნოემბრის ხუთს კალენდას მიცვალებული ზორგონიუსი, რომელიც ყველასი მეგობარი იყო და არავის არ მტრობდა».

აი მეორე ზედ-წარწერაც, რომელიც გასაოცარია თავისი მარტივობით და უბრალო სიტყვებით:

«ქ განისვენებს თავისის სარწმუნოებისათვის მთელი თავის ოჯახით დაკლული ბაღლიელი ზორდიანი.»

«ქა ძეკლი დაუდგა მოახლე თეოფილამ.»

მაშ მთელის ოჯახიდგან ცოცხალი დარჩენილა მხოლოდ ერთი-ღა მოახლე, რომელმაც დამარხა თავისი ბატონები, იმათს საფლავს დაადგა ქვა ზედ-



წარწერთ, რომელსაც ჩვენს დრომდისაც მოუწევდა და რომელიც მოგვითხრობს იმისაგან თავის ბატონების სიყვარულს და იმათს მოწამებრივს სიკვდილს.

პი კიდევ ერთი ზედ-წარწერა, რომელიც თავისის მარტივობით და ღრმა სიყვარულის გრძნობით არის შესანიშნავი:

«ღირსს, გულ-მოღვინეს და ჩემს მოყვარულს ძლავდიოსს.»

სიტყვა: ჩემს მოყვარულს განსაკუთრებით შემადრწუნებელი არის. მს მოგვითხრობს ქვემარიტს გულითადს სიყვარულს და, თუმც მხოლოდ ორი სიტყვა არის, მაგრამ ყოველს გრძელს სიტყვა-ზედ უფრო ენა-მჭევრია და ყოველს წარჩინებულს ლაპარაკზედ უფრო შემადრწუნებელი. რამდენი სიწრფელეა ამ სიტყვებში, რა დიდს სიყვარულს გამოხატავს, რა სავსე გულით ნათქვამი და პირ-და-პირ გულის გამკმერი სიტყვებია! ქრისტიანებს თავიანთი მოწამეების გვამები ხშირად მიჰქონდათ მალულად დასამარხავად, თუმც ამით თავს საფრთხეში იგდებდნენ და ხშირად სიცოცხლესაც სწირავდნენ. მკვდრების მოპარვა მხოლოდ ღამით მოხერხდებოდა და ამ საქმიანათვის ღამე ჰქონდათ გამორჩეული. გვამები გამოჰქონდათ გადახურულის ურმებით რომის ალაყათის კარებიდან, მერე თავის მიწის-ქვეშეთს სასაფლაოში ჩაჰქონდათ და იქ მარხავდნენ. შემდეგ, იმათის სიკვდილის წლია თავზედ ქრისტიანები იკრიბებოდნენ და თავიანთი მოწამეებისათვის, ანუ მაც-



ვალენტულის ნათესავისათვის პანაშვილს იხდებოდნენ. ამას ყველაფერს საიდუმლოდ ასრულებდნენ; მღვდლების და ეკკლესიის მოსამსახურეებას სახელებს საიდუმლოდ ინახავდნენ. საიდუმლოდ ინახავდნენ აკალდამებში შეასვლელს კარებს და იმათს მიხვეულობას და პლანსაც. მრჩ უმთავრესი აკალდამა იცე შორს მიდის. რომ ნახევარს რომს გარს ერტყმის: მათიკანიდგან იწყება და აპიის გზამდის სწვდება. ამ ორს აკალდამაში სამოც-და-ათი ათასი მოწამე არის დასაფლავებული. მოჰხდებოდა ხოლმე, რომ დევნულობის დროს ქრისტიანების თავ-შესაფარებელს ადგილს მიაგნებდა მთავრობა და ამ შემთხვევაში ისინი აუცილებლად ყველანა უნდა დალუპულიყვნენ. ასე, მაგალითად: როცა იმპერატორმა ნუმერიანემ შტიუკო მრავალი ქრისტიანი მამა-კაცები, დედა-კაცები და ბავშვები იმალეებიან სალარის გზის ახლოს აკალდამეშიო, ბრძანა ამ მიწის-ქვეშეთში ჩასასვლელი კარების ქვითა და სილით ამოშენება, და ყველა იქ თავ-შეფარებული ქრისტიანი ერთიანად დაილუპნენ. ხან-და-ხან რომელი სალდათები მონახავდნენ კარებს, ჩადიოდნენ აკალდამებში და ყველა იქ დამალულებს ჰხოცავდნენ. აკალდამებიდამევე ამოდიოდნენ მოწამეებიც, რომელნიც თავიანთს მღვდლებს ნება-ყოფლობით უვარდებოდნენ ხელში სასიკვდილოდ. ბევრთაგანთ ჩვენი მოკლე აღწერილობა ერთის ასალ-გაზდა მოგზაურის ქალის

დღიურებიდან ამოწერილის სიტყვებით. ის ქალი, როგორც ყოველი მოგზაური, ვინც კი რომის სანახავად მიდის, ჩასულა აკალდამების სანახავად და აიჩაას სწერს:

«მე ვნახე აკალდამები; ისეთი ცხოველი და ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზედ ამ აკალდამების ნახვამ, რომ სულ დამაფრწყა ის გრძობა, რომელიც მე გამოვცადე ძეგლების. საყდრების და ძეგლისა და ახლის რომის ნანგრევები დათვალიერების დროს. წინ-და-წინვე ვერ წარმომედგინა ცხადად, თუ რა გრძობას აღძრავდა ჩემს გულში ამ ადგილების ნახვა და, გამოტყეხილად ვიტყვი, რომ ბევრიც არ მიუიქრნია ამას. როდესაც ბნელს მღვიმეში შევედი, ზეცრად ვიგრძნე, ისეთის კრძალულებით აივსო ჩემი გული, რომ არც ერთი სიტყვის წარმოთქმა აღარ შემიძლო. ლმობიერად ვიდექი საკურთხეველთან. სადაც დევნულობის დროს წირვის წესს ასრულებდნენ ხოლმე; ვუყურებდი სწორედ იმავე ქვას, რომელსაც უყურებდნენ ჩემზედ უწინ ის კაცები, ისე გულ-მოდგინედ მლოცველნი, რომ ჩვენ, ახლანდელს ქრისტიანებს, წარმოდგენაც არ შეგვიძლია. ძლიერ მ'უბრდა დავჩენილიყავ ამ ადგილზედ და მუხლი მომედრიკა, მაგრამ იძულებული ვიყავ გაეყოლოდი მათ, ვინც ჩემს წინ მიდიოდნენ. როცა ვიწრო და მიხვეულ-მოხვეულ დერეფნებში შევედი და შევხედე ჩამწკრივებულს საფლავებს, რომელნიც მაგონებდნენ, თუ რამ-



დენი ტანჯვა გამოუვლიათ იმ წინდა კაცებს, აქრომ
 იმალეზოდნენ და ყოველს წამს მოელოდნენ ამ თა-
 ვიანთის წამებულის მოძმეების გვერდით დასაფლა-
 ვებას, კიდეე უფრო დიდი მღელვარება ეიგრძნე.
 წარმომიღვა მწუხარება, ტანჯვა და კაეშანი იმ კა-
 ცებისა, რომელნიც ყოველს წამში ელოდნენ სიკ-
 ვილს და ავით გვიმტკიცებდნენ, რომ ისინი არიან
 ნამდვილი ქრისტიანები და რომ იმათ საფრთხეებით
 სავსე ცხოვრებაში ამხნეებს სარწმუნოება, იმელი
 და სიყვარული. მრცხვენოდა, რომ ვერ ვახერხებდი
 შექმურებოდა იმათი ბელი, ვინც ამ ბნელს მღვი-
 შებებში ოდესმე სცხოვრებდა. ჩემი აზრი ისეე ჩემზე-
 დეე მაიქცა, და მე შეეკრიი. მეც ხომ ქრისტიანი
 ვარ იმათსავით, რომელნიც თუმც ჩემსავითეე ახალ-
 გაზდები და სუსტები იყენენ, მაგრა ლმერთს მხო-
 ლოდ იმ დიდებას სთხოვდნენ, რომ ლეთის სახელი-
 სათვის სიკვილის ღირსნი გამხდარიყენენ! ჩვენ ამო-
 ვედით იმავე კიბით, რომლითაც ამოდოდნენ პირ-
 ველას საუკუნის ქრისტიანები, როცა ისინი სასიკ-
 ვილოდ მიდიონენ. საშინელი სურვილი მქონდა
 დაემხობოდი ამ კიბის საფეხურებს, მეკოცნა და ტი-
 რილით გული მომეოხებია. მუიქრობდი იმ ახალ-
 გაზდა ქალებზედ, რომელნიც ამავე კიბით ადიოდნენ
 საწამებლოდ წასვლის დროს და ვსტკებოდი იმ ფიქ-
 რით, რომ ისინი ხედვენ ჩემს გრძობას და ჩემს
 ლოცვას იმენენ მეთქი. იმათ ფეხის დანადგამს ად-
 გილზედ ფეხის დასადგმელად უღირსად ვრაცხდი

ჩემს თავს, მაგრამ მაინც ტკბილის გრძნობით დიოდი იმ კიბეზედ, რომელზედაც ისინი ლმობიერებით და ბედნიერებით გულ-სავსე მიდიოდნენ ნამდვილ სასიკვდილოდ. ათასი ფიქრები და გრძნობები მალულვებდნენ, ვგრძობდი აქამდის ჩემთვის უცნობს აღტაცებას, ღმერთს ვმადლობდი ამ გრძნობისათვის და ვსთხოვდი მოეცა ძალა და ღონე, რომ მთელს ჩემს სიცოცხლეში მისი სიყვარული მქონოდა.“

ოქტომბრის დამლევს, წამოსასხმელში ვახიეული პანკრატი მიდიოდა რომის ერთის უბნის «SUBURRA»-ს ვიწროსა და მიხვეულ-მოხვეულს ქუჩებზედ; ეს უბანი, უეჭველია, სახალხო მოედნის მაქლობლად უნდა ყოფილიყოს. პანკრატმა, როგორც ეტყობოდა, ამ უბნის ქუჩები კარგად არ იცოდა და უჭირდა იმ სახლის პოვნა, რომელსაც ეძებდა. მართი სახლი ყველა სახლებზედ უფრო სუფთად ეჩვენა და ამიტომ ამ სახლის კარი დაარახუნა. ძარი გაუღო ღოგენმა, რომლის სახელი რამდენჯერმე ვახსენეთ ზემოთ. ეს იყო მაღალი, წამოსადეგი კაცი, მშვიდობიანი, მწუხარე და დიდებული სახის გამონატულება ჰქონდა, ხუჭუჭი, გაჯღალებული და გრძელი თმა მზებზედ ეყარა. ღოგენთან სცხოვრობდნენ იმისი ორი ახალ-გაზდა ვაჟი. უფროსმა ვაჟმა მისმა იცოდა ქვანდ და მარმარილოზედ ეპიტაფიების ამოჭრა, და უმცროსი სევერი კი ნახშირით ჰხატავდა ვეშაპის მუცელში მჯდომარე იონას და ლაზარეს მკვლრებით



აღდგომას. ღიოგენმა თავი დაანება ბარს, ტის მოსვლის დროს რომ აკეთებდა და კარი გაუღო. ამ გვარი ხელ-საქმე ჩვენს დროში ყოველს ახალგაზდას გააკვირვებდა, მაგრამ პანკრატს კი ვერა. მართალია, ღიოგენი მე'აფულავე იყო, მაგრამ ქრისტიანობის პირველს საუკუნეებში მესაფლავეები დიდად პატივ-ცემულნი იყვნენ. რომში იყო მესაფლავეების საზოგადოება, რომელსაც ძლიერ ბევრი წევრები ჰყავდა და ღიოგენი ყველაზედ უფროსად იყო დაყენებული. პანკრატმა ყველას მიესალმა, შემდეგ დაჰხედა მაისისაგან ცუდად და შეცდომებით დაწერილს ზედ-წარწერას და ჰკითხა:

— ზედ-წარწერებს ყოველთვის შენ თვითონ სოხ ავ ხოლმე?

— არა, მე ესწერ მხოლოდ ღარიბებისათვის, რომელთაც ჩემზედ უფრო დახელოვნებულის ქვაზედ-მომპრელისათვის მისაცემი ფული არა აქვსთ. მე, ქვა გამაკეთებინეს ერთი ღარიბის ქალისათვის, რომელიც „VIA NOVA“-ს ქუჩაზედ ვაჭრობდა. როცა ამ ზედ-წარწერას ვსტრიდი, მე მომივიდა აზრი: შეიძლება ათასის წლის უკან ეს ჩემი ზედ-წარწერა ქრისტიანებმა პატივის-ცემით წაიკითხონ, შეიძლება ეს დარჩეს, მაშინ როდესაც ქრისტიანების მღვწელი ძეგლების საფლავეებზედ დადგმული მშვენიერი, ძვირფასი ძეგლები სრულიად დამსხვრეულ იქმნებიან-მეთქი. ცუდად ვსტრო, არა?

— არა უშავს! მაგრამ ეგ რაღა ფიცარია?



— ეს არის ძვირფასი ფიქალი; კეთილშობილმა აგნესამ შემოგვიკვეთა ერთი პატარა ყმაწვილის საფლავისათვის, რომლისაც საბრალო მშობლები მეტად შეწუხებულნი არიან.

პანკრატმა ლამა აიღო და წაიკითხა შემდეგი სტრიქონები: „უმანკო ყმაწვილს, ღენისს, რომელიც აქ განისვენებს წმინდანებთ შორის. მოიხსენიეთ ამ ზედ-წარწერის ავტორი და მომჭრელი და ილოცეთ მისთვის.“ *)

სანამ პანკრატი ჰკითხულობდა, ღიოგენი მეტად მწუხარედ გამოიყურებოდა; იმან შეაჩერა მუშაობა და ღრმად ჩაფიქრდა. იმისი პირი-სახე ჩვეულებრივზედ უფრო დიდებული და ნაღვლიანი შეაქმნა.

— ასე ნაღვლიანად რად ჩაფიქრებულხარ? ჰკითხა მას პანკრატმა.

— მე ვფიქრობდი, რომ მიცვალებული უმანკო ყმაწვილის წაღება, სუნნელოვანებით ნაპკურებს ქსოვილში გახვევა და ისე დამარხვა უბრალო და ადვილი საქმე არის-მეთქი. რასაკვირველია, მშობლები სტირიან ყმაწვილს, მაგრამ რა სამწუხარო უნდა იყოს, როცა კაცი ჰშორდება ამ მწუხარებითა და ტანჯვით სავსე ქვეყანას და გადადის უმჯობესს სავანეში. საშინელი და სამძიმო არის მოწამის დასისხლიანებულისა და დაგლეჯილის სხეულის საჩქაროდ აკრეფა და სუნნელოვანს ქსოვილში გახვევის მაგიერ ამ სხეულის მიწაში ჩაკრეფა!

*) ეს ზედ-წარწერა აკალდამიუმში აქამდისაც დარჩენილა.

— შანა ეს ხშირად მოჰხდება ხოლმე?

— ახლა არა, მაგრამ მე დიდი-ხანია ესცხოვრებ და ჩემს სიცოცხლეში ბევრი რამ მინახავს. აი ამ რიგად დავმარხეთ მე და განსვენებულმა მამა-ჩემმა, ჩემს სიყმაწვილეში, ერთი ახალ-გაზდა კაცი, შაბიოს რესტიტუტი; იმისი საფლავი უთუოდ გენახება. ი, საფლავი გავაკეთე ექვსი მარმარილოს ქვით და ზედ-წარწერაც მე თვითონ ამოვსკერი მა'ვღ. შაბიოსის გვერდით მარხია წამებასაგან საშინლად დამაჩიჯებული თოთხმეტის წლის ყმაწვილი. ღაღ, ამისთანები ბევრი მინახავს, ბევრი დამიმარხავს! იმედი მაქვს, რომ აღარ შეგვესწრები იმისთანა დროს და კიდევ რამე ხელ-ახალის დევნულობისა და საშინელის დროების შესწრებამდის მოვკვდები. მაგრამ, საუბედუროდ, კიდევ ლაპარაკობენ ხელ-ახალი დევნულობა დაიწყებო.

— მართალია, და მაგისთვისაც მოველი შენთან. ღედა ჩემი გთხოვს, რომ ხვალ აღიონზედ ჩვენსას მოხვიდე. იქ შეიკრიბებიან ეპისკოპოსები, მღვდლები, დიაკვნები და შენც, როგორც მესაფლავეების უფროსს, გიბარებენ რჩევის საკითხავად, თუ სად ამოიჩიონ ადგილი ახალის სასაფლაოებისათვის, რადგანაც ხმა არის, დევნულობას მალე დაიწყებენო. მართლა, მინდოდა შენთვის მეთხოვნა, რომ მაჩვენო ძალიკატის სასაფლაოზედ დამარხული მოწამეების საფლავები. ჯერ არ მინახავს ის საფლავები.

— თუ გინდა, ხვალ შუა-ღამეებდ გჩვენებ, უპასუხა ლიოგენმა.

— მე ორი ახალ-გაზდა კაცი მომყვება: ერთი წინანდელი პრეფექტი-ხრამატოსის შვილი, ტიბურციუსი და მეორე ტორკვატოსი.

სევერი უნებლიეთ მობრუნდა.

— პანკრატ, უთხრა მან, — შენ დარწმუნებული ხარ, რომ ტორკვატოსი ნამდვილი ქრისტიანია?

— მართალი რომ ვსთქვა, მიუკო პანკრატმა, — იმას ისე დაახლოვებით ვერ ვიცნობ, როგორც ტიბურციუსს, რომელიც ჭეშმარიტად პატიოსანი კაცი არის; მაგრამ ტორკვატოსს ისეთ-ნაირად ჰსურს შეტყობა ყველაფრის, რაც ქრისტიანებს შეეხება, რომ ველარ მოვახერხე უარი მეთქვა. მგონებ, პატიოსანი კაცი უნდა იყოს. რად იქნეულობ მაზედ?

— ღღეს სასაფლაოზედ რომ მივდიოდი, ანტონინის აბანოში შევუბნე გზაზედ, უთხრა სევერმა.

— აა! მაშ შენც დაიარები ახალ-მოდურ ადგილებზედ! შეჰსძახა პანკრატმა.

— არა, მე საქმეზედ მივედი. ძუკუმოსი და იმისი ცოლი, რომელნიც აბანოში მიმსვლელის კაცების ტანისამოსს ინახვენ, ქრისტიანები არიან. იმათ თავიანთთვის საფლაფის-ქვის გაკეთება შემომიკვეთეს და ზედ-წარწერის საჩვენებლად მივედი. აი, ის ზედ-წარწერა, აბა, დახედე!

და სევერმა პანკრატს აჩვენა მარმარილოს ქვა, რომელზედაც ამოჭრილი იყო შემდეგი სიტყვები:

ძუკუმოსმა და ვიქტორიამ სიცოცხლე-
 შიდვე გაიკეთეს ეს ქვა. *)

— საუცხოვოა! შეჰსძახა პანკრატმა და, ზედ-წარ-
 წერაში გარეული ღრამმატიკული შეცდომები რომ
 დაინახა, გაიღიმა; მერე დაუმატა: ტორკვატოსზედ
 რაღას იტყვი?

— აბანოს კარებში რომ შევედი და ტორკვა-
 ტოსი დავინახე პრეფექტის შეილს, ძორვინთან მო-
 ლაპარაკე, ძლიერ გავკვირდი; ხომ გახსოვს, როცა
 ღარიბებს ფულებს ურიგებდნენ, იმ დღეს რომ აგ-
 ნესას სახლში შესასვლელად კოჭლობა მოიგონა?
 საკვირველია მეთქი, ვიფიქრე ჩემს გულში, რომ
 ქრისტიანი ასე აღრე მოსულა აბანოში და ემუსაი-
 ფება იმისთანა კაცს, როგორც არის ძორვინი.

— მე მართალია, მიუგო პანკრატმა, მაგრამ
 იმან ხომ ახლა-ხანს მიიღო ჩენი სარწმუნოება და
 ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებია თავისი წინანდელი
 ნაცნობებისა და მეგობრების მოშორება. იმედი ვი-
 ქონიოთ, რომ აქ ცუდი არა არის-რა.

ამას შემდეგ პანკრატი გამოეთხოვა მათ, დაპ-
 პირდა დანიშნულს საათზედ მოვალეო და წავიდა.

მეორე დღეს დილით აღრე ყველა სამღვ-
 დელო პირნი შეიკრიბნენ პანკრატის დედის სახლში.
 მიწის ქვეშეთში სამუშაოსათვის საკმაო ფული შეკ-
 რიბეს; გადასწყვიტეს, რომ მიწის-ქვეშეთში სასაფ-
 ლაოები გაედიდებინათ და ამოეთხარათ ახალი სად-

*) ეს ზედ-წარწერა აქამდისაც დარჩენილა

გომები ქრისტიანებისათვის, რომელნიც იძულებულ-
 ნი იქმნებიან დევნულობის მოსარიდებლად აკალ-
 დამებში თავი შეიფარონ. შოველს მღვდელს სხვა-
 და-სხვა აკალდამებში დაუნიშნეს ადგილი საეკლე-
 სიო წესის აღსასრულებლად. დევნულის ქრისტიან-
 ნების დასაფარავად უძნელესი განკარგულებანი მიან-
 დვეს დიოგენს. მართის სიტყვიო, ეპისკოპოსმა გასცა
 ბრძანებები ისე, როგორც მხედართ-მთავარი გასცემს
 ხოლმე ბრძოლის წინა დღით. — მაგრამ იარალი, რომ-
 მლითაც ქრისტიანები იბრძოდნენ, სულ სხვა ნაირი
 იყო. იმათს თავზედ დიდი უბედურება იკრიბებოდა.
 რომში ამზადებდნენ ქრისტიანების საწამებელს იარ-
 რალებს, აღმოსავლეთის უდაბნოებიდგან მხეცები
 მოიყვანეს, რომის მართებლობა აღიგზნა სურცი-
 ლით, რომ ერთხელ კიდევ სცადოს ყოველის ღონის
 ძიებით ამ საძულველი ქრისტიანობის ერთბაშად
 მოსპობა. ქრისტიანები მოელოდნენ ხელ-ახალს გან-
 საცდელს და ადამიანის საუკეთესო გრძნობებით
 აღჭურვილნი მიდიოდნენ ამ განსაცდელისაკენ. მათ
 არ ჰქონდათ არა ვითარი იარალი, მათ ხელში მხო-
 ლოდ ჯვარი ეჭირათ, ბაგით ლოცვასა და კურთხე-
 ვას ღალადებდნენ და სიყვარული და სარწმუნოება
 გულში შთაენერგათ. ბრძოლა მართლაც არ იყო
 თანასწორი და გამარჯვება ბოლოს აუცილებლად
 უნდა დარჩენოდა მათ, ვინც საბრძოლველად გამო-
 დიოდა წმინდის გულით და წმინდის გრძნობით.

თორმეტს საათზედ ღიოგენი და მისი ვაჟი-შვი-
 ლები შეჰხვდნენ პანკრატს, ტიბურციუსს და ტორ-
 კვატოსს, ქალაქიღვან ყველანი ერთად გავიდნენ,
 დაადგნენ აპიის გზას და რომის ალაყათის კარებს
 ორს მიღ ედ გაშორდნენ. იაინი მივიდნენ ერთს
 ქალაქს-ვარეთ აშენებულს სახლთან და იქ იპოვეს
 ყველაჟური, რაც აკალდამებში ჩასასვლელად აუ-
 ცილებელი საჭირო იყო, მაგალ.: ფანრები, ჟინჟ-
 ლილები და ცეცხლის მოსაკიდებელი იარაღები, რომ
 ვინიცობაა, იქმნება ცეცხლი დასჭირვებოდათ. სვეერმა
 სთხოვა, რომ თვითო წინამძღოლს თვითო კაცი
 წაეყვანა და თვითონ განგებ წაჰყვა ტორკვატოსს.
 იმათს მიწის ქვეშეთში მოგზაურობას და ღიოგენის
 ლაპარაკს ერცლად არ ავსწერთ, რადგანაც ის თით-
 ქმის იმასვე ლაპარაკობდა, რაც ჩვენ ზემოთ, ამ
 თავის დასაწყისში ვსთქვით მოკლედ. ბოლოს, როცა
 მიწის-ქვეშეთის რომის (ახლაც ეძახიან აკალდამებს
 ამ სახელს.) მრავალი მიხვეულ მოხვეული დერეფ-
 ნები შემოიარეს, იმათ მიაწიეს სწორესა და გრძელს
 დერეფნამდის, რომელსაც სჭრიდნენ მრავალი წვრი-
 ლი, საშიშარი და ადვალად გზა დასაბნევი დერეფ-
 ნები. ღიოგენი ანთებულის ჟინჟლილით ხელში წინ
 მიდიოდა. ბოლოს ღიოგენმა მარჯვნივ შეუხვია.
 ტორკვატოსი, რომელიც ყველაფერს ყურადღებით
 ათვალთვრებდა, მიუბრუნდა სვეერს და უთხრა:

— ნეტავი ვიცოდეთ, რამდენი წვრილი დერეფ-
 ნები გამოვიარეთ, სანამ აქეთ შემოვუხვებელით?



— ძლიერ ბევრი, უგემურად და მოკლედ
გო სევერმა.

— მაინც რამდენი იქმნება,—ათი? ოცი?

— ოცამდის მაინც იქმნება; მე კი არასოდეს
არ დამითვლია.

ტორკვატოსი ითვლიდა, მაგრამ მაინც უნდოდა
თავისი ანგარიში შეემოწმებინა. ამ სიტყვებზედ ის
შეჩერდა.

— დაუთვლელად რანაირად იცი, სად უნდა
შეუხვიო? ჰკითხა მან.—მაგრამ ეს რაღა არის?

ტორკვატოსი მივიდა კედელში გაკეთებულს ბა-
ქანთან და ისეთი სახე მიიღო, ვითომც იმას ათვა-
ლიერებდნო, მაგრამ სევერი მას თვალს არ აშორებ-
და და შენიშნა, რომ ქვიშის კედელზედ რაღაც ნი-
შანი დასვა.

— ჩქარა წამოდი, დაუძახა მან, თორემ სხვებს
ჩამოგ'ჩებით და დაეიბნევი. ამ ბაქანში ანთებულ
ლამპას სდგამენ ხოლმე; ამისთანა ბაქნები ყოველი
დერეფნის კუთხეებშია გაკეთებული.

ამ ახალის ნიშნის ჩვენებით ტორკვატოსი კმა-
ყოფილი დარჩა, მაგრამ სიარულის დროს დერეფ-
ნების თვლას მაინც კიდევ თავს არ ანებებდა. ხში-
რად დაიხრებოდა ძირს, ვითომც რასმე გულ-და-
გულ ათვალიერებდა და მალვით სვამდა ნიშნებს.
სევერი თვალს არ აშორებდა მას. ბოლოს ისინი
შევიდნენ სრულს, ოთხ-კუთხიანს ოთახში, რომლის
კედლები მხატრობით იყო შემკული.

— ამ ადგილს რა ჰქვია?

— ეს არის ერთი კრიბთაგანის (CUBILAE), ე. ი. ოთახი; ჩვენს სასაფლაოებზედ ბევრია ამისთანა ოთახები, სთქვა ლიოგენმა. — ამ ოთახების კედლებში ემარხავთ რომელიმე გვარის მიცვალებულებს, მაგრამ უფრო ხშირად კი მოწამეებს ემარხავთ და ყოველ წლობით ვიხდით მათ მოსახსენებელს პანაშვიდს. შეხედე ერთი ამ კედლიდგან ოდნავ გამოწეულს საფლავს. ამ საფლავზედ თალია გაკეთებული და საფლავის ბაქანი გვაქვს საკუროთხველად, როცა ამ მოწამის სიკვდილის წლის თავზედ ლიტურგიას ვასრულებთ. შეხედე მხატვრობას! ეს არის ერთი უძველესს ოლახთაგანი და მხატვრობაც ძველთაგანია. ხომ ყველანი მონათლულები ხართ? იკითხა უცერად ლიოგენმა.

— ძველანი მონათლულები ვართ, უთხრა ტიბურციუსმა. — თუმც კი ჯერ სრულად არ ვიცით ჩვენი ახალი სარწმუნოებას ზეპირ-მოთხრობილი ამბები და ისტორია.

— მაშ ყური დამიგდეთ, სთქვა ლიოგენმა: — მე ნასწავლი კაცი არა ვარ, მაგრამ სამოცი წელიწადი მიცხოვრია აკალდამეზში, ბევრი რამ გამიგონია მოხუცებულებისაგან და თვითონაც ბევრი მინახავს. ამ თაღებზედ არის თვით უუძველესი მხატვრობა; ეს მხატვრობა წარმოადგენს ყურძნის მტყუნებიანს ვენახს. ეს იგავი არის: ვენახი არის ძე

ღეთისა და ჩვენ, ქრისტიანები იმისი ტევნები ვართ.
 მრფეოლი ჩანგს უკრავს...

— მრფეოლი? — ის ხომ წარმართების ღმერთია... სთქვა ტორკვატოსმა ცუდად დაფარულის ირონიით. ის, როგორც ყველა სუსტი ხასიათის კაცებსა სჭირთ, რაკი უკუდგა თავის სარწმუნოებისაგან, სცდილობდა თავისი ღალატი თავილობის მასკით დაეფარა. ჰსურდა თავისი თავი დაერწმუნებინა, რომ იმას სწორედ უნდა ელაღატებინა და რომ გონიერს კაცს ამისთანა სწავლის რწმუნება არ შეუძლია. — მრფეოლი და ქრისტიანობა!... ზაიმეორა იმან კიდევ ზიზღით.

— ეს იგავი არის, უთხრა პანკრატმამშვიდად. — ჩვენ აღკრძალული როდი გვაქვს, რომ ჩვენის აზრის გამოსათქმელად წარმართების მხატვრობა ეიხმაროთ, ოღონდ ეს მხატვრობა წმინდა და უმანკო კი იყოს. ქრისტიანობის პარველს დროებში სარწმუნოების ზოგიერთა სიმკოლო წარმართებისაგან იყო გამდობლებული.

— ბი აქ არის დახატული მწყემსი, რომელსაც ცხვარი მოჰყავს მხრით, სთქვა ტორკვატოსმა. ეს იგავი მე კარგად მახსოვს და ადვილი გასაგებიც არის.

— ბი საკირეში ჩაგდებული სამი ჭაბუკიც, სთქვა სევერმა. — ჩვენი მამები ამ მხატვრობით თავის თავს იგულისხმებდნენ და იმედოვნებდნენ, რომ ღვეწულობა ვერ შეაშინებს მორწმუნეებს და ვერ შეარყევს მათ.



— აი კიდევ კეთილი მწყემსი; იმას მხრებით მოჰყავს გზა-დაბნეული ცხვარი და ორიც მხრით მოსდევს კიდევ სხვა ორი ცხვარი.

— რად ჰხატვენ ასე ხშირად ამ იგავს? იკ-თხა ტორკვატოსმა.

— იმიტომ, უთხრა პანკრატმა, რომ ქრისტიანების ჰკუაში და გულში ჩაიბეჭდოს, რომ გულწრფელის შენანებისათვის უფალი ყოველთვის მიუტეევებს კაცს შეცოდებას.

— ძი მაგრამ, უთხრა ტორკვატოსმა შეკრთომით, წარმოიდგინე, რომ გაქრისტიანებული კაცი გაიტაცა ბიწიერმა სურვილმა... მან შესცოდა... ესთქვათ... ულალატა... გასცა... განა ეკკლესია მიუტეევებს მისთანა კაცს?... ზანა ამ გვარს კაცს გაკიცხვით არ განაგდებს თავის საზოგადოებისაგან?...

— თუ კაცი გულწრფელად აღიარებს თავის ცოდვებს, თუ ღმობიერისა და შემუსვრილის გულით შენანებს, მაშინ ეკკლესია მიუტეევებს მას. ამისთანა კაცი არის გზა-დაბნეული ცხვარი, რომელიც უბრუნდება თავისს მწყემსს.

ტორკვატოსი ათრთოლდა და თითქოს აპირებდა გამოტყუნილიყო თავისს შეცოდებაში, მაგრამ ეს გრძნობა მხოლოდ ერთის წამის განმავლობაში გაჰყვა. თავ-მოყვარეობამ, სარცხვილმა და შუღვიუსის მხრით დევნულების შიშმა დაუჩაგრეს და დაუხშეს ერთის წამით გაღვიძებული სინიღისი. ტორკვატოსი გამოიჯგვიმა, იმისმა ფერ-მკრთალმა და ცივმა

სახემ განძინებული გამოხატულება მიიღო; მას
 გულ-გრილად სთქვა:

— შე ძლიერ სანუგეშოა მათთვის, ვინც საჭი-
 როებზე მიტევენას!

სევერმა ყველაფერი დაინახა, ყველაფერი შენიშ-
 ნა და ამიტომაც სიბრალოულით შეჭხედა ტორკვატოსს.
 მართლაც, ვინ უფრო უბედურია? ზამციმი, თუ გა-
 ცემული? ჯალათი, თუ უმანკო მსხვერპლი? რასა-
 კვირველია, უმანკო მსხვერპლი ბევრად უბედნიერე-
 სია! დამშვიდებული სინილისით კაცს შეუძლია ყვე-
 ლაფერი აიტანოს. წმინდა სინილისი აძლევს კაცს
 გულადობას, ძალას და აღამაღლებს მას გრძნობით
 და აზრებით და ამ გვარს კაცს ყოველთვის შეუძ-
 ლია ადვილად აიტანოს მძიმე შრომაც და დიდი
 უბედურებაც. პირადი მწუხარებისა და უბედურების
 ატანა ბევრად უფრო ადვილია ადამიანისათვის, ვი-
 ნემ სხვისი შეწუხება და გაუბედურება. წმინდა სი-
 ნილისიანი კაცი იტანჯება, მწუხარებებს, მაგრამ იმი-
 სი სულის მყუდროება არ შფოთდება, სინილისი
 წმინდად რჩება; სხვისთვის ბოროტისა და ცუდის
 მოქმედს კაცს მუდამ თავის გულშივე დააქვს ეს
 ბოროტება. არც დღე და არც ღამე არ ასვენებს
 მას; ის არის მატლი, რომელიც ნიადაგ ხრავს და
 ღრღინის მის გულს.

— ჩვენ ყველაფერი ვნახეთ ეკკლესიას გარდა, სა-
 დაც ქრისტიანები იკრიბებიან; ისიც გვაჩვენე! უთ-
 ხრა ტორკვარტოსმა დიოგენს.



ლიოგენს არაფითარი იქვი არა ჰქონდა გულში და დააპირა იქითკენ წასვლა, მაგრამ სევერმა შეაჩერა.

— ბვიან-ლა არის, უთხრა მან, — ახლა დროა სახლში წავიდეთ და მუშაობას მივყოთ ხელი. ეკლესიის ნახვა მაშინ შეიძლება, როცა ეპისკოპოსი იქმნება მწირველი.

შველანი დაეთანხმენ და გამოვიდნენ ოთახიდან. მამოსელის დროს ლიოგენმა უთხრა ტორკვატოს:

— როცა ეკლესიაში მოსვლა გინდოდეს, ამ დერეფანში შემოდი და მერე მარჯვნივ მოუხვიე. ამ მხატვრობით ადვილად იცნობ დერეფანს. აი შეხედე: აქ არის დახატული ღვთის-მშობელი, რომელსაც ძრისტე ჰყავს აყვანილი ხელში; იმათ წინ მოგვები სდგანან და თაყვანს სცემენ მათ. აქ ოთხი მოგვი არის დახატული და საზოგადოდ კი მარტო სამს ჰხატვენ.

შველანი სიამოვნებით შესცქეროდნენ ამ მშვენიერს მხატვრობას, მხოლოდ სევერი ვერა ჰვარავდა წყენას. ის მიჰხვდა, რომ ტორკვატოსი, ამ მხატვრობის მოწყალეებით, საჭიროების დროს, ადვილად მიავნებდა ეკლესიის გზას. როცა პანკრატი და მისი ამხანაგები წავიდნენ, სევერმა თავისი იქვი ძმას შეატყობინა და დაუმატა:

— ეს კაცი გვახსოვდეს. ღარწმუნებული ვარ, რომ მაგის გადამკიდვე ბევრი უბედურება შეგვემთხვევა.

ორივე ძმები ჩაბრუნდნენ აკალდამებში და კვარტოსისაგან დასმული ნიშნები ყოველგან წაშალეს. ისინი მიხვდნენ, რომ ტოკვარტოსი დერეფნებს დაითვლიდა და გარდასწყვიტეს ეკკლესიაში შესასვლელი გზა შეესცვალოთო. ამისათვის იმათ ამოაშენეს რამდენიმე განის დერეფნებში შესასვლელი კარები და მაგიერი სხვა ადგილებზედ გამოთხარეს. ღიღისა და სწორე დერეფნის გან-და-გან იმ რიგად დაჰყარეს სილა, რომ ყველა იქ გამვლელ კაცს შეუკრავდა გზას. ორმა ძმამ გარდასწყვიტეს ღროზედ შეეტყობინებინათ ქრისტიანებისათვის ამ ცვლილების მოხდენა და ამასთანავე თავისი იქვიც, რომელიც შემდეგ სარწმუნო და ნამდვილი გამოდგა.

XIV

ახლა შაბიოლას დავუბრუნდეთ. მკითხველებს ეხსოვნებათ, რომ ის დავსტოვეთ მეტად აღელვებულნი ხრამატოსთან ბაასის გამო და იმ უცნობისა და საუცხოვო სიტყვების გამო, რომელიც მან პაპირუსის ნაკვეთზედ ამოიკითხა შემთხვევით. შაბიოლა ხშირად გადიკითხავდა ხოლმე ამ სიტყვებს და კიდევ უფრო ხშირად ჰფიქრობდა იმ აზრზედ, რომელსაც ეს სიტყვები შეიცავდა. საშინლად ჰსურდა ვისთანმე მოელაპარაკნა, თავისი აზრები და გრძნობები ვისთანმე გამოეთქვა და გაეგონა, თუ რას იტყვიან ამ საგანზედ სხვები. მაგრამ ვისთან შეეძლო

სიამოვნებით, გულ-წრფელად და უბრალოდ
 რაკი? ბევრს სტუმრებს ღებულობდა, მაგრამ გან-
 საკუთრებით დაახლოვებული არაინა ჰყავდა. მას-
 თან ქალებიც ბევრი დადიოდნენ და კაცებიც; ბევრ-
 ნი იმათგანი ჭკუიანები და სწავლულებიც იყვნენ,
 მაგრამ სულ სხვა თვალთ უყურებდნენ ცხოვრებას.
 ზოგი მათგანი მხოლოდ ლხინსა და შექცევებში
 იყო გართული და ზოგი პირადის მიზნების დევნაში;
 იმათ რომ შეეტყობთ, შაბიოლა გულ-მოდგინეთ
 ჰფიქრობდა იმ ორსა, თუ სამს ფრაზაზედ, რომელიც
 მას შემთხვევით ხელში ჩავარდნოდა, დასცინებდნენ,
 ან უჭკუოდ ჩასთვლიდნენ. თვითონ შაბიოლაც ვერ
 აუხსნიდა თავის-თავს რიგიანად, თუ სახელდობ
 რისთვის და რა რიგად მიაღწია იქამდის, რომ ასე
 სულითა და გულით შეესაკუთრა ახალს ცხოვრებას,
 რომელსაც ახლა ეცნობოდა და რომელიც ასე
 დიდ-ხანს სწყუროდა მის გულს. მერ ჰბედავდა გულ-
 წრფელად ელაპარაკა იმისთანა ქალებთან, რომელ-
 ნიც ზრუნავდნენ მხოლოდ მორთულობაზედ, ანუ
 თავის ქმრისათვის სამაახურში კარგის ადგილის შოვ-
 ნისათვის და ან თავისის ფაჟი-შვილისათვის მდიდა-
 რის საცოლოს მოძებნისათვის. შაბიოლა გულ-წრფე-
 ლად ვერ ილაპარაკებდა ვერც იმისთანა კაცებთან,
 რომელნიც ამტკიცებენ, რომ კაცი მხოლოდ
 ერთხელ სცხოვრობსო, მაშასადამე, კაცმა, რაც შეიძ-
 ლება, მხიარულად უნდა იცხოვროს, არასფერზედ
 არ უნდა ჩაფიქრდეს და არასფრისათვის არ უნდა

იჯაეროსო. შაბიოლას კარგად ესმოდა, რომ მაწვილეში ადამიანს ყოველთვის აქვს სურვილი იმ-ხიარულოს, რომ ეს ძლიერ ჩვეულებრივი და კანონიერი სურვილია, რომ ოჯახის პატრონი ქალი არ შეიძლება არ ზრუნავდეს ქმრის კარგის ადგილის მოწოდების, ან შეილის, რაც შეიძლება, უკეთესს გზაზე დაყენებისათვის, მაგრამ ის ვერასდროს ვერ წარმოიდგენდა, რომ ადამიანისათვის შესაძლო ყოფილიყოს მხოლოდ ამ გვარს საქმეებზე ზრუნვა და ფიქრი და მთელის თავისი სიცოცხლისა და ცხოვრების ასე ვიწროდ შესაზღვრა. ის ჰფიქრობდა, რომ ოჯახის ინტერესს გარდა სხვა ინტერესებიც უნდა იყოსო ქვეყანაზე; ეს არისო ზნეობითი, უმაღლესი ინტერესები. შაბიოლა ახლა იმასაც ჰფიქრობდა, რომ შესაძლებელია და საქროც არის თავის ოჯახობასა და ნათესავობას გარდა კაცს უყვარდეს მეგობრები, სამშობლო, დიდება და ბოლოს, საზოგადოდ ყოველი კაციო. მიდევ იცოდა, რომ არ არის რიგი, რომ კაცმა თავისი თავი მთელს ქვეყანას ამჯობინოს და ჰფიქრობდეს: «ოღონდ მე ვიყო კარგად და სხვებს თუნდ კისერიც მოუტეხიათო» და სხვების ბედსა და უბედობას გულ-გრილად უყურებდეს. შაბიოლამ თავის ფიქრში ყველა ნაცნობები გარდაითვალა, მაგრამ იმათში არც ერთი არ გამოდგა ისეთი, რომ მხოლოდ თავის-თავზედ მზრუნველი არ ყოფილიყოს და თავის სიცოცხლეში ეს პირველად ჩაფიქრდა.

ნაღვლიანად იმაზედ, რომ თვითონ ამასაც ჰყავს არც ერთი ნამდვილი და გულითადი მეგობარი. ამაში სხვებს კი ვერ ამტყუნებდა, მხოლოდ თავის-თავს ჰხედავდა დამნაშავედ: მეგობრების მოპოვება ხომ მხოლოდ სიყვარულით შეიძლება და აბა ვინ ჰყვარებია აქამდის შაბიოლას? მხოლოდ თავისი-თავი! იგი ასათუთებდა თავის-თავს, თავის სასიამოვნოდ სცხოვრებდა და თუ აგნესა სხვებს ერჩია, ეს უმეტესად მისთვის მოჰხდა, რომ მშვიდი და გულ-კეთილი აგნესა არავის არრას უშლიდა, არავის არ ეწინააღმდეგებოდა და თავის უწყინარობასა, სიმშვიდისა და მორცხვობის გამო ყოველთვის შეუნიშნავად რჩებოდა. შაბიოლას აგნესას მეტი მეგობარი არ აღმოუჩნდა. მაგრამ სირა? ღიად! სირა მან ნამდვილის სიყვარულით შეიყვარა, რადგანაც გრძნობდა, რომ საბრალო ტყვე, მოახლე-სირა, თვითონ შაბიოლაზედ უფრო გულ-კეთილი, უფრო ერთგული და ყოველისფრად უკეთესი ქალი იყო. ბოლოს გარდასწყვიტა, სირას მოველაპარაკები ამ ჩემის ნაპოვნის პაპირუსის თაობაზედო და ერთხელ, როცა მარტო დარჩნენ, აჩვენა ამ პაპირუსის ნახევი, რომელზედაც მისი აღმაშფოთებელი სიტყვები ეწერა.

— რომ იცოდე, რა ნაირად აღმაშფოთა ამ ქალადზედ დაწერილმა სიტყვებმა! უთხრა შაბიოლამ.

— რად აღგაშფოთა? ჰკითხა სირამ და თან სცდილობდა თავის მღვლეწარება დაეფარა, რადგანაც ქალაქის პირველს შეხედვასთანავე დაინახა, რომ ეს სიტყვები საღვთო წერილიდგან ამოწერილი ძლიერი სიტყვები იყო. — მგონებ, რაც აქ სწერია, ძლიერ აღვილად გასაგებია.

— აღვილი სრულებითაც არ არის, მიუგო შაბიოლამ. — მესმის, რომ კაცმა, შეიძლება, გულმხურვალედ შეიყვაროს თავისზედ უფრო მდაბალი ხარისხის კაცი; შენ ხომ შემიყვარდი, თუმცა შენ მოახლე ხარ და მე პატრიციის ქალი. მსთქვათ, მე დაგეთანხმები, რომ შეიძლება საკვირველს ქველმოქმედებამდის მიაღწიოს კაცმა და მტერს მიუტევოს ყოველი ავი და ბოროტება... მაგრამ ცუდისათვის სიკეთით გადახდა! — არა, ეს მომეტებულია! მტრების შეყვარება... რაც გინდა, სთქვი და ეგ კი შეუძლებელია. ძიდე უფრო მეტსაც ვიტყვი, ჩემის აზრით, ამ გვარი საქციელი სიძულვილის ღირსიც არის... და მაინც... მაგრამ შენ კი ვერ შეგვიძულე, პირ-იქით, ძლიერ შემიყვარდი და პატივსა გცემ, თუმცა შენ... შენ სიამე სიკეთით გადამიხადე. აი კიდევ ამან დამიბნია აზრი და გონება!..

— ჩემზედ ნულარ ვილაპარაკებთ, მე შენის ქების ღირსი არა ვარ; მხოლოდ გაიხსენე ისტორიაში მოხსენებული სულ-გრძელობის დიდი მაგალითები. ზანა შენ არ გაგაკვირვა არისტიდის საქციელმა, როცა მან თავის მტრის თხოვნით თავისი

საკუთარი სახელი და წერა სარდაუზედ, რის გამოც სამშობლოდგან განდევნა გადაუწვიტეს მას? მანა ქორიოდგან არ თანაუგრძნობდი, როცა მან თავის სამშობლოს აპატივა უპატიოსნო უმადურობა? მანა ცოტაა ამ გვარი მაგალითები?...

— ძი, მაგრამ ისინი გმირები იყვნენ.

— ჩვენ კი რატომ არ უნდა ვსცდრილობდეთ, რომ ყველანი გმირები გავხდეთ? რომელსავე ომში ვაფეკტურად ბრძოლაზედ თითქმის უფრო გმირობა ის იქმნება, რომ კაცმა თავის ცუდ მიდრეკილობას, ცუდს სურვილსა და მიმზიდველობას სძლიოს; ესეც სომ ბრძოლაა, მაგრამ ხნობითი ბრძოლა — კეთილისა და ბოროტის შორის ბრძოლა არის! მსთქვათ, გაჯავრებისაგან აღელვებულს შენ გინდამტერა შეუჩრ უგო, აი მაშინ სძლიე შენს თავს, აპატიე მტერს და ცუდისათვის სიკეთე უყავ.

— მუ რაღა სიცოცხლე იქმნება? — შოველთვის თავის-თავს უნდა ებრძოდე კაცო, უნდა იტანჯებოდეს, ყოველთვის უნდა სცდილობდეს გულის და-შოშმინებას! — რის გული ათვის უნდა ჰქმნას ეგ კაცმა?

— ძაცობრიულის მოვალეობის ასასრულებლად, სინიდისის მოსასვენებლად და ღვთის კანონების ასასრულებლად. ნუ თუ შენ ფიქრობ, რომ სიცოცხლე მხოლოდ მისთვისა გვაქვს მონიჭებული, რომ კუდამ შექცევასა და მზიარულებაში იყოს?

— როდისმე ფიქრობდი მაგრე, ახლა კი... ახლა ბევრი რამ შეიცვალა ჩემში. ამასთანავე შეე-

ნიშნე, რომ მთელს ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ
 სამოენებასა და შექცევებს მივლდები, სრულიად
 დავკარგე მხიარულების ხალისი. აღარასფერი აღარ
 მამხიარულებს, — ყოველისფერი მომწყინდა. თანისა-
 მოსი, ღიზი და საზოგადოება მიკარდა ძლიერ, —
 ეს თან-და-თან ჩვეულებად გარდამექცა და ახლა
 მორთვაც მომწყინდა და საზოგადოებაც. მაგრამ ამ
 მოწყენილობიდან ჩემის თავის წვალების სურვი-
 ლამდის ჯერ მაინც კიდევ ძლიერ დიდი მანძი-
 ლია.

— რათა გგონია, რომ თავის-თავთან ბრძო-
 ლით კაცი იტანჯება? მრთს აზრზედ უნდა დადგე
 და არასფრის გულისათვის ქვეყანაზედ არ უნდა
 გადუხვიო მას; პირველად ეგ ძნელი იქმნება და
 მერე კი გაგიადვილდება. ამ გვარის საქციელით
 შენის თავის კმაყოფილი იქმნები, გულის სიმშვიდეც
 გექმნება და ამით ჰეშმარიტს ბედნიერებასაც მოი-
 პობ.

— შენს მოქმედებაზედ რომ გასაჯოს კაცმა,
 იქმნება მართალიც იყო. შენი საქციელი ხშირად
 მაკვირვებს: ჩემსა და მამა-ჩემის ხელ-ქვეშ სცხოვ-
 რებ, ღარიბი ხარ, სამშობლოზედ და ოჯახზედ მო-
 შორებული, მაგრამ პირის სახე ყოველთვის
 მხიარული გაქვს, ყოველთვის კმაყოფილი და თით-
 ქმის ბედნიერიცა ხარ.

— შოველ კაცს თავის მწყობრება აქვს, ჩემო
 კეთილშობილო ქალბატონო, მაგრამ მე ფბადლობ



ჩემს გამჩენს ლმერთს. როცა სხვებს ვუყურებ, ვხედავ, რომ ლმერთი ჩემი მოწყალე ყოფილა, რომ ჩემი ჩვედრი სახარბიელოა; მე ბევრი სამხიარულო მი'ვზები მაქვს. ბაუჭირვებლად ვსცხოვრებ; არავის ჩემთვის შეურაცხება არ მოუყენებია. ბაიხედ-გამოიხედე, რამდენი ჩემზედ უფრო უბედურები არიან ქვეყანაზედ! ბახსოვს, თუ არა ის ბრმა პატარა ქალი, რომელიც ჩემთან დადიოდა? ის მოკლებულია იმას, რაც ცხოვრებაში ყველაფერზედ უფრო ძვირფასია—მხედველობას. იმას არ ამხიარულებს არც მშვენიერი ბუნება და არც საყვარელი არსების სახე. საუკუნო ბნელს ღამეში არის ჩაფლული. არა, მე კიდევ ბედნიერი ვარ და ლმერთს ვმადლობ.

— შენ მუდამ შენს ლმერთზედ ღაპარაკობ. ბასაკირველოც არ არის, რომ მადლობდეს მას, თუ კი შენს თავს ქვეყანაზედ ყველაზედ უბედურეს კაცებს შეადარებ და იმათის შედარებით ბედნიერად გრძნობ თავს! აბა სინიღისიანად ილაპარაკე და შენი თავი შეადარე... ჰო!... თუ გინდ... მე შემედარე—ა? ნუ თუ იმა'აც იტყვი, რომ ჩემზედ უფრო ბედნიერი ხარ? შეჰსძახა შაბიოლამ ღიმილით.

— ჩემი თავი ყოველს კაცზედ უბედნიერესად არ მიმაჩნია და ან კი რისთვის უნდა ვიყო სხვებზედ უბედნიერესი? ჩემს თავს როდი ვსთვლი განსაკუთრებითის ბედნიერების ღირსად, ვხედავ, რომ იმდენი ბედნიერება მხდომია წილად, რამდენიც არ დამიმსახუ-



რებია და ამისათვის ვმადლობ ლმერთს. რაც კი შეეძლება შენისა და ჩემი ბედნიერების შედარებას, ჩემს თავს ბევრად უფრო ბედნიერად ვრაცხ..

— როგორ? უთხრა გაკვირვებულმა შაბიოლამ და ღიმილს თავი დაანება. იმას ეს სიტყვები ეწყინა...

— სწორედ აგრე გახლავს. არას ვიტყვი იმაზედ, რომ მე ქეშმარიტს სარწმუნოებას აღვიარებ და ქეშმარიტი ლმერთი მრწამს. მე ვიცი ამ გვარი ბედნიერების სრული ფასი, მაგრამ შენ კი ამას ვერ გაიგებ. შენ მდიდარი პატრიციის ქალი ხარ, მაგრამ შენს სიმდიდრესა და დიდ-კაცობას შენთვის ვერ მოუტანია ბედნიერება. ნიადაგ მოწყენილი ხარ და ეს ძლიერ ადვილად გასაგებია არის—შენ მარტომ-მარტომ ხარ; არაფის არ უყვარხარ და არც შენ გიყვარს ვინმე ნამდვილის სიყვარულით და აბა როდის მომხდარა ქვეყანაზედ ბედნიერება უსიყვარულოდ?..

შაბიოლა გაწითლდა; ეს კიდევ უფრო ეწყინა. პატრიციის ქალის სიამაყემ გაიღვიძა. იმან ცივად და მწვაობრობით უპასუხა:

— ჩემს შებრალებას არა გთხოვ; ყოველი კაცი თავის-თავის მსაჯული არის. მე ჩემი თავი უბედურად როდი მიმაჩნია.

— ვსთქვათ, მაგრე იყოს, უპასუხა სირამ, — მაგრამ მე კი ჩემი თავი სწორედ შენზედ უფრო ბედნიერად მიმაჩნია.

— მის უყვარხარ აგრე გაშმაგებით? ჰკითხა შა-ბიოლამ.

— ძველას. მიუგო სორამ.

— როცა ამბობენ ყველას, ან არავისო, ეს სულ ერთი და იგივეა, ეს ნიშნავს, რომ არავის ჰყვარებიხარ, შეჰსძახა შაბიოლამ გამარჯვებულის ხმით.

— შენს საზოგადოებაში, რასაკვირველია, მაგრე ჰფიქრობენ, მაგრამ ჩემს საზოგადოებაში კი არა. შენს წრეში ყოველი კაცი მხოლოდ თავის-თავისათვის სცხოვრებს და სხვებზედ არრას ზრუნავს, ჩემს წრეში კი ყველანი მოვესისათვის სცხოვრებენ და მოძმეებზედ ჰფიქრობენ. თუ რომელიმე ჩვენგანი ღარიბია, მდიდრები პურს აძლევენ მას, ავადყოფებსა ჯანმთვლები უფლიან; მწუხარეს ნუფეშს სცემენ. ჩვენ ყველანი დან-ძმურად ვსცხოვრებთ, რადგანაც ჩვენი სჯული ამას გვაწაველის. მე ჯერ არ მახსოვს, რომ ჩვენი მამებისათვის მიმეძართოს რაიმე რჩევის საკითხავად, ან ჩემის დებისა და ძმებისათვის შემეჩაელოს რამ და მათ არ ვენუგეშებინოთ.

— მე ყველაფერი საუცხოვოა, უბაჟხა შაბიოლამ, — შენს სიტყვას უნდა დავუჯერო, რადგანაც იმ პირებს ვერ ვიცნობ, რომელზედაც შენ ლაპარაკობ. მაგრამ ჩვენს საბაასო საგანს განვშორდით. შენ წვლან მითხარი: რატომ ჩვენ ყველანი არ უნდა გავხდეთ გმირებათა? მაგრამ გმირებს ხომ განსაკუთრებითი ნიჭი აქვსთ, მთელს ქვეანას უყვირს მათი



საქციელი და როცა ისინი ჩაიბე გმირულს საქმეს მოახდენენ, მაშინ მთელი ქვეყანა ტაშს უკრავს. ამასთანავე უნდა ვსთქვათ, რომ გმირობის დრო წავიდა. ახლა აღარ არიან ქვეყანაზედ აღარც ტეზო-სის და აღარც ჰერკულესის მსგავსი გმირები; აღარც დევები და გველეშაპები. დ. ან ვინ იცის, ოფილიან ისინი როდისმე, თუ არა! მა ხომ ყველაფერი მოგონილია; ხომ ეს ყოველივე მხოლოდ ზღაპრებია!

— ჩემას აზრით კი ქვეყანა აქამდისაც სავსეა დევებზედ და გველეშაპებ ედ უფრო საშინელის საოცრებებით, უთხრა სარამ უხუმრად. მანა სიხარბე, ცილის წამება, სიცრაუე, შურის გება, გაუმადლობა და სასტიკობა დევებზედ და გველეშაპებზედ უფრო საშიშარი საოცრება არ არის? ამ გრძნობების დამარცხება, თავის გულში ბიწიერის მიდრეკილების დახშობა და იმათ წინააღმდეგის თვისებების მიღებაც გმირული ღვაწლი არის და ამისათვისაც ჯილდო არის დანიშნული. ეს ჯილდო არის გრძნობა, რომ ისე კარგად მოიქცა კაცი, როგორც მოვალეობა და ჩვენთვის დაწერილი, შეუცვლელი სამუდამო კანონონი გვიბრძანებს.

— ვისგან და როდის დაწერილი?

— რად გეტყვი, ვისგან, ან როდის? შენ ხომ დაუნდობლად იცინი ხოლმე, ან სწყრები, როცა ჩვენს ცხოვრებას გაიპობ. არა გჯერა, რომ კაცს ნაჩვენები აქვს გზა, რომელზედაც უნდა გაიაროს. ის სიტყვები, რომელმაც შენ ავაშუოთა და გაგა-



კვირვა, მაგრამ რომელიც შენ მაინც ვერ გაიგე, ჩვენის მოძღვრობისაგან ამოწერილი სიტყვებია. მოყვების სიყვარული და ჩვენის მტრებისათვის სიკეთის ქმნა, — ეს ის ჭეშმარიტება არის, რომელიც ჩვენის საზოგადოების, ჩვენის მოძმეების-მეთქი მინდოდა მეთქვა, საფუძვლად არის დადებული.

ძიდეე ჩაფიქრდა შაბიოლა, კიდეე შევშინდა, მაგრამ ბაასის განგრობა კა აღარ ჰსურდა. ია ჰგავდა დაბადებიდგანვე ბრმა კაცს, რომელსაც თვალები უეცრად აეხილა. მზის ნათელი სხივი ისე ძლიერად მოქმედებს ამ გვარის კაცის თვალებზედ, რომ მან უნებლიეთ ისევ საჩქაროდ უნდა დახუჭოს თვალები, რადგანაც არ შეუძლია ბრწყინვალე მზის შუქი და მისი მოულოდნელი კაშკაში აიტანოს.

XV

აღმოსავლეთის იმპერატორები ტიბერიოს და დიოკლიტიანე მეტად მძვინვარეობდნენ თავის სახელმწიფოში. ბრძანებამ ქრისტიანების შეუბრალებლად დევნულობაზედ მაქსიმიანემდისაც მიაწია. ბანზ-რახვა იყო, რომ ყველა ქრისტიანები ერთიანად გაეწყვიტათ და მთელს რომის სახელმწიფოში არც ერთი ქრისტიანი აღარ დაეტოვებინათ. თავ-და-პირველად ქრისტიანების მასწავლებლები, ეპისკოპოსები, მღვდლები და ღიაკვნები უნდა გაეწყვიტათ და შემდეგ ყველა ქრისტიანები განურჩევლად რა

ასაკისა ანუ სქესისა არ უნდა ყოფილი ვნენ, — ყველა, ვინც კი თავის სარწმუნოებას უარს არა ჰყოფდა და წარმართების ღმერთებს ქეშმარიტ ღმერთებად არ აღიარებდა. მაქსიმიანემ გარდასწყვიტა, რომ დევნულება ყველა მაზრებში ერთად უნდა დაწყებულიყო, რომ ქრისტიანები ველარსად დამალულიყვნენ და შესაძლებელი ყოფილიყო ყველასი ერთიანად დაქერა, როგორც თევზებს იჭერენ ხოლმე ფაცრიით. ნოემბრის დამდეგს მაქსიმიანე — ჰერკულესმა მოუწოდა კრებას, რომელზედაც უნდა გადაეწყვიტათ, თუ რა ღონის-ძიება უნდა მიეღოთ ქრისტიანების სრულიად ამოსაწყვეტლად.

ამ რჩევაზედ დაესწრნენ კარის კაცები, აგრეთვე სამოქალაქო და სამხედრო მთავრებიც. მითმა უმთავრეს სამოქალაქო უფროსთაგანმა, რომის-ქალაქის პრეფექტმა თან მოიყვანა თავისი ვაჟი, ძორენიო, რომელიც უნდოდა დაენიშნა მდევნელების ჯარის უფროსად; ეს ჯარი ქრისტიანების უსასტიკესის მტრებისაგან იყო შემღვარი, და მისი მოვალეობა იყო, ყოველგან ეძებნა ქრისტიანები და ყველანი დაეჭირა. სიცილიის, ბალლიის, ისპანიის და ბევრი სხვა მაზრების პრეფექტებიც შეიკრიბნენ აქ ბრძანების მისაღებად. მთელის სახელმწიფოს ყოველის მხრიდგან შეიკრიბნენ მრავალი ფილოსოფოსები, სწავლულები და ორატორები, რომელთა რიცხვში ჩვენი ძველი ნაცნობი ძალპურნიუსიც ერიო, და ერთხმად თხოულობდნენ ქრისტიანების წინააღმდეგ სა-

შიშარის ღონის-ძიების მიღებას. მსენი იმპერატორის მაქსიმიანეს ბრძანებით დაესწრნენ რჩევას.

წინათ ესთქით, რომ იმპერატორების ჩვეულებრივი სადგომი სასახლე პალატინის მთაზედ იყო-მეთქი, მაგრამ მაქსიმიანე—ჰერკულესმა მეორე, ცელიის მთაზედ აწინებული სასახლე ამჯობინა. ეს სასახლე მშვენიერი ჯამ იყო. იუბენალოსი და სხვა მწერლები აღტაცებით იხსენიებენ მას. სასახლის განიერის აივნიდგან მოსჩანდა მთელი რომი, მთელი რომის ხეობა, რომელიც აჭრელებული იყო ხიდებით, გზებით, წყლის გამყვანის არხებით, ჩინებულის ძეგლებით სავსე სასაფლაოებით და საზაფხულო სახლებით, რომელიც თავის მარმარილოს კედლებით საუცხოვოდ ბრწყინაუდნენ გადამწვანებულს ბაღებსა და წალკოტებში.

მოშორებით, რომს ერთის ძხრით შემორტყმოდნენ ამწვანებული მთები, რომელთ გარმონიული ხაზები ნაზად გარტყმოდნენ ლაქვარდს ცაზედ და მეორეს ძხრით ლურჯი ზღვა. მაგრამ მაქსიმიანეს ეს სასახლე მშვენიერის ბუნების გამო როდი შეკუყვარებია განსაკუთრებით, ანუ აქედგან გადასახედაგების მომხიბვლელის სილამაზის გამო. მაქსიმიანეს სრულიადაც არ ჰქონია ის ნიჭი, რომ ეგრძნო ლეთის განაჩენის დიდებულისა და საუცხოვო ქვეყნის სილამაზე. მხოლოდ მისთვის მოსწონდა სასახლე, რომ მდიდრულად და კარგად იყო მოწყობილი და, ამას გარდა, ქალაქ-ვარეთაც იყო. მაქსიმიანე შთამომავ-

ლობით რომელი კი არა, ბარბაროსი იყო; ის იყო
 გაუნათლებელი კაცი, უბრალო სალდათი, რომელ-
 მაც მხოლოდ თავისის მხეცურის ჯარის შემწეობით
 მიაწია იმპერატორობამდის. ოვითონაც ძლიერ მოს-
 რული და ღონიერი იყო და აი ამიტომაც დაარქვეს
 მას ჰერკულესი. მაქსიმიანე სხვებასათვის იყო ძუნ-
 წი, თავისათვის კი მეჭად ბევრის მხარჯველი; იყო
 მკაცრი და ბოროტი; უსამართლო, შეუბრალებელი
 კაცი, რომელსაც სხვისი უვლება არაფრად მიაჩნდა.
 ტანად ძლიერ მაღალი იყო, ფართე მხარ-ბეჭიანი და
 ქერა თმისანი; თვალები მოუსვენრად უთამაშებდა,
 როგორც მძვინვარე მხეცს. იმისი საკმაოდ მსხვილი
 პირის სახე, საზიზღარის ბოროტობისა და იქვენეულო-
 ბის გამომხატველი, მახინჯად ეჩვენებოდა ყველას;
 ერთის სიტყვით, მაქსიმიანე მხეცს უფრო ჰგავდა, ვი-
 ნემ ადამიანს. მხოლოდ ერთი მისი შეხედვაც კი შიშსა
 და სიძულვილს აღუძრავდა კაცს გულში. ქრისტიანებს
 გარდა, ყველას ეშინოდა იმისი, და ქრისტიანებსაც
 მხოლოდ მიტომ არ ეშინოდათ, რომ მათ არც სიკვდი-
 ლისა ეშინოდათ, ყველა მათგანი თავის სიცოცხლეს
 წინდა-წინვე სწირავდა ლმერთს და მისი გულმოწყალე-
 ობა სწამდა; ლეთისა და სარწმუნოებისათვის სიკვ-
 დილი დიდ ბედნიერებად მიაჩნდათ ქრისტიანებს; და
 იმათში ყველაზედ უფრო მხდალებიც კი სცდილობ-
 დნენ ლოცვით განემტკიცებინათ თავისი ხასიათი და
 გაგულადებულიყვნენ. ქრისტიანები ამ ქვეყნიერს
 ცხოვრებას დროებით განსაცდელად რაცხდნენ და

მომავალს ცხოვრებას კი საუკუნო ნეტარებად, თუ
 კი კაცი თავის მოქმედების გამო იმ საუკუნო ნეტა-
 რების ღირსი შეიქმნებოდა.

მაშ ასე, ლატერანის სასახლეში, ერთს უმ-
 შვენიერესსა და უდიდესს ზალაში კრება შეიკარა
 და რჩევა დაიწყო. იმპერატორი მაქსიმიანე დაბრ-
 ძანდა ჩუქურთმით გაკეთებულს სპილოს ძვლის
 ტახტზედ. მის გარშემო დასხდნენ ყველა წარჩინე-
 ბული კაცები. ძარებთან იდგნენ მცველები, რომელთ
 უფროსად იყო სებასტიანე. ის მისწოლოდა
 ზალის ერთს ბოძა და თითქოს სრულიად არაფი-
 თარს უურადღებას არ აქცევდა ბაასს. თუმცა არც
 ერთი სიტყვა არ გამოჰპარვია.

მაქსიმიანეს ფიქრადაც არ მოჰსვლია თავის სი-
 ცოცხლეში, თუ მისი ქალიშვილი, შაუსტა, ქოს-
 ტანტინეს წაჰყვებოდა ცოლად, თუ ქონსტანტინე
 გაქრისტიანდებოდა და თვითონ ეს ზალა, რომელ-
 შიაც ახლა ქრისტიანების სრულიად ამოწყვეტას გა-
 ნიზრახვიდნენ, იქცეოდა ეკკლესიად, საიდგანაც
 დღემდისაც გამოისმის სიტყვანი სახარებისა.

ლაპარაკი ყველაზედ უწინ წარმართების ქუ-
 რუმებმა დაიწყეს; ისინი არწმუნებდნენ ყველას,
 რომ ღმერთები მეტად გარისხებული არიანო, რომ
 წყლის მოვარდნა, მიწის ძვრა, რომის სახელმწიფო-
 ში ბარბაროსების შემოსევა და ჭამის გაჩენა იმათს
 რისხვას მოასწავებსო. შველა ქურუმები ერთ-ხმად
 აცხადებდნენ, რომ ყველა ეს უბედურება რომაელს

ხალხს ქრისტიანების წყალობით ეწიაო და რომ
 ქრისტიანებმა მთელს სახელმწიფოს ღვთის-რისხვა
 მოუფლანესო. შურუმები ამბობდნენ: მარჩიელებმა
 გამოაცხადესო, რომ სანამ ნაზარეველს ტომს სრუ-
 ლიად არ ამოსწყევტენ, მანამ ხმას არ ამოვიღებთო;
 ღვლფის მარჩიელმა სთქვაო, რომ ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ი
 აპპოლონი ლაპარაკის ნებას არ მადღევსო. შურუ-
 მების შემდეგ ფილოსოფოსებმა და რიტორიკოსებმა
 წარმოსთქვეს გრძელი და ძნელად გასაგები შესხმე-
 ბი, რომელთაგანაც მაქსიმიანემ ვერც ერთი სიტყვა
 ვერ გაიგო. ათასჯერ გაიმეორეს ათას-გვარი ცი-
 ლის წამება, რომლითაც ქრისტიანებს საშინელს
 ჩირქსა სდებდნენ ხალხის თვალში; იქ დამსწრენი
 ყოველს სიტყვას ხმა-მალლა უწონებდნენ ორატო-
 რებს. არ დაავიწყდათ იმის თქმაც, რომ ქრისტიანე-
 ბი ბავშვებს ჰკვლენ და სჭამენო, ვირის თავს სცე-
 მენ თაყვანსო, საშინელი ბიწიერები არიანო და სხვა-
 ნი. ზოგი ამისთანა სისულელის მოლაპარაკენი თვი-
 თონაც არ ერწმუნებოდნენ თავიანთს სიტყვებს. მაგ-
 რამ ყველამ იცოდა, თუ რამდენად საჭირო იყო
 ამისთანების მოგონება, რომ ქრისტიანების წინააღ-
 მდეგ აელღვებინათ უმეცარი ხალხი და სუსტი
 ჰკუის კაცები, რომელთაც თავის-თავად არ შეუძ-
 ლიათ საქმე განსაჯონ და განარჩიონ სიცრუე და
 ცილის-წამება სიმართლისა და ჭეშმარიტებისაგან. მა-
 მოჩნდა ერთი სწავლული, რომელმაც ქრისტიანო-
 ბის მთელი ისტორია თავისებურად უამბო კრებას:

უბრალოების მკვიბტიდგან გამომ ვანი მოსე და პარონი იოსებთან ახსენა; საულო წმინდა მოციქულ-კავლესთან და ყველას შიშის ზარი დასცა, როცა შემდეგი სიტყვები წარმოსთქვა:

„ქრისტიანები ახლაც ემორჩილებიან თავიანთს მღვდლებს და უნდათ, რომ იმათი მორჩილობით სახელმწიფო დაარდვიონ, სამსაჯულო მოსპონ და ღვთიურს იმპერატორს ზელი შეახონო.“

მა უკანასკნელი სიტყვები ყველაზედ უსაშინელოესი ცილის წამება იყო, ამიტომ რომ მღვდლები ქრისტიანებს ამისთანებს კი არა, თავ-მღაბლობას, მორჩილებას და სიყვარულს ასწავლიდნენ. ქრისტიანებს სახელმწიფოსა და იმპერატორის წინააღმდეგ არას დროს არა განუზრახავსთ-რა; იმათ მხოლოდ ერთი რამ ჰსურდათ — დაუბრკოლებლად ღვთის თაყვანის ცემა და მაცხოვრის მცნებების აღსრულება. სწავლულის სიტყვები რომ მოისმინა, მაქსიმინამ ანიშნა კრება: ლაპარაკი მსურსო, — ყველა გაჩუმდა და მან წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები:

„მე ძლიერ მძულს ქრისტიანები, მიტომ რომ ზედ შუა გულს ჩემს სახელმწიფოში, რომის ქალაქში, იმათ გაბედეს სხვა უფლების დაწესება და მეღმერთად აღარ მთვლიან. თავიანთს ეპისკოპოსებს სცემენ პატრეს და იმათ ემორჩილებიან. მე არა მსურს, რომ ჩემს სახელმწიფოში ჩემს გარდა სხვას ვისმე ემორჩილებოდნენ, და ამიტომ ვერ მოვითმენ

ამისთანა ბოროტისა და მაწყინარი სექტის არსებობას!

მა სიტყვებო ალტაცებულის ხმაურობით მიიღო კრებამ. პრავენი აღმოჩნდა ისეთი, რომ შექცობოდა, ანუ ნდომებოდა აფხსნა მაქსიმიანესათვის, რომ ქრისტიანები მხოლოდ სარწმუნოებისა და სინილისის საქმეში ემორჩილებიან ეპისკოპოსებს, რომელნიც საერო სახმეში და საერთო ინტერესებში არა ერევიანო. მა თვითონ მაქსიმიანემაც იცოდა, მაგრამ იმას, როგორც დესპოტს და შტარვალს, ეჯავრებოდა, რომ ის ხალხი ყველაფერში, რაც კი საერო კანონებს შეეხება, ამის უფლებას ემორჩილებოდა, სინილისსა და სარწმუნოებას კი ათავისუფლებდა მისგან, და ამ შემთხვევაში მხოლოდ თავიანთის ეკკლესიის მოძღვრებს ემორჩილებოდა.

— პრეფექტო! შთხრა მაქსიმიანემ ერთს პრეფექტს, — შენ ამას წინეთ დამპირდი, იწეთს კაცს ვიშოვნიო, რომელიც ქრისტიანებს თავგამოდებით, უწუალოდ და შეუბრალებლად დევნას დაუწყებსო.

— აი ის კაცი, მიუგო პრეფექტმა და სამეფო ტახტთან მიიყვანა თავისი ვაჟი, ძორენი, რომელმაც მაშინვე დაიჩოქა. მაქსიმიანემ დააცქერდა მას და მოკლეთა და მკვანეთ სთქვა:

— ჰო, ვგონებ, ეს ამ საქმისათვის ვარჯჯადარწმუნებულნი ვარ, რომ ეს კაცი მინდობილს საქმეს ასრულებს და ჩინებულათაც ასრულებს! მაგის



პირის სახეზედ სულელურის გულ-მოწყალებრსა და საზიზღარი გულ-კეთილობის ნიშანს ვერა ვხედავ.

ამას შემდეგ მაქსიმიაზე პორცინს მიუბრუნდა და განაგრძო:

— ზახსოვდეს, რომ შენგან ესთხოულობ ჩემის მონღობილების გონიერულად აღსრულებას... ერთი სიტყვაც არ გამაგონო: შევეცი და ხალხი რიგიანად ვერ დავხოცეო. მე კარგი დაჯილდოვება ვიცი იმისი, ვინც მე კარგად მემსახურება და ვინც ჩემი სამსახური არ იცის, იმის გადახდაც შემიძლიან. ვადი და გახსოვდეს, რომ წვრილმანის შეცდომილებისათვის შენი ზურგი გამცემს პასუხს და დიდრონი შეცდომილებისათვის შენი თავი. ჩემს მოსამსახურეებს წკებლებიც აქვსთ და ცულებიც.

მაქსიმიაზე ადგა და ზალიდგან გასვლას აპირებდა; ამ დროს უეცრად თვალი შეასწრო შულვიუსს, რომელიც რჩევის დროს დავსწრო, როგორც უფროსი მამეზღარი.

— ა, ეს შენა ხარ! შეჰსძახა მაქსიმიაზემ, — აქ მოდი, მინდა რამდენიმე სიტყვა გითხრა.

შულვიუსი საჩქაროდ და მხიარულის სახით მივიდა მასთან, თუმცა გულში კი ძლიერ ეშინოდა: იცოდა, რომ იმპერატორი არა სწყალობდა მას, მაგრამ ამისი მიზეზი ვერას გზით ვერ გავგო. მაქსიმიაზეს ეგონა, თითქო შულვიუსი აღმოსავლეთის იმპერატორის დიოკლიტიანესაგან ყოფილიყოს გამოგზავნილი, რომ თვალ-ყური სჭეროდა და, რაც



დასაგლეტოს სახელმწიფოში მოხდებოდა, ყველაფერი მოეხსენებინა. მაქსიმიანე ამ ჯაშუშის ყოფნას შიშის გამო ითმენდა, მაგრამ გულში კი საშინლად სძულდა.

— აგრე ტკბილად ღიმილისა და პირ-მოთნეობას თავი დაანებე, უთხრა შულევიუსს მაქსიმიანემ;— ჩემთვის დამანჭვა კი არა, საქმეა საჭირო. შენ აქ საუკეთესო მადებრად გამოგაგზავნეს. და მე კი შენი ოსტატობა ჯერ არა მინახავს რა, თუმცა საკმაოდ ძვირად მიზიხარ. ახლა ნადირობა იწყება; ქრისტიანები არიან ნადირები, რომელნიც ჩვენ უნდა ავიკლოთ. აბა, გვაჩვენე შენი ხელობა. თვალ-გამჭრიახეთ უყურე, თორემ ხელში ჩაგიგდებ და ვეცდები სამუდამოდ აგიხუჭო თვალები. ბრალდებულების მამულებს მამულებს გავუყოფ, თუ რომელისამე განსაკუთრებითი გარემოების გამო საჭიროდ არ დავინახავ მე თვითონ მივითვისო რომელიმე მათგანი. ახლა კი წადი!

შველა იქ მყოფნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იგი ყოველთვის გამოსძებნიდა რაიმე განსაკუთრებულს გარემოებას.

XVI.

შაბიოლა დაბრუნდა სოფლიდგან რომში. სებასტიანე მის სანახავად მივიდა. ჩვენ ზემოთ შევნიშნეთ, რომ შაბიოლას ყველა თავისი მამის ნაც-



ნობს ყმაწვილ-კაცებზედ უფრო სებასტიანე წონდა. ღა ან კი ვის არ უნდა მოსწონებოდა ეს ჰკუთიანი, კეთილ-შობილი, გულ-კეთილი და ღამაზი აფიცერი? იმისი ჩინებული მუსაიფი, უბრალო საქციელი, გონიერობა და მამაცობა ყოველის კაცის გულს მიიზიდავდა მისკენ. ნამდვილ სულიელებსა, უკეთურებსა და ხარბებს გარდა სებასტიანე ყველას უყვარდა. მან საჭიროდ დაინახა შაბიოლასათვი წინ-და-წინვე ეთქვა, რომ ძორვინს შენი შერთვა ჰსურს და ამისთვის შენს მოახლე პურას დაუახლოვდაო. შაბიოლამ შეურაცხებით გაიღიმა, იცოდა, თუ რა კაციც იყო ეს ძორვინი, რომელზედაც ძალიან ცუდის აზრისა იყო მამა-მისიც, თუმცა ის ნაცნობების გამოარჩევაში ერთობ დაუდევნელი იყო. ძალმა მადლობა უთხრა სებასტიანეს გაფრთხილებისა და მონაწილეობის მიღებისათვის.

— მადლობას ნუ მეუბნები, უთხრა სებასტიანემ, — მე ვალად ვრაცხ ვაცნობო ყოველს კაცს ყოველივე ინტრიგა და ცუდი საქმე, რომელსაც მათ წინააღმდეგ განიზრახვენ.

— შენ უთუოდ მეგობრებზედ ამბობ, უთხრა სიცილით შაბიოლამ. — ღამეთანხმე, რომ თუ შენ ყოველი კაცის გაფრთხილება დაიხყე, მაშინ მთელი შენი სიცოცხლე მუქთად სხვის სამსახურში გაივლიბ.

— მერე რა ვუყოთ? მიუგო სებასტიანემ, — ნუ თუ მოვალეობის ასრულებისათვის, ან ყოვე-



ლის პატიოსნებისა და კარგის საქციელი ათვის-
კაცმა ჯილდო უნდა მიიღოს, ან უნდა იურჯოს
მისი მიღება?

— შთუოდ ხუმრობ, უთხრა შაბიოლამ. — მა-
ნა შენ მოინდომებ უბედურობისაგან გამოიხსნა-
იმისთანა კაცი, რომელსაც შენ არ უყვარხარ და
პატივს არა გცემს?

— რასაკვირველია, მიუგო სებასტიანემ დარ-
ბაისლურად, — მტრისთვისაც ამასვე ვიქმ. ამას ჩემს
მოვალეობად ვრაცხ.

შაბიოლა ძლიერ გაჰკვირდა; მას გაახსენდა პა-
პირუსის ნახევზედ წინაკითხი სიტყვები, სებასტიანეც
იმასვე ამბობდა, რაც სირას რამდენჯერმე უთქვამს
ამისთვის.

— შენ აღმოსავლეთში ყოფილხარ? ჰკითხა
მან სებასტიანეს. — ეს კანონები იქ ხომ არ გისწავ-
ლია? მართი აღმოსავლეთიდან მოყვანილი მოახლე-
მყავს; იმისი განთავისუფლება მინდოდა, მაგრამ არ
ინება და ისევ ჩემთან დარჩა თავის ნებით. ის მე-
ტად საუცხოვო და კეთილი გულის ქალია. ხშირად
უთქვამს ხოლმე ჩემთვის თითქმის იგივე, რასაც
ახლა შენ მეუბნები.

— არა, აღმოსავლეთში არა ვყოფილვარ, თუმ-
ცა კი ეს კანონები ჩვენთვის იქიდან არის გადმოტანი-
ლი. ბავშობიდანვე, როდესაც დედა ჩემს კალთაში ვუ-
ჯები, მე შეჩვეული ვარ ამ გეარს, ფიქრსა და გრძნო-
ბას.



— მართალი ვითხრა, მაგ კანონებს მეც უნდა ვიფიქროს. —
 ლეს კანონებად ვსთვლი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მაგ კანონების ნამდვილად სამქმეში გამოყენება არ შეიძლება. ჩემსას თუ ვიტყვი, მე ვეთანხმები ერთს ეპიკურის ფილოსოფიის მიმდევარს პოეტს, რომელმანაც სთქვა: ადამიანის ცხოვრება მეჯლისი არისო, რომელსაც მხოლოდ მაშინ მივატოვებ, როცა გავძლებიო».

სებასტიანემ თავი გააქნია.

— არა, ჩემის აზრით მაგრე არ არის, უთხრა მან;—ცხოვრება სრულიად არ ჰქვიან სიტკბოებაში დროს გატარებას, ცხოვრება საზოგადო მოვალეობის ასრულება არის. შოველი კაცი მისთვის დაბადებულა, რომ ეს მოვალეობა აღასრულოს, რა საზოგადოების წევრიც უნდა იყოს იგი. იმპერატორსაც აქვს თავისი მოვალეობა და მონასაც და ორივემ უნდა აღასრულონ ეს მოვალეობა. სიკვდილს შემდეგ კი დაიწყება სულ სხვა გვარი ცხოვრება.

— შენ მხედარი ხარ, შენი აზრი კარგად მესმის, უთხრა შაბოლამ.—შენთვის კარგია შენის მოვალეობის აღსრულება: თუ ბრძოლის ველზედ სახელოვანად მოკვდები, მაშინ შენს შთამომავლობას დაუტოვებ დიდებულს სახელს, რომელიც ხსენებაში იქმნება უკუნითი უკუნისამდე და არასოდეს არ განქრება.

— შენ ჩემი სიტყვები ცუდად გაიგე. რასაკვირველია, ერთს ჩემს მოვალეობად მიმაჩნია სამშობ-



ლოსთვის სიკვდილიც, როცა სამშობლო საშიშარს მდგომარეობაში იქმნება; მაგრამ როცა სხვა, ახალს ცხოვრებაზედ ვლაპარაკობ, დიდება და სახელი კი არა მაქვს მხედველობაში. რა ნაირი სიკვდილიც უნდა მეწიოს, მე მრწამს, რომ ის მეწია იმისის ნებით, ვასაც თაყვანსა ვსცემ.

— და შენ უდრღვინველად დაემორჩილები შენს ხვედრს? ბანა სიკვდილი შენთვის სასიხარულო იქმნება? შთხრა შაბიოლამ იქვენეულის დიმილით.

— შიშით მაინც არ მეშინია სიკვდილისა, ამიტომ რომ მე ის ყოველთვის მახსოვს. ჩვენ ყველანი უნდა მოგვკვდეთ, ადრე იქმნება თუ გვიან. ძაცი ისე უნდა სცხოვრებდეს, რომ სიკვდილის არ ეშინოდეს; მუდამ უნდა ჰჟუიქრობდეს სხვა, ახალს ცხოვრებაზედ, რომელიც მოგველის ჩვენ. ბედნიერი არიან ისინი, ვინც უმანკო და წმინდა არის, ვისაც მხოლოდ კეთილი განზრახვა და კეთილი საქმეები მიუძღვისთ წინ. იმათ საშიშარი არა აქვსთ-რა.

— ოჰ, რა ნაირად ჰგავს ეგ შენი სიტყვები სირას სიტყვებს! წამოაძახა შაბიოლამ. — მაგრამ მაინც ძლიერ საოცარია ეგ ყველაფერი!

ამ დროს კარის ფარდა გაღიწია. ძარებში მონა გამოჩნდა და პატივის ცემით მოახსენა შაბიოლას:

— ძეთილშობილო ქალ-ბატონო, ბაიიღვან კურიერი გახსლოთ.

— უკაცრავად, სებასტიანე, უთხრა მან სტეფანეს და მერე მონას უბრძანა ახლავე შემოიყვანე კურიერიო.

კურიერი შემოვიდა; ის იყო ერთიანად გამტყვრიანებული და მგზავრობისაგან დაქანცულობა ძალიან ეტობოდა. ღალატულობისაგან თითქმის მკვლარი ცხენი ალყაფუის კარებთან დაეტოვებინა. შაბიოლას დაბეჭდული პაკეთი მიაჩთვა. შაბიოლამ პაკეთი გამოართვა მთრთოლვარეს ხელით, გახსნა დაუწყრა და თან გაუბედავის ხმით ჰკითხა:

— მამა-ჩემისაგან არის?

— მისი ამბავი მაინც არის, მიუგო კურიერმა სიტყვის გადაკვრით. შაბიოლა შეტკბოდა, პაკეთი გახია, ქალაღს დახედა, დაიკოვლა და მკვლარსაგან თერ-მინდილი, თითქმის უსიცოცხლიოდ, ულონოდ და უსულოდ დაეშვა ახლოს მდგომარე სკამლოგიზნედ. შემოცვინდენ მოახლები, სებასტიანემ იმათ მიანდო ქალი და თვითონ წავიდა.

შაბიოლას დიდი უბედურება შემთხვევოდა: მამა-მისი მამკვლარიყო.

როცა სებასტიანე სახლიდგან ეზოში გამოვიდა, ნახა, რომ კურიერს გარს შემოხვეოდნენ მოსამსახურეები, რომელთაც იგი უამბობდა შაბიუსის სიკვდილის ამბავს. აზიაში გამგზავრებამდის იმან თავისი ქალიშვილის სურვილისამებრ, რამდენიმე დღე ქალიშვილთან გაატარა მის საზაფხულო სახლში მამა-შვილი ძლიერ აღერსიანად გამოეტხოვენ ერთ-



მანეროს, თიოქოს ისინი წინათვე ჰგონობდნენ, რომ მეტად აღარ ეღირსებოდათ ერთმანეროს ნახვა. როცა შაბიუსი ბაიაში მივიდა, უბრძანა თავის მონებს: ჩემი სამგზავრო გემი სხვა-და-სხვა ძვირფასის ხილებით და კარგის საგზლით დატვირთეთ და მდიდრულად მოაწყვეთო; თვითონ კი, თავისის თავქარიანობის გამო, მაშინვე მოსძებნა თავისი ძველი მეგობრები და ახალი ნაცნობები და იმათთან ერთად მიეცა ყოველს გვარს ლხინსა და შექცევას. შოთხელ, აბანოდგან რომ გამოვიდა, შეცივება იგრძნო და რამდენისამე საათის უკან უფერად მოჰკვდა. შოთად-ერთს თავის ქალიშვილს აუარებელი საცხივრებელი დაუტოვა. იმისი სხეული აღმოსავლეთ-ინდოეთში უნდა გადაეტანათ. სებასტიანეს ძლიერ ეწყინა შაბიოლას მწუხარება და იმის სახლიდგან შეწუხებული გამოვიდა.

შაბიოლას ეს პირველად შეემთხვა ნამდვილი სამწუხარო და ამიტომ ამ მწუხარებაში გამოუცდელს ქალს მოუთმენელად ეჩვენა ეს უბედურება. რალაცნაირად გარეტიანებული იყო, ყოველ-გვარს სამსახურს ისე გულ-გრილად მიიღებდა და ან გულ-გრილადვე უარს ჰყოფდა ხოლმე, არავის ხმას არ სცემდა, ასე გეგოწებოდა, ეს კაცი კი არა, მაშინა არისო, სრულიად გამოშტერებული იყო როგორათაც, ყოველთვის შეემთხვევა კაცს ძლიერს მწუხარებაში. სრულიად არ ეძინა, მხოლოდ სთვლემდა; არც არას ნვამდა და არც არას სჭამდა. მის საექიმოდ



მოწოდებულმა ექიმმა ვერაფრით ვერ მოახერხა მოყვანა ამ ზნეობითის სიკვდილისაგან და ბოლოს მიჰმართა ერთს ძლიერს ღონის ძიებას: მივიდა ქალთან და ხმა-მალლა უთხრა: „დიდა, შაბიოლა, მამა-შენი მოჰკვდა!“ ამ მკაცრს სიტყვებზედ შაბიოლა შეჰკრთა და გრძნობაზედ მოვიდა. საბრალო ქალი, რომელმაც თავის საყვარელი ერთადერთი არსებაც დაჰკარგა, წამოჰხტა, ხელი-ხელს შემოჰკრა და თვალებიდგან ცრემლის ნაკადული გადმოუვიდა. ამ წამიდგან მან დაიწყო მამაზედ ლაპარაკი, გულმტკივნეულად იგონებდა მამის ალერსს, ჩვეულებებს და სიტყვებს; დასცქეროდა უბრალო რაიმე ნივთებს, რომელნიც მამას როდისმე ეჩუქებინა მისთვის დასტიროდა მათ და ნარნარად ჰკოცნიდა. ბოლოს, ამ ცრემლებმა და ტირილმა დაასუსტა შაბიოლა, მიეცა რალაც ოცნებას და რაც მამის სიკვდილი შეიტყო მას აქეთ ეს პირველად დაეძინა მოსვენებით. მფროსინა და სირა არც ერთს წამს არ შორდებოდნენ. მფროსინა ანუგეშებდა თავისს გაზდილს, როგორც შეეძლო; სირა გაჩუმებული იყო, მაგრამ ამ სიჩუმეში ისეთი გულითადი მონაწილეობა გამოიხატებოდა, იმის თვალეში ისეთი სიყვარული და იმის მოვლაში ისეთი მზრუნველობა, რომ შაბიოლამ გაიგო, თუ რა გრძნობა იყო სირას ამდენად გამამხნევებელი.

როცა მწუხარების პირველი მღელვარება დასცხრა, შაბიოლა უნუგეშო ფიქრებს მიეცა: სად არის

ახლა მამა-ჩემიო? ჰფიქრობდა ის. — სად მიიმალა? ნუ თუ მთლად დაანება ცხოვრებას თავი და სამუდამოდ. გაჰქრა? ნუ თუ ადამიანის ხვედრი არარაობა არის? თუ მართალია ის, რასაც სირა ამბობს?... არარაობის აზრს თვითონ შაბიოლაც ვერ ეთანხმებოდა! იმას ვერ წარმოედგინა, რომ ის მამა, რომელიც ამას ისე ძლიერ უყვარდა, საუკუნოდ გაჰქრა, როგორც ოცნება, რომ იმისაგან მხოლოდ ძვლები-ლა დარჩენილა. ამ უნუგეშო მწუხარებაში შთანთქმული შაბიოლა შეკრთებოდა ხოლმე და პირზედ ხელებს მიიფარებდა. სირა მიჰხვედებოდა ამის აზრებს, მაგრამ კი ვერ ელაპარაკებოდა იმ საგანზედ, რასაც შაბიოლა ვერ გაიგებდა ჯერ და რაც კიდევ არა სჯეროდა. სირა ლოცულობდა, რომ ღმერთმა შეიწყალოს შეწუხებული შაბიოლა, განუნათლოს მას გონება, განუცხადოს მას ახალი ცხოვრება—ცხოვრება სიყვარულისა და სარწმუნოებისა.

რამდენიმე კვირის შემდეგ, მძიმე შავებით ჩაცმული, ფერ-მიხდილი და გამხდარი, მაგრამ მაინც კიდევ მშვენიერი შაბიოლა წავიდა თავისის ნათესავის ბგნესას სანახავად.

XVII

ახლა ცოტა უკან დაებრუნდეთ და ვნახოთ, რა დაემართა ტორკვატოსს. შაბიუსთან რომ ვახშმად იყო, მის მეორე დღეს, როცა ტორკვატოსს გაეღვიძა, ლოგინთან მდგომი შულოვიუსი დაინახა. შულოვიუსმა



მლიერ გულ-გრილად უამბო მას ყოველისთვის
რაც წინ-დღეს მოჰხდა და ხელ-ახლავ წარმოუდგინა
ნამდვილი სურათები იმ უბედურობისა, რომელიც
ტორკვატოსს მოელოდა, თუ ის ყველა თავის ნაც-
ნობ ქრისტიანებს არ დაასახელებდა.

— როგორც კი შეგნიშნავ, რომ შენანებას
სცდილობ და იმათთან დაბრუნებას აპირებო, უთხრა
შულეიუსმა, — მაშინვე მსაჯულებს მიგცემ ხელში და,
რასაკვირველია, ისინი სიკვდილით დასჯას გადაგიწ-
ვეტენ. და თუ ჩემს მხარეს დაიჭერ, მაშინ კი უზ-
რუნველი ცნობერება მოგელის.

ტორკვატოსმა ხმა არ გასცა; ის გაფითრებული
იყო და თროოდა.

— როგორღაც შენს ხასიათზედ ვერა ხარ;
უთუოდ გაგაციფა, უთხრა შულეიუსმა. — წამოდი,
გაეისეირნოთ; დილის ჰაერი მოგიხდება.

ტორკვატოსი დაემორჩილა. შულეიუსმა წაი-
ყვანა სახალხო მოედანზედ და იქ, ვითომ შემთხვე-
ვით, ძორვინს შეჰხედნენ.

— მონარული ვარ, რომ თქვენ შეგვხვდით,
უთხრა მათ ძორვინმა. არ გინდათ მამა ჩემის სახლ-
ში შემოხვიდეთ? იმის სამუშაო სახლს გაჩვენებთ.

— სამუშაო სახლსო? ჰკითხა გაკვირვებით
ტორკვატოსმა.

— დიად, სამუშაო სახლს, რომელშიაც ის თა-
ვისი ხელობის იარაღებს ინახავს. მამა-ჩემმა ის ია-
რაღები ახლა-ხან მოიყვანა რიგში და გაამრავლა.

სამნივ შევიდნენ დიდს ეზოში და იქიდგან ყო-

ველ-გვარის საწამებელის იარაღებით გავსებულს სა-
 რაიაში. ტორკვატოსმა რომ ეს იარაღები დაინახა,
 შეჰკრთა და უკან დაიწია.

— შემოდით, ნუ გეშინიათ, უთხრა ბებრმა ჯალათ-
 შა, რომელიც მათ კარებში შეჰხვდათ.— ჯერ ცეცხლი
 არ ანთია და არც არაფერ ხელს გახლებსთ, თუ თქ-
 ვენ,— იუპიტერმა დაგიფაროს!— იმ საზიზღარის
 ქრისტოიანების სექტას არ ეკუთვნით. შევლა ჩვენი
 იარაღები იმ სექტისათვის გაფაჩღებთ.

— შენი ხელობის ყველა საჭურველები აჩვენე
 ამ ყმაწვილ-კაცს და აუხსენი იმათი დანიშნულება,
 უთხრა პორვინმა ჯალათს.

ჩვენ არ მოვეყვებით საწამებელი იარაღების აწე-
 რას. საკმაოა ესთქვათ, რომ ღირდად ბორბოტი და
 მხეცსავით მძინვარე უნდა იყოს კაცი, რომ ამ გვა-
 რი ათას-ნაირი წამება მოიგონოს, და მათის საშუა-
 ლებით აღამიანებს სიმართლევ, გონება და სიცოც-
 ღლე წაართვას.

ტორკვატოსი ჰგრობდა, რომ მას მუხლები
 ეკეცებოდა, სახეზედ ცივს ოფლს ასხამდა და მთელს
 ტანში თრთოლა უვლიდა. იგი საჩქაროდ გამოვიდა
 ამ ჯოჯოხეთიდან და პნტონინის აბანოში წავიდა.
 მდიდრულის საუზმის შემდეგ, ტორკვატოსი შეიყვან-
 ნეს სათამაშო ზალაში. ტორკვატოსმა დაიწყო თამაში,
 რომ გართობილიყო და მწუხარება დაევიწყებინა და
 წააგო. შულოვიუსმა საჩქაროდ ასეხა ფული და ამ

გვარად ტორკვატოსი უწინდელზედ კიდევ უფრო და მოკიდებული შეიქმნა შულევიუსისაგან.

ამ დღიდგან მოკიდებული, ტორკვატოსი და შულევიუსი ყოველ-დღეს ნახულობდნენ ხოლმე ერთმანერთს. ძორენმა და შულევიუსმა უბრძანეს ტორკვატოსს: აკალდამებში შედი როგორმე, იმათში სასიარულო გზები დაისწავლე და შეიტყვე ეპისკოპოსი ლიტურგიას სახელდობრ რა ადგილს ასრულებსო. აი რისთვის დაიარა ტორკვატოსმა აკალდამები ახალ-გაზდა პანკრატის შემწეობით, რომელსაც არა ვითარი იჭვი არ აუღია ამაზედ, აი რისთვის დაითვალა დერეფნები და დასვა ნიშნები. როცა იქიდგან დაბრუნდა, ყოველივე აკალდამებში ნახული და გაგონილი უამბო ძორენს, რომელმაც ტორკვატოსის სიტყვების ძალით დაიწყო აკალდამების პლანის შედგენა და გარდასწყვიტა, რომ ხვალვე, დილის რიგრაჟზედ, როგორც კი სახალხოდ გამოაცხადებენ ქრისტიანების დევნულების შესახებს დეკრეტს, მაშინვე შეუფარდები აკალდამებში და ვისაც კი იქ ენახავ, ყველას დავიჭერო.

შულევიუსმა კი სხვა ნაირი პლანი შეარდგინათვის მოქმედებისათვის: გარდასწყვიტა, რომ პირისპირ გაეცნო მღვდლები და მდგომარეობით, ანუ სიმდიდრით შესანიშნავი ქრისტიანები, რომ მერე, დანიშნულს დროს, რაკი იმათი პირის-სახე ეცოდინებოდა, სადაც უნდა შეჰხედომოდა, ადვილად შესძლებოდა დაჭერა. ამ მიზნისათვის უბრძანა ტორ-

კვატოსს, ეპისკოპოსის წირვის დროს წამიყვანე აკალდამებშია. **ტორკვატოსმა** იცოდა, რა საშიშარი იყო მისთვის ამ განზრახვის ასრულება და ამიტომ მოინდომა უარი ეთქვა, მაგრამ **შულვიუსმა** მაინც დაუჟინა. რამდენისამე დღის შემდეგ **ტორკვატოსმა** შეატყობინა **შულვიუსს**: ამ მოკლე ხანში ექმნებათ ქრისტიანებს მღვდლების კურთხევა, წირვა და ქრისტიანების ზიარებაო. **ღანიშნულს** დღეს ორნივ ერთად გაემგზავრნენ რომის სენატორის—**პულენცოსის** მემკვიდრეების სახლისაკენ, სადაც ქრისტიანები იკრიბებოდნენ და სადაც ეპისკოპოსს უნდა ეწირა.

იმ დროს, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ეპისკოპოსად მარკელოსი იყო. ის იყო მოხუცებული და ღვთის მოსამსახურე კაცი და შემდეგში სარწმუნოებისათვის წამებითი სიკვდილი მიიღო. იმ დღეს ამ მოხუცს უნდა ეწირა. **ტორკვატოსმა** ლოზუნგი იცოდა და დაუბრკოლებლად შევიდა საყდარში **შულვიუსიანად**, რომელიც ყოფა-ქცევაში და მიხრამოხვრაში ქრისტიანებს ძლიერ კარგად ბაძავდა. იქ ქრისტიანები ცოტანი იყვნენ; ყველანი შეიკრიბნენ ზალაში, რომელშიაც საკურთხეველი იყო გაკეთებული. როცა **ტორკვატოსი** და **შულვიუსი** ეკლესიაში შევიდნენ, იმ დროს მარკელოსს მლოცველებისაკენ ჰქონდა პირი მოქცეული. იმისი მშვიდობიანი და ალერსიანი პირი-სახე თითქმის არ ამჟღავნებდა იმ ენერგიას, რომელიც შემდეგში, წამებითი სიკვდილის დროს გამოიჩინა მან. იმ დროებში ეპისკოპოსები

ყოველ-გვარ გარეგანს განჩიევას ვრიდებოდნენ, რომ
 წარწერების ყურადღება არ მიექციათ თავის-თავზედ,
 სხვა-ნაირ ტანისამოსს არ იცვამდნენ და მხოლოდ
 წირვის დროს იხურავდნენ რადასაც, გვირგვინის
 მსგავსს. იმავე რამდენადვე შეცვლილს გვირგვინს
 ახლა მიტრას ვეძახით. მარკელოსს ხელში ეჭირა
 კვერთხი, როგორსაც აქამდისაც ვხედავთ ჩვენის ეპის-
 კოპოსების ხელში. შულოვიუსი თვალს არ აშორებ-
 და მარკელოსს და სცდილობდა კარგად დაემახსოვ-
 ნებინა მისი პირი-სახე, სიმაღლე და თმის ფერი;
 აგრეთვე ძალიან კარგად დაიმახსოვნა იმისი ხმა,
 მიხრა-მოხრა, ერთის სიტყვით, იმისი ერთი უბრა-
 ლო რამ მოძრაობაც არ დაუტოვებია შეუნიშნაფი.
 «სადაც უნდა შევხვდე ამასო, ჰფიქრობდა შულოვიუ-
 სი, უთუოდ ყოველგან ვიცნობ და ვერაფერ-ნაირის
 ტანისამოსით ველარ დამიძვრება ხელიდამო. O! უ-
 ამის დაჭერა მოვახერხე, მერე საუკუნოდ უზრუნვე-
 ლი ცხოვრება მექმნება!» ზამთრის მკრთალი ცის-
 კარი ძლივს ანათებდა ზალას; საკურთხეველში დიდ-
 რონი, სუნნელოვანი სანთლები ენთო და გარშე-
 მო, ანთებული, ძვირფასი ოქროსა და ვერცხლის
 კანდლები ეკიდა. საკურთხეველის ახლო, ამაღლე-
 ბულს ადგილზედ სავარძელი იდგა; ეპისკოპოსი,
 თავზედ გვირგვინ-დადგმული და ხელში კვერთხით,
 ავიდა ამაღლებულს ადგილზედ და დაჯდა ამ სავარ-
 ძელზედ. შუაგულ ზალიდგან ხმა მოისმა: მგალობ-
 ლები დაწყობილად, მაგრამ დაბალის ხმით ჰგალობ-



დნენ ლოცვებს. საკურთხებლად მომზადებულები
 დამწკრივებულნი შემოვიდნენ; ეპისკოპოსმა მოკლე
 დარიგება წაუკითხა, რას შემდეგაც მღვდლებისა და
 დიაკვნების კურთხევა დაიწო, ტორკვატოსს შეე-
 შინა, რომ იმათი აქ ყოფნა არ შეეშინათ და
 შულვიუსს სთხოვა წირვის გათავებამდის წავიდეთო.
 შულვიუსი დათანხმდა, რადგანაც თავისი სურვილი
 აისრულა და რის ნახვაც ჰსურდა, ყველაფერი ნახა
 კოდეს. ამავე დღეს ბევრნი ეზიარენ და მათ რიცხვში
 იყვნენ აგნესა, სირა და ცეცილიაც.

XVIII

ნომენტუმისაკენ მიმავალს გზაზედ, რომის ქა-
 ლაქის აღმოსავლეთით, არის ერთი დიდი ხრამი და
 მის ახლოს ფართე ხევი. ამ ხევის შუა ალაგზედ
 სდგას ნახევრად-მრგვალი ტაძარი და მის გვერდით
 წმიდა აგნესას ეკლესია. იმ დროს, რომელზედაც
 ჩვენ ვლაპარაკობთ, აი თვით ამ ალაგას იყო აგნე-
 სას საზაფხულო სახლი, სადაც ის ზაფხულსა და
 შემოდგომას ატარებდა ხოლმე. სამი ახალ-გაზდა
 ქალი ზიარების შემდეგ ამ სახლში წამოვიდნენ იმ
 განზრახვით, რომ მთელი დღე გაეტარებინათ ამ
 განმარტოებულს და მყუდრო ადგილს. ჩვენ არ ავსწერთ
 ამ საზაფხულო სახლს, რომელიც ყველა იმ დროის
 მდიდრული საზაფხულო სახლების მსგავსადვე იყო
 აშენებული და წალკოტსა და ბაღებში იყო ჩადგმუ-

ლი. აგნესას მტრედები უყვარდა და ძლიერ ბე-
 რიც მოაშენა; მტრედები აგნესას იცნობდნენ და
 როგორც კი დაინახავდნენ, მაშინვე მხრებზედ და
 თავზედ დაათრინდებოდნენ ხოლმე. აგრეთვე უყვარ-
 და ცხვრებიც, რომელნიც გაიგონებდნენ თუ არა
 აგნესას ხმას, მაშინვე მიიბრუნდნენ მასთან, რადგან
 აგნესასგან ხელით პურისა და ბალახის ჭმევას იყენენ
 შეჩვეული. აგნესას ჰყავდა კიდევ ერთი ძლიერ ერთ-
 გული, მისი თანა-მოგზაური და ვეება ძაღლი, სახე-
 ლად მოლოასი, რომელსაც ყველა ამ ცხოველებ-
 ზედ უფრო უყვარდა აგნესა. მს ძაღლი კარგბთან
 ება ჯაჭვით და იმდენად მძვინვარე იყო, რომ ორი
 სამი მოსამსახურის გარდა მასთან მისვლას ვერაფერ
 ვერ გაბედავდა. აგნესა თვითონ აუშვებდა ხოლმე
 ამ ძაღლს და ისიც ბატკანსავეთ მშვიდად დაჰყებო-
 და უკან. აგნესა რომ ჩვენგან აწერილს დღეს წირ-
 ვიდგან დაბრუნდა, მოლოასმა როგორც დაინახა,
 მაშინვე მიწაზედ გაერთხა, კუდის ქნევა დაიწყო
 და მოთმინებით ელოდა, სანამ ქალი მივიდოდა, მო-
 ეფერებოდა და აუშვებდა მას. როცა აგნესამ ეს ყველა-
 ფერი შეასრულა, ძაღლმა ხელები გაულოკა, ხტომით
 შემოაუბრინა გარშემო, მერე უკან გაჰყვა და სადაც აგნე-
 სა წავიდოდა, ყველგან დაჰყებოდა, ერთს ნაბიჯზედაც
 არ ჰშორდებოდა. როცა ქალი დაჯდებოდა, ძაღლი
 ფეხებთან დაუწევებოდა ხოლმე და თავის დიდს,
 ბანჯგვლიან პირს ასწევდა მაღლა და ჭკუიანუ-
 რის თვალებით შეჰყურებდა თვალეებში და თითქოს



2 | 1366

ჭურნალი «ქართული ბიბლიოთეკა» გამოვა ყოველ თვის თავზე სივრცით 5—6 თავსამდი. ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ მთელის, ან ნახევარის წლით.

თასი მთელის წლისა 6 მან.

-- ნახევარის წლისა 4 —

ცალკე ნომერი. — — 70 კ.

ხელის მოწერა მიიღება «ქართული ბიბლიოთეკა» რედაქციაში, რომელიც იმყოფება თფილისის ქუჩ. დ. ლორთქიფანიძის სახლში.

ქალაქა გარეშე ხელის მომწერთა ესთხოვთ წერილი და ფული გამოგზავნონ შემდეგის ადრესით:

Тифлисская улица, домъ Д. Лордкипанидзѣ.

ვისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, ესთხოვთ მალე გეაცნობონ.